ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

1870

მარტი.

წელიწადი მეორე.

თბილისი.
«მნათობის» რედაქციის სტამბაში.
1870.

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## წოდება თხზულებათა.

1) ბავშვების მოვლა, (თხზულება კომბის)
თარგმნილი . . . . . . . . . . . . . . . . ვას. მაჩაბლისაგან.
2) ცრუპენტელაობა დროს გატარებისათვის,
(გაგრძელება). . . . . . . . . . . . . ინგილო-ჯანაშვილისა.
3) ყეენობა (ლექსი) . . . . . . . . . . . . თ. აკ. წერეთლისა.
4) გზების და ბოგირების მნიშვნელობა. . მ. ქიქოძისა.
5) ხია (ლექსი). . . . . . . . . . . . . ზურაბ მოკნიძისა.
6) მიმოხილვა. . . . . . . . . . . . . . . თორელისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

1870

მ ა რ ტ ი.

ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი.
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
***—სა.

არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა
ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არარა
არგოს...

ნ. ბარათაშვილი

თბილისი.
«მნათობის» რედაქციის სტამბაში.
1870.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რედაქციისაგან.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს «მნათობის» ხელის მომწერთ, ვისაც «მნათობის» ხვედრი ფული არ შემოუტანია ამ 1870 წლისა, ან შარშანდელი 1869 წლისა, შემოიტანოს რაც შეიძლება მალე.

---

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Февраля 1870 г.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თავი 8.

### სისუფთავე, სხეულის მოძრაობა და ძილი პირველ ყმაწვილობის ხანში.

რადგან მე მსურს სრულად განვიხილო რაც პირველი ხნის ყმაწვილების მოვლას ეკუთვნის, ამისათვის ახლა მკითხველს მოვახსენებ ბავშვების სისუფთავეზედ, იმათ სხეულის მოძრაობაზედ და ძილზედ.

სისუფთავე ბავშვის სიმრთელის მდგომარეობისათვის დიდად საჭიროა, ამისთვის რომ ყმაწვილის ტანი მეტის-მეტად ჩვილი და მგრძნობელია და ამასთანავე უფრო ადვილად სდება. ამას გარდა განიდგან, როგორც წინად მოგახსენეთ, გამოდის ის უვარგისი ნივთიერება, რომელიც ტანში არის და რომელსაც თავის დანიშნულება შეუსრულებია.

თუ ის უწმინდური ნივთიერება, რომელიც ორთქლივით გამოდის, ტანზედ დიდხანს დარჩა, მაშინ ის დაახშობს იმ ტანის ნახვრეტებს, რომლის შემწეობითაც ტანიდგან გამოდის უვარგისი ნივთიერება და ამით შეაჩერებს ამ ორთქლის გამოსვლას, რომლის გამო ბავშვის სიმრთელე ცუდ მდგომარეობაში მოვა და ანუ ეს გამოდენს, რომელიც ტანიდგან უნდა ასრულებულიყო სხვა ორგანოების, ესე იგი წლების, თირკმლების, ანუ ფილტვების შემწეობით ასრულდება და ამ გვარი ნამეტანი მუშაობის ძალ-დატანება შეასუსტებს და შეჰმლის ამ ორგანოებს; ამ მიზეზისაგამო ხან-და-ხან ტანი სნეულდება და ამასთანავე ტანზედ მუწუკებს გამოჰყრის. მაშასადამე ამ შემთხვევაში ორგვარი ღონის-ძიება

უნდა ვიხმაროთ. პირველი ღონის-ძიება იმაში მდგომარეობს, რომ არ დაუშალოთ ტანიდგან უვარგისი ნივთიერების თავისუფლად გამოსვლა. ამისათვის ბავშვს ისეთი ტანთ-საცმელი უნდა ჩააცვან, რომელიც მსუბუქი და თხელი ნაქსოვი იყოს, ამას გარდა უნდა ყური უგდონ, რომ ბავშვს ტანისამოსი ხალვათად ეცვას და არ უჭერდეს, და ამასთანავე მაღ-მაღ გამოუცვალონ ხოლმე. მეორე ღონის-ძიება იმისათვის უნდა ვიხმაროთ, რომ ბავშვის ტანს მოვაშოროთ ის ჭუჭყი, რომელიც ბავშვს ტანიდგან გამოსდის და კანზედ რჩება. ამის მოსაშორებლად ყველაზედ უკეთესი ღონის-ძიება არის ყმაწვილის თბილი წყლით ხშირ-ხშირი ბანება. ბავშვის ბანების დროს ბევრი ხმარობს საპონს, მაგრამ რადგან ჭუჭყი უსაპნოთაც კარგა ეცლება, ამისთვის საპონი საჭირო აღარ არის; ზოგჯერ, პირიქით, საპნის ხმარება მავნებელია.

ყველაზედ უმჯობესი იქნება, რომ ბავშვი იმგვარად გაჰბანონ, როგორც მეექვსე თავში მკითხველს მე მოვახსენე, ესე იგი ჩასვან ბავშვი თბილ ვანაში და ისე გაჰბანონ. ამგვარ ბანების დროს სველი ბავშვის ტანი მხოლოდ ერთ წამს არის ჰაერში, ესე იგი იმდროს, როდესაც ბავშვს ამოიყვანენ და შეჰწმენდენ. და თუ, როგორც ზოგმა იცის, ბავშვი ჩასვეს ისეთ პატარა ტაშტში, ანუ რამე ჭურჭელში, სადაც ბავშვის მთელი ტანი წყალში არ არის და ამგვარად დაუწყეს ბანება ხელით ანუ ღრუბლით, მაშინ, რა საკვირველია, ბავშვის ნაზ და ქორფა ტანს რიგ-რიგად ხან ჰაერი ჰხვდება და ხან თბილი წყალი, რომლის გამო შეიძლება გაცივდეს, ანუ სხვა რიგად ევნოს. მაშასადამე აქედგან ჩანს, რომ ბავშვის საბანებლად ყველაზედ უკეთესი ვანის ხმარება არის. როდესაც ბავშვი ვანაში ზის, მაშინ ფრთხილად რბილი ღრუბლით მთელი ტანი უნდა კარგად გაუბანონ, ნამეტნავად სადაც კანის ნაკეცებია, რომ კანში სრულებით არ დარჩეს ჭუჭყი; როდესაც ბანებას მორჩებიან, მაშინვე გამთბარი პირსახოცით ფრთხილად უნდა შეჰწმინდონ და მერე ოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავ ხელი ტანზედ წაუსვან; რაწამს ამგვარად შეამშრალებენ, მაშინვე უნდა ტანით ჩააცვან.

ბავშვის განბანა ყველაზედ უფრო დილით სჯობია, რაწამს ყმაწვილს გამოეღვიძება და ისე საბანაოდ კი საღამო უფრო უკეთესია, უგანასვენელ ძუძუს წოვების შემდეგ, ესე იგი ბავშვის დაძინების წინად. თუ ბავშვი სუსტი აგებულებისა არის და დილით რაწამს ეღვიძება, მაშინვე ძუძუსა თხოულობს, მაშინ იმის განბანა და ჩაცმა ერთ ან ორ საათს უნდა შეაგვიანონ, მანამ საჭმელს არ მოინელებს, რადგან გამაძღარის ბანება დიდად მავნებელია, როგორც ბავშვისათვის, ისე დიდებისათვის.

რადგან პირველ ხანში ბავშვები ძალიან ადვილად ჰგრძნობენ სიცივეს, ამისათვის განსაბანი წყალი ისეთი ტემპერატურისა უნდა იყოს, როგორიც იმათ აგებულებაშია, ესე იგი წყლის სითბო უნდა იყოს ოცდა რვა ანუ ოცდა ცხრა რეომიურის გრადუსი. წყლის ტემპერატურა თერმომეტრით უნდა შეიტყონ და არა წყალში ხელის ჩაყოფით, თორემ ადვილად შეიძლება კაცი რამდენიმე გრადუსით შესცდეს. რამდენიც ბავშვი პატარა არის, იმდენი უფრო მტკიცედ უნდა ასრულებდნენ ამ წესს, რომ საბანაო წყალს საჭირო ტემპერატურა ჰქონდეს; და როდესაც ყმაწვილი უფრო გამაგრდება და გაიზრდება, მაშინ უშიშრად შეიძლება წყლის სითბო რამდენიმე გრადუსით შეამცირონ. წინა თავებში დაწვრილებით აუხსენ მკითხველს, თუ ამგვარი მოვლა რისთვის არის საჭირო. გარდა იმისა, რომ ბავშვი ყოველ დილით უნდა გაჰბანონ, ისიც ძალიან კარგი იქნება, რომ ყოველ საღამოსაც რამდენიმე მინუტით ბავშვი თბილ ვანაში ჩასვან. ამ ბანებას ორგვარი სარგებლობა მოაქვს: პირველი ისა, რომ ნერვებს ამშვიდებს და მეორეს მხრივ კი ჰშველის უფრო წესიერ სისხლის ბრუნვას; ნამეტნავად ამგვარი ბანება დიდად მარგებელია აგზული და ქინიანი ბავშვებისათვის, ამისთვის რომ ისინი ბანების უკან უფრო მოსვენებით და ღრმად იძინებენ ხოლმე, მაგრამ ამდროს უნდა გაუფთხილდნენ, რომ ყმაწვილი დიდხანს არ ამ-

ჟოივოს ვანაში და ოთახიც თბილად უნდა ჰქონდეთ შენახული. თუ ბავშვის საბანი წყალი ძალიან თბილია, ან თუ ბავშვი წყალში დიდხანს ჰყავს, მაშინ ეს ტანიდგან მომქტებულ ორთქლს გამოიყვანს და ამის-გამო ბავშვს შეაციებს. მე მინახავს; თუმცა კი მცირედ, ისეთი ბავშვები, რომელთაც ცუდი მოვლის ან სხვა რამე მიზეზისა გამო ჭმინებიათ წყალში ბანება და ან სრულებით თვალის დასანახავათაც სჯავრებიათ წყალში ჩაჯდომა. ამ შემთხვევაში ბავშვის ვანაში ჩასმა არ ვარგა; ამის მაგივრად უნდა თბილი წყლით დასველებული ღრუბლით გაუწმინდონ ბავშვს ტანი. მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც დიდად უნდა უფთხილდე-ნენ, რომ ბავშვის ტანი ჭაერში არ დარჩეს, როდესაც ტანი ისევ სვე-ლი აქვს, თორემ საშიში სნეულებას დაემართება. თუ ხან-და-ხან თითქოს თბი-ლი ვანები სწყენს ბავშვს, მაგრამ ეს ვანების ბრალი არ არის; ეს იმის ბრალია, რომ როგორც უნდა, ისრე ვერ ასრულებენ ამ ვანების მიღებას და ბანაობის დროს ბავშვს არ უფთხილდებიან.

ზოგიერთი დედამა და ექიმები პირველი ხნის ბავშვებისათვისაც ცივ ვანებს უფრო ამჯობინებენ თბილ ვანებზედ; მაგრამ თითონ ცდა და გამოცდილება ამის წინააღმდეგს გვაუწყებს; თუმცა ხან-და-ხან მრთელი და მაგარი აგებულების ბავშვებს ცივი ვანებიც არას სწყენთ ხოლმე. დი-დის საბანაო წყლის ტემპერატურას მაშინ უნდა ცოტ-ცოტა მოუკ-ლონ, როდესაც ბავშვი რამდენიმე თვისა შეიქნება და ამასთანავე კარგად არის და ამინდებიც კარგი დგას. რასაკვირველია ამას თქმა აღარ უნდა, რომ თუ განელებული წყალი ბავშვის სხეულს არ მოუხდა, მაშინვე ისევ ისე საბანაოდ თბილი წყალი უნდა იხმარონ. როგორიც წყლითაც უნდა გაბანონ ან დაბანონ უმაწვილი, მაინც ყოველთვის ბანების უკან კარგი იქნება, რომ მშრალი და რბილი პირსახოცით ანუ ფლანელით ბავშვს მთელი ტანი შეუწმინდონ. ამგვარი შეწმენდა ბავშვისათვის სასარგე-ბლოც არის და კიდეც იამება. თუ თბილი დარი დგას, შეიძლება რამ-დენსამე მინუტს ნაბანავის ბავშვი შიშველი დაიჭირონ. რასაკვირველია

თუ ბავშვს ამაზედ თითონ სურვილი აქვს. თუ ყმაწვილი იმდენად მაგა-რი აგებულებისაა, რომ ამ გვარი ცოტასანს ჰაერში ტიტველად ყოფ-ნა რგებს, მაშინ ის თითონ მოინდომებს და თუ ამას იმისი სხეული ვერ იტანს, მაშინ ის თითონვე ეცდება დაიფაროს როგორმე თავის სხეული ჰაერის მოქმედებისაგან. ხშირად ვხედავთ, რომ სოფლის ბავ-შვები ზაფხულის თბილ დღეებში მთლად ტიტვლიკანები თამაშობენ ხოლმე. ამას გარდა ბავშვის სუფთად შენახვისათვის დიდად საჭიროა, რომ რაწამს გაუსვრება ან დაუსველდება ტანისამოსი, იმწამსვე გამო-უცვალონ და ამასთანავე ტანი კარგად გაუბანონ, თუ გარეთ გასვლისა-გან მოუცსთ რამე.—ახალდაბადებულს წლობიდგან და შარდის ბუშტი-დგან გამოდენა თავის უნებლიედ ძალიან მალ-მალ ემართება ხოლმე; მა-გრამ კარგი მოვლით შეიძლება შეიტყოს კაცმა, თუ როდის აქვს ბავ-შვს კარში გასვლის დრო და ამის მიხედვით წინადვე მოუმზადონ რაც სისუფთავეს ეკუთვნის. კაი ყურის გდებით და მოვლით შეიძლება თავ-დაპირველადვე ყმაწვილი ისე დაჩვიონ, რომ კარში გასვლის დრო თავ-თავის დროზედ მოხდიოდეს.

## სხეულის მოძრაობა.

სხეულის მოძრაობა ბავშვების სიმრთელისათვისაც ისე საჭი-როა, როგორც დიდებისათვის. მაგრამ ყმაწვილის სხეულის მოძრაობა უმეტესად უნდა შეჰფეროდეს ბავშვის აგებულების მდგომარეობას და ამ აგებულების მუშაობას. ბავშვი ისე არ უნდა მოძრაობდეს, რომ იმის სუსტი კუნთებისა და ძვლებისათვის საშიში იყოს. პირველ ხანში ბავშვის მოძრაობა აი როგორი უნდა იყოს: ის უნდა ოთახში, ან კარ-ში დაჰყავდეთ ხელით. ბანების შემდეგ მთელ ტანზედ ფრთხილად ხელი უნდა წაუსვან. ამგვარი ტანზედ ხელის წასმა ბავშვს დიდად ეა-მება და არგებს კიდეც, ამიტომ რომ სისხლის წესიერ და ზომიერ სი-

ხსლის ბრუნვას. დიდად გასაკიცხნი არიან ის მშობლები, რომელნიც თავის შესაქცევლად თავის შვილებს ისე ავარჯიშებენ, რომ ამათ სუსტ ბუნებას არ შეჰფერის. პირველი ბავშვების მოძრაობა, როგორც წინად მოგახსენეთ, იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ის ხშირ ხშირად ხელით ატარონ და ხან-და-ხან წმინდა ჰაერში გამოიყვანონ. თუ ყმაწვილი ზაფხულში ან გაზაფხულზე დაიბადა, მაშინ იმის გარეთ გაყვანა შეიძლება ათი დღის ან ორი კვირის უკან, მაგრამ ამ დროს უნდა ფთხილად მოექცნენ და თხუთმეტი ან ოცი მინუტის მეტი არ ამყოფონ გარეთ. და თუ ბავშვი ზამთარში ან შემოდგომის გასულს დაიბადა, მაშინ იმის გამოყვანა მხოლოდ ოთხი ანუ ხუთი კვირის უკან შეიძლება და ისიც მაშინ, როდესაც კარგი დარი დგას; მაგრამ მინამ ჰაერს არ შეეჩვევა, დიდხან არ უნდა ჰყავდეთ გარში. რა დროც უნდა იყოს, მაინც ბავშვი ყოველთვის დიდ სინათლეს და მზის სხივებს უნდა მოარიდონ. ამისთვის რომ იმის სუსტი და ნაზი თვალები ვერ აიტანენ ამგვარ სინათლეს. რამდენათაც ზაფხულის კარგ დარში ბავშვი გარეთ იქნება, იმდენად იმისათვის უფრო უკეთესია. დილით და საღამოთი კი ყმაწვილი გარში არ უნდა გამოიყვანონ, რადგან ამ დროს ხან-და-ხან ცივა ხოლმე და ნამიც არის. ბავშვი თან-და-თან უნდა შეაჩვიონ ჰაერში ყოფნას, — თავ-და-პირველად თხუთმეტი ანუ ოცი მინუტის მეტი გარეთ არ უნდა ამყოფონ, მერმე ერთ ან ორ საათამდის შეუგვიანონ და ბოლოს შეიძლება დღეში რამდენიმე საათი ჰყავდეთ გარში, — რასაკვირველია, თუ ბავშვს შეუძლიან ამის ატანა. თუ ბავშვებს თბილად აცვიათ და არა სცივათ, მაშინ იმათ თითონ ესიამოვნებათ წმინდა ჰაერში ყოფნა. ყველაზედ მეტად ზამთარში უნდა უფთხილდნენ ბავშვს, რომ არ გაცივდეს. თუ როგორ მარგებელი გავლენა აქვს ბავშვებზედ ზომიერ თბილ ჰაერს და ან როგორი მავნებელი გავლენა აქვს სიცივეს, გვარწმუნებს ის შეკრებილი ფაკტები, რომლებიც გვიჩვენებენ რამდენი ბავშვი იხოცება თბილ ჰავაში და რამდენი ცივში. ამ ფაკტებიდან სჩანს, რომ

არა თუ ცივ ჰავაში, არამედ თბილ ქვეყნებშიაც ზამთარში უფრო ადვილად ბავშვი იხოცება, ვიდრე სხვა დროს. მაშასადამე აქედგან ჩანს, რომ ზამთარში და გაზაფხულში უფრო უნდა გაუფთხილდნენ ბავშვებს. თუ ბავშვი მრთელი არის, მაშინ ზამთარშიაც, როდესაც კაი დარი დგას, შეიძლება დაბადების ერთი თვის უკან იმისი გარეთ გამოყვანა, მაგრამ ამ დროს თბილად კი უნდა ჩააცვან; ამასთანავე ბავშვის სასეირნოდ მყუდრო ადგილი უნდა ამოარჩიონ, სადაც კაი წმინდა ჰაერია. მაგრამ თუ მაინც შეატყვეს, რომ ბავშვს სცივა და გარეთ ყოფნა არ ესიამოვნება, მაშინ ის გარეთ აღარ უნდა გამოიყვანონ და ამის მაგივრად წმინდა ჰაერიან ოთახში ატარონ. პირველ ოთხ ან ხუთ თვეში, როდესაც ბავშვს ხელით ატარებენ, დაჯდომილი არ უნდა დაიჭირონ, ამისთვის რომ ამ დროს სისუსტის გამო ბავშვს თავი გვერდზე ჩამოეკიდება და სუნთქვას დაუშლის; ყველაზედ უკეთესი იქნება, რომ დაწოლილი ეჭიროთ, მაგრამ თავი ცოტა მაღლა უნდა ჰქონდეს. ამისთვის დედამ ძიძას თვალი უნდა ადევნოს, რომ იმან ბავშვი დაჯდომილი არ ატაროს. როდესაც ყმაწვილს ხელით ატარებენ, უნდა ხან ერთ ხელზედ დაიწვინონ და ხან მეორეზედ, ამისთვის რომ თუ ბავშვი მარტო მარჯვენა ხელზედ უწევთ, მაშინ ყმაწვილი მხოლოდ მარჯვენა ხელით მოძრაობს და მარცხენა კი უძრავად უჭირავს, რომლის გამო მარჯვენა ხელი უფრო ესხნება მარცხენაზედ და გარდა ამისა ბავშვის მატარებელიც უფრო დაიღალება. როცა ბავშვი ოთხი ანუ ხუთი თვისა შეიქნება, მაშინ შეიძლება რამდენსამე მინუტს, თუ თითონ ბავშვსაც იამება, დაჯდომილი დაიჭირონ.

ხელში აყვანის დროს ბავშვს ორივე ხელით იღლიებს ქვეშ უნდა მოჰკიდონ ხოლმე და ისე აიყვანონ. ბავშვის ხელებზედ მოკიდებით აყვანა არ ვარგა, ამიტომ რომ ბავშვის სახსრები და ძვლები ძალიან სუსტი არის, და ამ გვარი აყვანით შეიძლება ხელი ადვილად ეღრძოს და ანუ მხრის ძვალი ამოუვარდეს ანუ გაუტყდეს. ბავშვისათვის ხელით ქა-

ნებს და ნჯღრევა სასიამოვნო არის, მაგრამ დედები და ძიძები ხშირად მეტის-მეტად ანჯღრევენ ხოლმე და ეს დიდად მავნებელია.

როდესაც ბავშვს სხეული ისე გაუმაგრდება, რომ დაჯდომილიც შეიძლება იმისი ტარება, მაშინ კარგი იქნება ხელში დაჭერის მაგივრად პატარა ურმით ატარონ. ამ დროს ბავშვს კარგად უნდა გაუფთხილდნენ, რომ თბილი ტანისამოსი ეცვას და არ გაცივდეს.

რამდენიც ბავშვები ძალაზედ მოდიან და სხეული უმაგრდებათ, იმდენი უფრო ცდილობენ, რომ თავისუფლად მოძრაობდნენ; ხშირად ამდროს ძიძები ისე ათამაშებენ ხოლმე უმაწვილს, რომ სრულებით არ შეჰფერის იმის სხეულის სიმაგრეს. ამისთვის მე მსურს მოგახსენოთ ამ შემთხვევაში, თუ როგორი მოვლა ეჭირვება ბავშვს. ბავშვი ხალიჩაზედ უნდა დასვან, სადაც ყოველ სხეულის ასოთი შეეძლოს იმას მოძრაობა, ცოცვა, გორვა, და იმის მოძრაობის წასახალისებლად შეიძლება წინ სათამაშოები დაუწყონ, მაგრამ ახლო კი უნდა დაუწყონ, რომ თითონვე შეეძლოს მიწვდომა. როდესაც ბავშვი ხუთი ანუ ექვსი თვისა გახდება, ანუ როდესაც თავის-თავად მოძრაობის სურვილი მოუვა, მაშინ გძელი ტანისამოსი უნდა გამოუცვალონ და მოკლე ტანთ-საცმელი ჩააცვან, რომ თავისუფლად მოძრაობას არ დაუშლოს; მაგრამ როდესაც ცივ დარში გარეთ გამოჰყავთ, მაშინ კი უეჭველად ისევ გძელი ტანისამოსი უნდა ეცვას, რომ არ გაცივდეს.

ამ გვარად სხეული ბავშვს უფრო გაუმაგრდება და ფეხსაც უფრო მალე აიდგამს, ვიდრე მაშინ, როდესაც უდროოდ ფეხზე აყენებენ და ხელის ჭერით სიარულს ასწავლიან. ამას გარდა თავის თავად მოძრაობის გამო ბავშვს გული და საზოგადოდ მთელი აგებულება უფრო წესიერად და უკეთესად გაეხსნება და გაუმაგრდება. ამ გვარი ბავშვების ზრდა საშიშარიც არ არის, რასაკვირველია, თუ ამასთანავე კარგად ყურს უგდებენ; ძალიან სასიამოვნოა იმის ყურება, როდესაც უმაწვილი თავისუფლად მოძრაობას დაიწყებს და თითონვე უფთხილდება თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს. როდესაც დედები მარტო თითონ გასრულობენ ბავშვების მოვ-ლას, მაშინ იმათ მეტის მეტი მზრუნველობის და გაფრთხილების გა-მო ხშირად ეშინიანთ ბავშვის ისეთი მოძრაობისა, რომელიც სრულე-ბით საშიში არ არის. რაც სავნებელი საგნები აწყვია ბავშვის ახლო, რომ სულ მოაშორონ, მაშინ შეიძლება სრული ნება მისცენ ყმაწვილის თავისუფალ მოძრაობას, რადგან ბავშვი თითქმის არასოდეს არ ავნებს თავის თავს: ის დაიწყებს ცოცვას და ფეხზედ იქამდის არ წამო-დგება, სანამ ძვლები კარგად არ გაუმაგრდება და კუნთები არ გაუძლი-ერდება.

მამასადამე ბავშვის უდროოდ წახალისება არ ვარგა. როდესაც ყმაწვილი მალაზედ მოვა და კუნთების თავისუფალ მოძრაობას შეიძლებს, მაშინ ის თითონვე ეცდება, რომ ფეხი აიდგას. როდესაც ბავშვები ფეხს აიდგამენ, მაშინ ისინი ჩვეულებრივ წინ-და-წინ ეძებენ სხვის მოშველებას, ჰკიდებენ სტოლებს და სკამებს ხელსა, ანუ სთხოვენ ძიძას მოშველებას; მაგრამ ამ დროს უნდა გაუფრთხილდნენ, რომ ბავშვები ძლიერ არ მიე-ჩვივნენ სხვის მოშველებას. საქართველოში იციან ჭოჭინით (ოჭივარა) ბავშვის ფეხის ადგმა; მაგრამ ყველა ამ გვარი ღონისძიება ბავშვის ფე-ხის ასადგმელად ძალიან მავნებელი არის. თუ ბავშვს ხელის-ჭერით ად-გმევინებენ ფეხს, მაშინ ყმაწვილს ზურგის ხერხემალი უმრუდდება და მთელ ტანს ამახინჯებს; ამას გარდა შეიძლება ამით ყმაწვილს ფეხები გაუმრუდდეს. როდესაც ბავშვი ეჩვევა და ენდობა სხვის შველას, მაშინ ის ისე აღარ დასდევს თავის მოძრაობას და ეს არც იმის გონებისა-თვის არის კარგი და არც იმის სხეულისათვის. ამისთვის რომ ბავშვი ამ დროს აღარა ცდილობს თავის თავად იმოძრაოს და ამის გამო კუნ-თები კარგად ვერ ესხნება. რასაკვირველია, თუ ბავშვს არა შველიან, მაშინ ის, მანამ ფეხს აიდგამდეს, ბევრჯელ წაიქცევა, მაგრამ ამგვარი წაქცევა საშიში არ არის, თუ სალიჩაზედ ანუ რბილ ადგილზედ, სადაც ბავშვი ეცემა, ისეთი საგ-ნები არ აწყვია, რომ ბავშვმა დაჰკრას რამე. ბავშვს საკუთარი გამო-

ცდილობს უფრო იფარავს სხვა-და-სხვა ვნებისაგან, მინამ ძიძებს მეტის-მეტი მზრუნველობა. საზოგადოდ, როდესაც ყოველ ბავშვის [illegible]-ბას უფთხილდებიან, მაშინ ამის გამო ბავშვები უფრო მხდლები, გაუბედავები შეიქნებიან სოლმე და არა აქვსთ თავისი საკუთარი მოაზრება. პირველ ხანებში, როგორც შემდეგაც, შვილები ისე უნდა გაზარდონ და გაუხსნან იმათ ნიჭიერება, რომ შეეძლოთ თავის თავად ამუშაონ როგორც ჭკვა, გონება, ისე მთელი სხეული, რომ მერე სხვის ანაბარა არ გახდნენ და სხვის ჭკვით არ იარონ. თუ მაშინასხავით სხვის ჭკვით და ნებით ვიმოქმედებთ და შევინახებით, მაშინ ჩვენი ჭკვა-გონება და სხეული არ გამაგრდება და არ მიაღწევს იმ სისრულემდის, რომელიც გაცისათვის შესაძლებელია.ეს ჭეშმარიტება უნდა გვქონდეს მხედველობაში პირველ ხანის ბავშვების მოვლის დროსაც. ხშირად ვხედავთ ღარიბ ხალხში სამის და თითქმის ორის წლის ბავშვებს, რომელნიც უვლიან თავისზე უმცროს ბავშვებს; ამასთანავე დიდად გავკვირდებით, რომ ვნახოთ როგორ გონივრად და გაგებით ისინი იქცევიან.

### ძილი.

პირველ ორ თვეში ბავშვი ძილისა და ჭამის მეტს არას აკეთებს; ასე რომ, ამ დროს კაცმა ბავშვს რომ თვალ-ყური ადევნოს, ეგონება თითქო ბავშვი ხრულებით ,არ იღვიძებს; რამდენიმე კვირის უკან კი შეიძლება შეტყობა ხშინავს ბავშვს თუ ღვიძავს. მაშასადამე ამ დროს იმას კი არ უნდა ცდილობდნენ, რომ შეიტყონ რადროს და რამდენი ძილი უნდება ბავშვს, არამედ იმას უნდა ცდილობდნენ, თუ როგორ უფრო მოხერხებით და კარგად დააწვინონ ყმაწვილი დასაძინებლად და ან როგორ უნდა მოიქცნენ ამ შემთხვევაში.

აი როგორ უნდა მოიქცნენ ამ შემთხვევაში: თავდაპირველადვე

ბავშვს ცალკე ლოგინი უნდა მოუმზადონ და გაუფთხილდნენ, რომ არ გაცივდეს. სხვა საბნებს გარდა კარგი იქნება დაჰხურონ ბავშვს ბუმბულის საბანი, რადგან ეს ყველაზედ უფრო მსუბუქი და თბილი არის; რასაკვირველია, ამ საბნის ხმარება მაშინ არის საჭირო, როდესაც ოთახი, სადაც ბავშვსა სძინავს, ძალიან თბილი არ არის.

როცა ყმაწვილი ერთი თვისა შეიქნება, მაშინ იმის საწოლზე ფარდის გადაფარება საჭირო აღარ არის. სინათლემ რომ ძილი არ დაუშალოს, ფანჯრებზე ფარდა უნდა ჩამოაფარონ, ან არა და დარაბები (სტავნები) მიხურონ. თუ ბავშვის საწოლი ოთახი კარგად არ არის აშენებული და საიდგანმე უბერავს, მაშინ ყმაწვილის საწოლს გარშემო შირმა (საფარი, ფეჯირი) უნდა დაუდგან. რუსებმა რომ ჩამოკიდებული ბავშვის აკვნები იციან, ჩვენებურ აკვნებზე უფრო უკეთესი არის; რადგან რუსული აკვნები მაღლა ჰკიდია, ამისათვის ადვილად შეიძლება იმათი ჩამოკიდება იმ ალაგას, სადაც დედას სძინავს ხოლმე. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ახალ-დაბადებული ძილისა და ჭამის მეტს არას აკეთებს; ყმაწვილს მაშინ ეღვიძება, როცა საჭმელი უნდება და ჭამის უკან ისევ იძინებს. შემდეგში კი, როდესაც აგებულება თან-და-თან გაეხსნება და მოითხოვს სხვა-და-სხვა მუშაობას, მაშინ ბავშვს ისე დიდხან აღარა სძინავს, როგორც უწინ. ყოველი ჩვენი მეცადინეობა ამ შემთხვევაში იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ბავშვის ბუნების მოთხოვნილებამ დაბრკოლება არაში ნახოს.

რაც შეიძლება უნდა ეცადნენ, რომ ყოველთვის ერთ დროს იძინებდეს ბავშვი და იღვიძებდეს; თორემ მერმე ღამით არც დედას და არც შვილს მოსვენება არ ექნება, და ეს იმათი სიმრთელისათვის არ არის კარგი. თუ ბავშვს ისე გაანებივრებენ, რომ ყოველ იმის ჭყავილზედ, დღისით, თუ ღამით, მაშინვე პირში ძუძუს ჩაუდებენ, თუნდა რომ არც კი ჰშიოდეს, მაშინ ამ ჩვეულებამ იქნება პატარახანს კი დაამშვიდოს ბავშვი, მაგრამ ეს იმას ჩვეულებად გარდაექცევა, და მერმე თავის დედას

მოსვენებას არ მისცემს და თავის სიმრთელესაც დიდად ავნებს.

რადგან მოსასვენებლად ღამე უფრო ყველაზედ უკეთესი დრო არის, ამისათვის უნდა ვცდილობდეთ, რომ ამ დროს კაცის ძილი მოსვენებით იყოს. ამისათვის ბავშვი უნდა შევაჩვიოთ, რომ თავის დროზე ჭამოს. ძილიც და ყოველი ბუნების მოთხოვნილებანი თავ-თავის დროზე ასრულოს. ამ წესის მიხედვით ბავშვი უნდა შევაჩვიოთ, რომ შუადღისას ერთი ანუ ორი საათი ეძინოს, რადგან დღისით ძილი, რაც უნდა იყოს, მაინც ყველა ბავშვებისათვის საჭიროა, მინამ ისინი ორი ანუ სამი წლისა არ შეიქნებიან. კარგის მოვლით შეიძლება შეაჩვიონ ემაწვილი შუადღის ძილს; და თუ შუადღისას არ დაიძინებს, მაშინ იმას საღამო-ჟამს დაეძინება და მერმე ღამე კარგა ველარ დაიძინებს. შუადღის ძილი ჭირვეული ბავშვებისათვის მეტად მარგებელია; ამ ბავშვებისათვის ორი ანუ სამი წლის შემდეგაც შუადღის ძილი სასარგებლო იქნება.

ყოველთვის, როდესაც ბავშვს სძინავს, უნდა გაუფთხილდნენ, რომ სინათლემ და ხმაურობამ ძილი არ დაუფთხოს. სინათლე და ხმაურობა ბავშვისათვის ყოველთვის მავნებელი არის, თუნდა რომ ბავშვსაც არ გამოეღვიძოს, ამისათვის რომ სინათლე და ხმაურობა ბავშვს ძილს უფთხობს, ნერვების მგრძნობელობას აღუძრავს და ამის გამო შეიძლება ფილენჯის ქარი გაუჩინოს. ზოგი ამ წესს სრულებით ყურს არ უგდებს და ასე ჰგონია, თუ ბავშვს ხმაურობის გამო არ გამოეღვიძა, არა უშავსრა. მაგრამ ამ გვარს აზრს ძალიან მავნებელი შედეგი მოსდევს.

თუ ბავშვს კუჭში საჭმლით სავსე აქვს, მაშინ იმის ძილიც უფრო მოუსვენებელი და შფოთიანი იქნება. ამის გამო ჭამის უკან ბავშვი მაშინვე არ უნდა დააწვინოს. თუმცა, ბავშვი პირველ თვეში ჭამის უკან მაშინვე დაიძინებს ხოლმე და ამისგამო, რასაკვირველია, ამ წესს იმისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ შემდეგში კი ამ წესს ყურადღება უნდა მიაქციონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ როდის უნდა დააწვინონ ბავშვი დასაძინებლად?—ამაზედ წე-სი არ არის დადებული. ეს უფრო ბავშვის აგებულებაზედ, იმის სიმრთელეზედ და მოვლაზედ არის დამოკიდებული. თუ ბავშვს მოსვენებით სძინავს ხოლმე და ფხიზლობის დროს მოძრაობაშია და მხიარულად არის, და თუ ამასთანავე აგებულების მუშაობა კარგად სწარმოებს, მაშინ ეს იმასა ჰნიშნავს, რომ ამ ბავშვს კაი მოვლა აქვს. ამის გამო ჩვენ არ უნდა შევწუხდეთ, თუ ამ ბავშვს ძილი ერთი საათით მეტ ნაკლები მოუვიდა სხვა თავის ტოლ ბავშვებზედ. მაგრამ თუ ბავშვს მოუსვენებლად და შფოთიანად სძინავს და ფხიზლობის დროს მოწყენილი და შეწუხებულია და თუ საჭმლის მუშაობა კარგად ვერ სწარმოებს, მაშინ ეს იმას ჰნიშნავს, რომ იმის მოვლაში შეცდომა მოსდარა რამე, ანუ იგი ან გამძღარი დაუწვენიათ და ან კიდევ სხვა რამე მიზეზი არის.

ყველაზედ მომეტებულად მზრუნველ დედებს და ძიძებს ის აწუხებს, როდესაც ბავშვს ძილი გაუტყდება. ამ დროს დედები და ძიძები ხმარობენ სხვა-და-სხვა ღონის-ძიებას, რომ ბავშვი დაეძინოთ. მრთელ ბავშვს, თუ კარგად მოუარეს და არა აწყინესრა, ადვილად დაეძინება თავის დროზედ; და თუ ბავშვი ყანიანობს და თავის დროზედ არ იძინებს, მაშინ იმას უეჭველად ექნება რამე მიზეზი, რომელიც კაცმა უნდა შეიტყოს და მოარიდოს. და თუ ამ ბავშვის უძილობის გარეშე მიზეზი ვერ შევიგნეთ, მაშინ იმის უძილობის მიზეზი უთუოდ სიმრთელის რამე მოშლილობა იქნება და ყმაწვილს იმისთვის არ ეძინება, რომ ავად არის. ამ შემთხვევაში რჩევა უნდა ჰკითხონ ექიმს. როდესაც ბავშვი კარგად შეიქნება, ძილიც იმას მოუვა. მაგრამ დედები და ძიძები ხშირად არ ეძიებენ ბავშვის უძილობის სწორე მიზეზს და ასე ჰგონიათ ამგვარი უძილობა ბავშვის ყანიანობისა და აგზნებისაგან წარმოსდგებაო და ამისგამო მაშინვე მიჰვარდებიან ხოლმე სხვა და სხვა დამაძინებელ წამლებს, კაპლებს, ხაშხაშს და კიდევ სხვა რაღაც რაღაცეებს და ასმევენ ბავშვს, რომ დაეძინოს: იმას კი არ უგდებენ ყურს,

თუ როგორი გავლენა აქვს ამ წამლებს ბავშვის სიმრთელეზედ და ერთობ იმის აგებულებაზედ. იმათთვის ეს სულერთია, ოღონდ კი ყმაწვილს ჩქარა დაეძინოს, და როდესაც ამას ასრულებენ, მაშინ დიდად მოხარულნი არიან, რომ ბავშვი დაიძინებს; ის კი არ იციან, თუ ძილის მაგივრად ამ გვარი წამლებით ბავშვი გაარეტიანეს ანუ დაათვრეს და უგრძნობელ მდგომარეობაში მოიყვანეს. ამ გვარ ღინის-ძიებას დიდი მავნებლობა მოსდევს. ხშირად ამ ღონის-ძიების უგუნურ ხმარებას ბავშვი თან გადაჰყოლია. იმ ოთახში, სადაც ბავშვსა სძინავს, ყვავილების ანუ სხვა სუნნელოვანი საგნების შენახვა არვარგა, ამისათვის რომ ძლიერი სუნი ბავშვის ნერვების სისტემას ავნებს.

ბავშვის ძილისათვის და ერთობ მრთელი იმის სიმრთელისათვის მეტად კარგი იქნება, რომ ყოველ დღე რამდენიმე საათით ბავშვის ტანთსაცმელი და ქვეშსაგები გარეთ კარში გამოჰფინონ. ყოველთვის სუფთა საღამური ტანისამოსი ბავშვის სიმშვიდისათვის და იმის სიმრთელისათვის მარგებელია.

## თავი 9.

### როგორი ძიძა უნდა აიყვანონ ბავშვის მაწოებლად და ან ამ ძიძას როგორი ყოფაქცევა უნდა ჰქონდეს.

ხან-და-ხან თუმცა დედა კარგად იქცევა ხოლმე, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო თავის შვილს ვერ აწოებს და ამის გამო ბავშვის მაწოებლად უნდა ძიძა აიყვანონ. ეხლა მე მკითხველს ვუჩვენებ იმ წესებს, რომელიც უნდა აასრულონ მაშინ ამორჩევის დროს.

მე წინად ვსთქვი, თუ დედის აგებულებას როგორი ახლო კავშირი აქვს ბავშვის აგებულებასთან. აქედგან ცხადათ სჩანს, რომ თუ დედა კარგად არის, მაშინ იმის რძე ბავშვისათვის ყველაზედ უმჯობესი იქნება, და თუ რამე მიზეზისა გამო დედას წოება არ შეუძლიან, მაშინ ისეთი ძიძა უნდა ამოარჩიონ, რომელიც ყმაწვილის დედას უფრო მიემგზავსება. ეს არის საზოგადო წესი, რომლის წინააღმდეგს ვერავინ იტყვის. მაგრამ ცხოვრებაში ამ წესის ასრულება ხშირად სხვა და-სხვა მიზეზისა გამო არ შეიძლება, და ამის გამო იძულებულნი არიან აიყვანონ ისეთი ძიძა, რომელიც თავის აგებულებით ყმაწვილის დედას სრულებით არა ჰგავს. მინამ მკითხველს ამგვარს შემთხვევებზედ მოველაპარაკები, მე მსურს ჯერ პირველად ვსთქვა, თუ როგორ სასარგებლოა ყმაწვილისათვის, როდესაც იმის დედასა და ძიძას შუა დიდი მგზავსება არის. საზოგადოდ კარგი იქნება, როდესაც დედისა და ძიძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლოვანებაში დიდი განსხვავება არ არის. მე ამით ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვიდმეტი ანუ თვრამეტის წლის დედას, თუ [illegible]ლა, უთუოდ თავის ხნის ძიძა უნდა ამოარჩიოს, ან არა და თუ ხნიერ დედას ეყოლა შვილი, იმანაც უთუოდ ხნიერი ძიძა უნდა აიყვანოს. ეს მეტის-მეტი იქნება. მე მხოლოდ ის მინდა მეთქვა, რომ კარგი იქნება, თუ ახალგაზდა დედის შვილს ახალგაზდა ძიძა შეჰხვდა და არა ხნიერი; ანუ, როდესაც ხნიერ დედის შვილს სრულ ასაკში მოსული ძიძა შეჰხვდება. ეს იმისათვის არის საჭირო, რომ წლოვანებას აქვს დიდი გავლენა რძის თვისებაზედ: ორმოცი წლის დედაკაცის რძეს არა აქვს ისეთი თვისება, როგორიც ოცის წლის დედის შვილისათვის არის საჭირო. ამავე მიზეზისაგამო კარგი იქნება, რომ ისეთი ძიძა აიყვანონ, რომელსაც დაახლოვებით იმ დროს ჰყოლოდეს შვილი, რადროსაც ყმაწვილის დედა დაწვა ლოგინად. ამას გარდა კარგი იქნება, რომ ძიძა ტანის მოყვანილობითაც ბავშვის დედასა ჰგავდეს, რადგან გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მდაბალი და ჩასხმული ძიძები კარგად ვერ აწოვებენ მაღალი და გამხდარი დედების შვილებს.

ის მიზეზები, რომლის გამოც დედას არ შეუძლიან თავის შვილების წოვება, ორგვარი არის. პირველ გვარ მიზეზებად ითქმის ის მკირი შემთხვევა, როდესაც ჯანიანი და სრულებით კარგად მყოფი დედა უცებ მოულოდნელის სნეულებით ანუ რამე აგებულების მოშლილობით ავად გახდება და ძუძუს წოვებას ვეღარ შეიძლებს. ამ შემთხვევაში ძალიან გამოსაყენებელია ის წესი, რომელზედაც მე წინად ვსთქვი, ესე იგი, მაშინ ისეთი ძიძის შოვნა, რომელიც ყოველის მხრით დედას ემგზავსებოდეს, ყველაზედ უმჯობესი იქნება. მეორე გვარი უფრო ხშირი მიზეზები მიეწერება იმ მხირ შემთხვევებს, როდესაც დედას თავის აგებულების სისუსტის გამო ძუძუს წოვება არ შეუძლიან. ამ შემთხვევაში კი, რასაკვირველია, ისეთი ძიძა არ უნდა აიყვანონ, რომელიც დედასა ჰგვანდეს, ესე იგი, დედასავით სუსტი აგებულებისა იყოს; პი-

რაჭით ისეთი ძმა უნდა ამოირჩიონ, რომელსაც დედის ნათესაობა არა ჰქონდეს, თორემ ბავშვიც სუსტი აგებულებისა შეიქნება. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სუსტი ბავშვისათვის, რომელიც დაბადებულა სუსტივე აგებულების დედისაგან, ძალიან სასარგებლო იქნება აიყვანონ ისეთი მრთელი და ჯანიანი, რომელსაც დედის ნაკლულევანება არა ჰქონდეს. მაგრამ ამასთანავე უნდა მხედველობაში გვქონდეს, რომ ერთობ ძიძასა და ყმაწვილის დედას შუა დიდი განსხვავება არ იყოს, თორემ ძიძის რძე ბავშვის აგებულებისათვის შესაფერი არ იქნება.

მე წინად ვსთქვი, რომ ისეთი ძიძა უნდა აიყვანონ, რომელსაც ყმაწვილის დედის ლოგინობის დროსა ჰყოლოდეს შვილი. ეს იმისათვის არის საჭირო, რომ ის რძე, რომელიც ახალ-ნალოგინევ დედაკაცსა აქვს, თავის თვისებით არა ჰგავს იმ რძეს, რომელიც ერთი თვის ანუ ექვსი კვირის ნალოგინევ დედაკაცს ექნება. თუ ძიძას ყმაწვილის დედაზედ უფრო ძველი რძე აქვს, მაშინ იმ ძიძამ, პირველ კვირებში უნდა მსუბუქი და თხელი საჭმელი ისმაროს. ამით შეიძლება ამ ნაკლულევანების მორიდება. ერთობ მინამ ძიძა ბავშვს ძუძუს აწოებს, იმის სასმელ საჭმელს უნდა ყური უგდონ. იმასაც უნდა გაუფთხილდნენ, რომ ძიძას სული დამშვიდებული ჰქონდეს და ყოველთვის კარგ გუნებაზედ იყოს. ერთ დოკტორს მოჰყავს ერთი გასაოცარი მაგალითი იმაზედ, თუ როგორი მავნებელი მოქმედება აქვს ბავშვზედ ძუძუს მწოებლის აღშფოთებას. ერთ დურგალთან იდგა ერთი სალდათი. ამ დურგალსა და ამ სალდათს ჩხუბი მოუვიდათ; სალდათმა იშიშვლა ხმალი და მიჰვარდა დურგალს. დურგლის ცოლი ამ ჩხუბისაგან ჯერ სულ შიშით თრთოდა, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ იმის ქმარი საფრთხეში იყო, უცებ მიჰვარდა მისაშველებლად მაჩხუბრებს, გამოსტაცა სალდათს ხელიდან ხმალი, გადაამტვრია რამდენიმე ნაწილად და გადაყარა. ამ ჩხუბის სმაურობაზედ მეზობლები მიეშველნენ და ჩხუბი გააშველებინეს. დურგლის ცოლმა, რომელსაც შიშით ჯერ გული არ დამშვიდებოდა, ამო-

იყვნა აკვნიდან მხიარული და სრულებით კარგად მყოფი თავისი შვილი, რომელსაც თავის-დღეში სნეულება არ გამოეცადა და დაუწყო მუძუს წოვება: ამ შემთხვევამ სამუდამოდ გადასწყვიტა ბავშვის ბედი. რამდენიმე წამს უკან უმაწვილმა პირიდგან მუძუ გამოაგდო, გაყინიანდა, მწუხარედ შეიქნა და ბოლოს მუძუს წოვებაშივე სული ამოხდა. მაშინვე ქმარს დაუძახეს. როდესაც ქმარი მოვიდა, ბავშვი აკვანში იწვა; პირის სახე შეუცვლელი ჰქონდა და კაცს რომ შეეხედნა, ასე ეგონებოდა სძინავსო. ყოველმა ქმრის მეცადინეობამ და ღონის-ძიებამ ფუჭად ჩაიარა, რადგან ბავშვი სრულებით მკვდარი იყო. რასაკვირველია, ამ გვარი შემთხვევები იშვიათია; მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ის შემთხვევები კი ძალიან ხშირია, რომ ავგული ხასიათის გამო დედები მუძუს წოვების წინად, ანუ წოვების დროს ხშირად ჯავრობენ ხოლმე; ამ გვარი გაჯავრება და გულის შეშფოთება, თუმცა ბავშვს ერთბაშად და მალე არ გამოაჩნდება, მაგრამ მაინც შემდეგ დიდ უბედურებას დაჰმართებს ხოლმე იმათ შვილებს; ამისათვის იმ დედებმა, რომელთაც ხშირად მალ-მალ გულის მოსვლა და გაჯავრება, ის არ უნდა დაივიწყონ, რაც დურგლის შვილს დაემართა.

ამას გარდა ცუდი ხასიათის და ზნეობის ძიძები იმისათვის არ უნდა აიყვანონ, რომ ამ გვარი ძიძები უმაწვილებს ცუდად უვლიან, და ამას დედები ყოველთვის ვერ ამჩნევენ. ამ გვარ ძიძების ხელში უმაწვილები ხშირად უბედურები შეიქნებიან ხოლმე, თუმცა კი ბევრჯელ თვალით არა ჩანს ხოლმე ამ უბედურების მიზეზი. კაცმა, რომ ისე შეჰხედოს ცუდი ხასიათის ძიძის მოვლას, ასე ეგონება ბავშვს ის კარგად უვლისო; მაგრამ იმის ცუდი ხასიათი მაშინ გამოჩნდება, როდესაც იმას არავინ უცქერის და ბავშვი მარტო იმის ანაბარა რჩება ხოლმე; ამის გამო ბევრი ბავშვი იტანჯება და სამუდამოდ უხდება იმას ხასიათი. რასაკვირველია ხან-და-ხან მზრუნველი და გულ-შემატკივარი დედა კაი ყურის გდებით შეიტყობს, რომ ძიძის ცუდი ყურის გდებით იტანჯება

ბავშვი; მაგრამ უფრო მომეტებული ნაწილი დედები, რაკი ძუძუს უშორე-ნიან თავის შვილს, ყურს კარგად აღარ უდგებენ, ასე ჰგონიათ ძიძა არაფერში შესცდება. რასაკვირველია, თუ ბავშვს ამ გვარი მოვლა აქვს, მაშინ ყველა რჩევა და დარიგება ტყუილი იქნება; ამ მიზეზის მორიდე-ბა შეიძლება მაშინ, როდესაც ძიძის ამორჩევაში ფთხილად მოიქცევიან.

მაწოებელ დედას თუ რძე შემოაკლდა, მაშინ ისა ცდილობს სა-შუალობის მოპოებას. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ცუდი ძიძის ხელ-ში, რომელსაც ბავშვზედ გულის შეტკივნა არა აქვს, სულ სხვა გამო-დის. ცუდ ძიძას ეშინიან, რომ ადგილი არ დაკარგოს და არ გააგდონ, და იმისათვის, როცა ბავშვის საწოებელი რძე გამოელევა, მაშინ ის იმას ჰმალავს და არავის ეუბნება; იმის რძის ნაკლებობა რომ ბავშვს არ გამოაჩნდეს, ამისათვის ის ყმაწვილს სხვა საჭმელს აძლევს. რასაკვირ-ველია, ეს სხვა გვარი საჭმელი ბავშვის შესაფერი არ იქნება: ოღონდ კი ბავშვმა ჭამოს ეს საჭმელი და ძიძა იმას ყურს არ უგდებს, თუ რა-ზომით და როდის უნდა აჭამოს ბავშვს. ამ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, ბავშვი საჭმლის მოუნელებლობით და წელების ტკივილებით ავათ ხდე-ბა და თუ მშობელი ამ ძიძას სანდო თვალით უცქერის, მაშინ, რასა-კვირველია, ყმაწვილის მწუხარების მიზეზს ვერ შეიტყობს. აი რისა-თვის უნდა ჰქონდეთ მხედველობაში ძიძის ამორჩევის დროს მისი ხასიათი და ნამეტნავად მაშინ, როდესაც ძიძის შოვნა ძნელია ხოლმე. ძიძის ამორჩევის დროს ყოველთვის საჭიროა, რომ გამოცდილ ექიმს დაუძახონ, რომელმაც ძიძის სიმრთელე უნდა კარგად შეამოწმოს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ დიდ გალდებულებას ბევრი ყურს არ უგდებს. ხშირად შეიძლება კაცი გარეშე გაშინჯვით შესცდეს, და იმ დედაკაცს, რომელიც შეხედულობით მრთელი უნდა იყვეს, ბევრჯელ მოხდება, რომ ძუძუს წოება კი არ შეეძლება. ძიძის ამორჩევის დროს კაცმა უნდა იცოდეს ის ნიშნები, რომლითაც შეიძლება შეიტყოს, შეუძლიან ძიძას ძუძუს წოება, თუ არა? აი, მაგალითად, როგორი ნიშნები უნდა

ჰქონდეს კარგ ძიძას: კაი სიმრთელის აგებულება, მოამაგლობით[illegible]-თვლე, ზომიერი სიმსუქნე, სუფთა და ქორფა პირის სახე, დაწმენდი-ლი და მხიარული თვალები, დამსხდარი ტუჩები, მაგარი თეთრი კბი-ლები, წითელი და მაგარი ღრძილები, კარგად ჩასხმული და დადუნებუ-ლი ძუძუები, დამშვიდებული და მუწუკებს დაუფრელი ძუძუს თავები. ეს კიდევ ცოტაა; ამას გარდა უნდა კარგად დაუთვალიერონ უმთავრესი სხეულის მუშაობანი როგორათ უსრულდებიან, რძე კარგი და საკმაო აქვს თუ არა. თუ ძიძას თავისი შვილი კარგათ უყავს, მაშინ უეჭვე-ლია იმის რძეც კარგი და საკმაო იქნება. კაი რძე კიდევ მით შეიტყო-ბა, რომელსაც ის მოთეთრო-მოლურჯო ფერისაა, ცოტა წყალივით და მოტკბო არის, და ამასთანავე არავითარ სუნი არა აქვს.—კაი რძე, წყლით სავსე ჭიქაში რომ ჩაასხათ, მაშინვე წყალში შეერევა და გარ-შემო ცისფრად შეღებავს; ცუდ რძეს კი მაშინვე წვეთ-წვეთად დასძი-რავს; მაგრამ, თუ ძიძას კარგი რძე აქვს, ამაზედ ყველაზედ მომეტებუ-ლად დაგვარწმუნებს ის, რომელსაც იმის საკუთარი შვილი მრთელი, მხიარული, ცელქი და კარგად შენახულია.

რომელსაც ძიძას აიყვანენ, მაშინ საჭიროა, რომ პირველ ხანებში თითონ დედამ უგდოს იმის ქცევას ყური, მალ-მალ შეხედოს ბავშვის ოთახში და თითონ დარწმუნდეს: ძიძა კარგად ასრულებს თავის მოვა-ლეობას თუ არა. თუ დედამ შეამჩნია, რომ ძიძა მართლა გულით ცდილობს და ასრულებს თავის ვალს, შესასებ ძუძუს წოვებისა, უფრ-თხილდება ბავშვის სისუფთავეს და თუ ამასთანავე ის მომთმენია და მდაბალი გულისა, ბავშვის დღით და ღამით მოვლა იმას არ აწუხებს, ყოველთვის კმაყოფილი, მხიარული და საქმიანობაშია,—მაშინ დედა უნდა მოხარული იყოს, რომ ბედმა ამ გვარი ძიძა შეახვედრა. და თუ უეცრივ დედა უმაწვილების ოთახში შევიდა და ნახა, რომ ბავშვი მშიერია, ჟინ-ანი და უწმინდურად არის, ოთახში ნოტიოა ანუ სიცხეა და ცუდი ჰაე-რი დგას, და ამასთანავე თუ შეამჩნია, რომ ძიძა ყველაფერს გულ-გრი-

ლად უცქერის, პირქუშად და ზარმაცად არის, მაშინ აქედან [illegible] ჩნანს, რომ იმას თავის მოვალეობის ასრულება არ შეუძლიან. თუ მამა კარგად ასრულებს თავის ვალს, მაშინ დედამაც კარგად უნდა დააფასოს ეს, ალერსიანად და კარგად უნდა მოექცეს, რომ უფრო გულის შეტკივნა ჰქონდეს დედაზედ და შვილზედ; მაგრამ, რაც უნდა კარგი ძიძა იყოს, მაინც დედას მოვალეობა აქვს, რომ თავის შვილის სიმრთელეს ყური უგდოს. ბედნიერი, ყმაწვილი დედა, თუ თავის პირველი შვილის აღზრდაში კარგად აასრულებს თავის მოვალეობას, მაშინ სხვა შვილებს უფრო უკეთესად მოუვლის.

ძიძის ყველაზედ მეტი ნაკლულევანება იმაში მდგომარეობს, რომელსაც ის მოუთმენელია და ცხადად ანუ მალვით სვამს სხვა-და-სხვა მ[illegible]რვალე და ცხარე სასმელებს თავის ძალის მოსამატებლად, და ანუ თავის დასამშვიდებლად. კაი ძიძებისათვის საჭირო არ არის სხვა-და-სხვა მაგარი სასმელები იმათ ძალის მისაცემად; ღვინო ანუ სხვა სასმელი შეიძლება ცოტა ისმარონ, თუ ექიმმა ამისი ნება მისცა. თუ როგორ მავნებელი და საუბედუროა ბავშვებისათვის უქმოდ სხვა-და-სხვა წამლების სმევა, ამაზედ მკითხველს წინად მოვახსენე.

ხან-და ხან, ხელ-ახლად რიგის აშლის გამო, ძიძას რძე უხდება და თუ ძიძამ ეს დაჰფარა, მაშინ ბავშვის შეწუხების მიზეზის შეტყობა, რაც საკვირველია, ძნელი იქნება. ამ შემთხვევებში ძიძა უნდა მაშინვე გამოცვალონ; ზოგჯერ კი ეს ბავშვისათვის მავნებელი არ არის, თუ ძიძის რძის გარდა ყმაწვილი სხვა შესაფერ საჭმელსაც სჭამს და თუ ერთიობ ძიძა კარგი სიმრთელისა არის. მაგრამ რაც უნდა იყვეს, რა წამს ეს მოხდება, მაშინვე მავნებლობის მოსაშორებლად უნდა რამე საშუალება მიიღონ. თუ ეს შემთხვევა ძიძას მაშინ დაემართა, როდესაც ერთი ანუ ორი თვის ბავშვს აწოვებს ძუძუს, ყმაწვილისათვის დიდად მავნებელი იქნება და თუ ეს ძუძუს წოვების შემდეგ ანუ შემდეგ თვის უკან მოხდა, მაშინ თითქმის არაფერი უშავს.

## თავი 10.

### რა და ან როგორ უნდა აჭამონ ბავშვს, როდესაც დედას ძუძუს წოება არ შეუძლიან და ვერც მიძას შოულობენ?

ხან და-ხან დედას სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო თითონ არ შეუძლიან ძუძუ აწოვოს და ამასთანავე ვერც მაწოებელ ძიძას შოულობს ხოლმე. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ყმაწვილს მაინც საჭმელი უნდა და ამისთვის როგორმე ხელით უნდა აჭამონ. ბევრი სუსტი და ნაზი აგებულების ბავშვი ვერ აიტანს ამ გვარ ხელით ჭმევას და იხოცება; მაგარი და მთელი აგებულების ბავშვებიც დიდის ფთხილის მოვლით იტანენ ამ გვარ ხელით ჭმევას. საზოგადოდ ამ დროს დედებმა გულს-მოდგინედ და ფთხილად უნდა მოუარონ ყმაწვილებს და ამით შეიძლება თავის შვილები უბედურებას გადაარჩინონ.

ახლა, რასაკვირველია, მკითხავს მკითხველი: ამ შემთხვევაში რა საჭმელი უფრო უკეთესი იქნება ბავშვების მისაცემათო და ან როგორ უნდა აძლიონ ყმაწვილს ეს საჭმელიო? ამ კითხვაზედ აი რა შეგვიძლიან ვუპასუხოთ: ჩვენ ვიცით, რომ ახალ-დაბადებულის საჭმლის მოსანელებელი ორგანოები ჯერ ძალიან სუსტი არის და ის რძეც, რომელიც თითონ ბუნებას იმის საჭმელად დაუწესებია, პირველ ხანში წყალივით ანუ შრატივით არის. მაშასადამე, შეგვიძლიან აქედგან გამოვიყვანოთ, რომ ბავშვისათვის ყველაზედ უკეთესი იქნება ის საჭმელი, რომელიც დედის რძეს უფრო მიემგზავსება. აქ უნდა ვსთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ვირის რძეს არა საჭმელი არ შეედრება, და თუ ვირის რძის შოვნა არ შეიძლება, მაშინ იმის მაგივრად წყალ-ნარევი და გატკბილებული ძროხის ანუ თხის რძე შეიძლება აჭამონ. პირველ ხანებში ძროხის რძეში,

რომელსაც ბავშვს აჭმევენ, მესამედი ნაწილი წყალი უნდა ერთოს და თხის რძეში კი მესამედზედ მეტი შეიძლება გაურიონ. ერთი ან ორი კვირის უკან შეიძლება წყალს, რომელსაც რძეში ურევენ, თან-და-თან მოუკლონ: ეს ყველამ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ სჯობია ცოტა წყალი მეტი მოუვიდეს რძეს, ვიდრე ნაკლები, ამისათვის რომ მეტი წყალი თირკმლებიდგან ადვილად გამოვა და თუ მეტი ნოყიერი საჭმელი მოუვიდა, ეს კი ბავშვს კუჭს მოუშლის.

ბავშვის საჭმელი ისე თბილი უნდა იყვეს, როგორც დედის რძეა, ესე იგი, ოცდა რვა ანუ ოცდა ცხრა რეომიურის გრადუსი, რადგან ამ გვარი სარისხის სითბო ბავშვის აგებულებას უფრო შეჰფერის. ძიძები ამას თითქმის სრულებით ყურს არ უგდებენ, თუმცა კი ამ წესის ასრულება ძალიან ადვილია. აი საჭმელი ბავშვს როგორ უნდა მოუმზადონ: ჯერ უნდა წყალი გაათბონ და მერმე რძეში ჩაურიონ. პირიქით, ჯერ რძის გათბობა და მერმე ამის წყალში გარევა არ ვარგა. წყალიც და რძეც ყოველთვის უნდა ახალი იყოს. გამთბარი შენახული საჭმლის ჭმევა ბავშვს ავნებს. თუ ესე არ მოიქცნენ მაშინ უმაწვილს ადვილად მოუშლება საჭმლის მონელებელი ორგანოები.

როგორ უნდა აძლიონ ბავშვს საჭმელი? ეს ძალიან საჭირო კითხვაა. ამ შემთხვევაშიაც უნდა ბავშვის ბუნების შესაფერად მოიქცნენ. ესე იგი, უნდა ეცადნენ, რომ ბავშმა ნელ-ნელა მიიღოს საჭმელი. რეზინის საწოვებლის ხმარება სჯობია კოვზის ხმარებას, მაგრამ ამ საწოვებელს ვიწრო და პატარა ნახვრეტი უნდა ჰქონდეს, რომ რძე ნელ-ნელა გამოიწოვებოდეს. საწოვებელი უნდა სუფთად ჰქონდეთ შენახული; ყოველ ჭმევის უკან საწოვებელი უნდა თბილი წყლით გარეცხონ და მერმე ცივ წყალში შეინახონ; თუ ასე არ მოიქცნენ, მაშინ ის რძე, რომელიც საწოვებელში ჩარჩა,—დამჟავდება და სული მიეცემა და ამის გამო ადვილად შეიძლება ბავშვს საჭმლის მონელებელი ორგანოები მოუშალოს. ამას გარდა საწოვებლის თავი, რომელსაც ბავშვი პირში იდებს, უნდა მოკლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს, თორემ შეიძლება წუწნის დროს ყმაწვილმა ღრძილებით მოაწოროს და რძის გამოსვლა შეაჩეროს.

ეხლა, რასაკვირველია, ისიც საჭიროა ვიცოდეთ, როგორც ხშირად, ან რამდენი უნდა ვაძლიოთ ყმაწვილს საჭმელი. ამ შემთხვევაში უნდა გვქონდეს ხელმძღვანელად ბავშვის ბუნება.

მე წინად ვსთქვი, რომ პირველ ორ სამ კვირას დაბადების უკან ბავშვს თითქმის სულ სძინავს და მხოლოდ მაშინ საწოვებლად იღვიძებს და მერე ისევ ისე იძინებს; იმის კუჭი ძალიან პატარა და საჭმლის უჩვევი არის და ამისთვის ყმაწვილი ძალიან ცოტ-ცოტას სჭამს ხოლმე. მამასადამე აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ყმაწვილს, თუ დედის რძე არა აქვს, მაინც სხვა საჭმელი უნდა ცოტ-ცოტა აძლიოთ. თუ შეატყვეს, რომ ბავშვი საჭმელს აღარ ეტანება, მაშინ ეს იმას ჰნიშნავს, რომ იმდროს იმისათვის საჭმელი საჭირო აღარ არის. შეიძლება საზოგადოდ მივიღოთ ეს წესი, რომ პირველ ორს ანუ სამ კვირას ბავშვისათვის საკმაო იქნება დღეში ექვსი სტოლის კოვზიდგან რვა სტოლის კოვზამდის საჭმლის მიცემა. ამაზედ მეტი საჭმელი იმას აღარ ეჭირვება. ბევრ დედას და ძიძას ანუ ჰგონია, რომ თხელ საჭმელს კაი ყუათი არა აქვსო და ამის გამო ხშირ-ხშირად აჭმევენ; ამით ბავშვს კუჭი უმძიმდება და ხან-და-ხან პირიდგანაც ანაქმებს. ზოგჯერ ძიძებს ანუ ჰგონიათ, რომ პირიდგან საქმობა ბავშვის სიმრთელის ნიშანია და საჭმლის ჭამას უფრო უმატებენ, ის კი არა თუ ამით ბავშვს სიმრთელე ეშლება. თუ ბავშვი მხიარულად არის, მოსვენებითა სძინავს და წელებიც კარგ მდგომარეობაში აქვს, მაშინ სამს ანუ ოთხს კვირას შეიძლება რძეში გასარევ წყალს ცოტ-ცოტა უკლონ და ოთხი ანუ ხუთითვის უკან ცარიელი რძე აჭამონ, რასაკვირველია, თუ ბავშვი ამას კარგად აიტანს. ბავშვის საჭმელი რძე უნდა კაი მრთელი ძროხისა იყოს და არა ჭლექიანისა. ამ გვარი ჭამა ბავშვისათვის ყველაზედ უკეთესი იქნება. თუ ყმაწვილი ამას კარგად იტანს, მაშინ წინა კბილების ამოსვლამდის საჭმლის შეცვლა საჭირო აღარ არის.

ხან-და-ხან ზოგიერთ ბავშვებს ამ გვარად მომზადებულ[illegible] არ მოუხდებათ ხოლმე. მაშინ, რასაკვირველია, ამ ბავშვებს საჭმელი ...კა იგრივ უნდა მოუმზადონ: უნდა გაურიონ რძეში წინასწარ ზედ ...ტი წყალი და ამასთანავე ცოტა კარგად შემზადებული ფქვილის საჭ-მელი. რომელსაც ერთს ანუ ორს თვეს დაბადების უკან წყალ ნარევი ...ე ბავშვისათვის აღარ ეყოფება, მაშინ შეიძლება რძეში გაურიონ ცო-ტა ფქვილეული რამ საჭმელი, მაგალითად, არარუტი, ბრინჯი ანუ ...ფქვილი. აი ეს საჭმელი როგორ უნდა მოამზადონ: ჯერ უნდა რომე-...მე ზემოხსენებული ფქვილეული საჭმელი წყალში ადუღონ, მერე ... ადუღებული წყალი გასწურონ და ეს გაწურული წყალი რძეში ...ურიონ. ზოგიერთ ქვეყნებში ამზადებენ ხორბლის ფქვილის წვენს, აი ...გვარად: ჯერ ხორბლის ფქვილს ფეჩში ჰხრაკვენ, მერე კარგა ხანს ...ლში ანუ წყალ-ნარევ რძეში ადუღებენ და ცოტა შაქარსაც ჩაურევენ ...ლმე. ამ გვარად შემზადებული წვენი სქელი არ უნდა იყოს და არც ...ქვილის გუნდები ერიოს. ეს წვენი ჩინებული საჭმელია ბავშვისათვის ...შინ, რომელსაც რძეს უმაწვილი ვერ იტანს. ამ წვენის ხმარებით ხში-...დ ბავშვი საჭმელს უფრო უკეთესად მოინელებს და გარეთაც წესიერად ...დის.

ხან-და-ხან, რომელსაც უმაწვილს წელები სუსტათა აქვს, კარგი იქ-...ბა მარტო ქერის ფაფა აჭამონ, ან არა და ვარიის ანუ ძროხის უმ-...ქნო წვენი ასვიონ. ერთობ ყოველ საჭმლის გამოცვლაზედ, ბავშვის ...გებულების შესაფერად უნდა მოიქცნენ: თუ ბავშვი სუსტი და დუნდუ-...ა არის, მაშინ ვარიის ანუ ძროხის წვენის ჭამა უფრო კარგი იქნე-...ა და თუ ცელქი და ჭირვეული ბავშვი იქნება, მაშინ რძიანი და ფქვი-...ეული საჭმელი უფრო უკეთესი იქნება. თუ საჭმლის გამოცვლა ბავ-...ს მალე არ მოუხდა, არ უნდა იფიქრონ, ვითომც ეს საჭმელი მარ-...ი არ იყოს; ამისათვის რომ შეიძლება ერთი-ორი დღე გავიდეს და ...ეულობა მაშინ გამოაჩნდეს. ხან-და-ხან ორი-სამი კვირაც გადის ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმე, რომ ბავშვს საჭმლის გამო უკეთობას ვერ ატყობენ, მაგრამ ამაზედ არ უნდა შეწუხდნენ.

ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ საზოგადოდ, სანამ ბავშვს წინა კბილები არ ამოუვა, მანამ ხორცეულის წვენი არ უნდა აჭამონ. და თუ როგორმე რძიანი ანუ ფქვილეული საჭმელი ბავშვის აგებულებას არ შეეფერის, მაშინვე ამის მაგივრად ბავშვს უნდა ვარიის ანუ ცხვრის თხელი წვენი აჭამონ; მაგრამ ამ წვენში უნდა ერიოს ფქვილეული რამ საჭმელი, ესე იგი ან არრორუტი, ან ბრინჯი და ან სუხარი. რასაკვირველია, ამ საჭმლის ჭამაში ზომას არ უნდა გადავიდნენ. ბევრჯელ ბავშვის საჭმლის მოუნელებლობას საჭმელს აბრალებენ, ის კი არა თუ ეს საჭმლის მოუნელებლობა უმაწვილს მეტის ანუ ხშირ-ხშირის ჭამისაგან მოსდის ხოლმე.

ხორცეულ საჭმელს აგებულებაზედ აღმძვრელი და განმაღვიძებელი მოქმედება აქვს და ფქვილეულს კი სრულებით არა აქვს ამ გვარი მოქმედება. ამისგამო რადგან ბავშვს აგებულება პირველ ხანებში მალე აღეძვრება ხოლმე, ამისათვის ჩვეულებრივ საჭმელთაც რძიანი ანუ ფქვილეული საჭმლის სმარება სჯობია, რასაკვირველია, თუ ბავშვი მეტისმეტად სუსტი არ არის.

ახლა იმაზედ მოგახსენებთ, თუ ჭამის შემდეგ ბავშვს როგორ უნდა მოექცნენ. პირველ ხანში ბავშვი ჭამის უკან მაშინვე იძინებს; ამას მოითხოვს იმის ბუნება და ამისათვის ამას არ უნდა დაუშალოთ. თუ ძიძამ ჭამის უკან უმაწვილს თამაშობა დაუწყო და ძილი გაუტეხა, მაშინ ბავშვი საჭმელს კარგად ველარ მოინელებს და ამისგამო გაჭირვეულდება და მუცლის გვრემა დაემართება, ანუ წყლები მოეშლება. იმ დროსაც, როდესაც ბავშვი საჭმლის მიღების შემდეგ მაშინვე აღარ იძინებს, მოსვენებით უნდა ჰყვანდეთ, რადგან ჭამის უკან სხეულის მოძრაობა უშლის საჭმლის მონელებას.

(შემდეგი იქნება.)

## ცრუ-მენტელაობა დროს გატარებისათვის.

(გაგრძელება.)

### 6

მიუბრუნდეთ ახლა ქურმუხის წმ. გიორგის ინგილოებისთვის მნიშვნელობის ნშობას. ქალ-ვაჟისა და მაცდური ბებრის სიკვდილს ინგილოები, რასაკვირველია, მიაწერენ ქურმუხის წმინდა გიორგის სასწაულთ მოქმედების ძალს. ხალხში ძალიან მრავალია ამბები ამ წმინდის სასწაულთ მოქმედებაზე. იმათგან ახლა მე ერთს ვიტყვი, სხვებს კი დავიჳმებ, რადგან ამ ერთიდამ კარგათ სჩანს ინგილოების სარწმუნოების სიცოცხლე.

როგორც ზემოთა ვსთქვი, ინგილოები ამ ქურმუხის წმინდა გიორგის თავის მფარველად ჰხადიან და მის სასწაულთ-მოქმედებას მიაწერენ თავიანთ შორის ქრისტიანობის დაცვას და ხელ-მეორედ გავრცელებას 1850 წლიდგან ზაქათალის მაზრაში. თუ ეს ეკკლესია არ ყოფილიყო, ამბობენ ისინი, ლეკები აქამდე გააქრობდნენ აქ ქრისტიანობის კვალს და ინგილოების სხენებას. ის მფარველობს და მცველობს ქრისტიანებს და თავის სასწაულ-მოქმედებით აშინებს და უშლის მაჰმადიანთ მათ შეწუხებას და წვალებას. მას თურმე ბევრჯელ ჩაუცხია მაჰმადიანთათვის იმისთვის, რომ უწუხებიათ და უწვალებიათ ქრისტიანები, და მოუყვანია ისინი თავის კარზე სალოცავად. ახლაც ბევრი ლეკები მოდიან სამღრთოთი ამ წმინდა გიორგის პატივის საცემად. ამ ეკლესისთვის თავ-

ჯერ დამცემს წმინდას, რადგან მათ მღვდლები არა ჰყვანდათ, [illegible] მათ მაგივრად მკითხავები, რომელნიც ასწავლიდნენ ხალხს ქრისტიანობის წესს და შთააგონებდნენ მფარველი წმინდანის პატივის ცემას. ჩემის აზრით, სხვათა შორის, ამ მკითხავებს თავიანთ მეცადინეობით დაუცავთ ხალხში ქრისტიანობის სიყვარული და ძველი ეკკლესიების პატივი.

ინგილოებს ეს მკითხავები ძალიან ბევრი ჰყოლიათ სამწუხარო დროებში და მათ შთაუგონებიათ ღვთისთვის მსხვერპლის შეწირვა დანგრეულს ეკკლესიაში. ესენი მომეტებულნი დედათა სქესნი ყოფილან, ორის გარდა, რომელთაგანაც ერთმა 1848 წ. მკითხაობა დაიწყო და 1850 წელს შვიდის კაცით თვითონ მოინათლა და სხვებსაც ამასვე შთააგონებდა. როგორათაც ყოველგან ქვეყანაზე, აგრეთვე აქაც დედათა სქესი უფრო ცრუ-მორწმუნე და ფანატიკები არიან, ვიდრე კაცები. რა მნიშვნელობაც ჰქონიათ ამ გვარ დედაკაცებს ხალხთა ისტორიაში, იმ გვარი მნიშვნელობა ჰქონიათ იმათ აქაც. რა მონაწილეობა და რა მნიშვნელობა ჰქონიათ ცრუ-მორწმუნეობით გამსჭვალულ დედაკაცებს მერვე საუკუნეში ხატებისთვის პატივის ცემაში და მათი მოწინაამდეგების ძლევაში და დამორჩილებაში, ის მნიშვნელობა და მონაწილეობა მიუღიათ აქაურს დედა-კაცებს ძველებურთა ეკკლესიათათვის პატივის ცემაში. მათ უხმარიათ ყოველი ღონის-ძიება, რომ ხალხმა არ დაივიწყოს თავიანთ პატრონები და მფარველები: ქურმოხის წმინდა გიორგის და ღვთის-მშობლის ცხოვრება და ეკკლესიები მათ ერთად შეუერთებიათ. ინგილო რომ ავად გახდებოდა, ისინი მაშინვე ამ წმინდა გიორგისთან ჰგზავნიდნენ ავად-მყოფს, იქ წმინდა გიორგისთვისაც და ღვთის-მშობლისთვისაც პატივი უნდა ეცა, უამისობა არ შეიძლებოდა. ერთისთვის წყენინება და მეორისთვის სიამოვნება ასე როგორ შეიძლება, ეუბნებოდნენ მკითხავი დედა-კაცები. ესენი ორივენი ჩვენი პატრონები და მფარველები არიან. ესენი საშინელი ხენით სტანჯავენ ჩვენთაგან იმ კაცთა, რომელთაც მაჭ-

მადიანობის მიღება სწადიანთ. აი ეხლა თქვენც, ეუბნებიან სხვათა შო-რის ავად-მყოფებს, გულში გაგიტარებიათ ამ გვარი ფიქრები ამისა-თვის ყველა, ვინც კი მკითხაობას ჩემულობდა, ამ ეკკლესიის წმინდა გიორგის სახელით ქადაგებდა. 1848 წელს მის სახელით დაიწყო მკი-თხაობა ივანე-ბაბა ბულულიშვილმა, მერე 1850 წელში ჩავიდა შვიდი ინგილო კაცით თბილისის ქალაქში, მიიღო ქრისტიანობა, რადგან ამას მოითხოვდა მისგან ეს ეკკლესია; და აი მას აქეთ დაიწყო ზაქათალის მაზრაში ქრისტიანობის გავრცელება. ეს მკითხავი ეხლა აფიცერია და ჯვარაც არ დაუტევებია ის რწმუნება, რომ მას თვით ეს წმინდა ელა-პარაკებოდა, თუმცა კი აღარ მკითხაობს.

ქრისტიანობის შემოსვლით მკითხაობის და წმინდა გიორგის მნიშვნელობა ამ ხალხში არ გათავდა. ისინი ახლაც ბევრნი არიან. მუ-სულმანი ინგილო რომ მოვა ამათთან საკითხავად, ისინი დაუყო-ვნებლივ ეუბნებიან, რომ მას მამა-პაპის სალოცავი წმინდა გიორგი გას-წყრომია. ამ გვარად შთააგონებენ მათ ქრისტიანობის სიყვარულს და მოქცევას. ერთი ამ გვარი მკითხავთაგანი (მამაკაცია) ეხლა არის ხოფ-თასმალოში, სადაც, სამი კომლის გარდა, ყველა მაჰმადიანია. თითონ ეს მკითხავიც მაჰმადიანებს ეკუთვნის; მაგრამ მუდამ კი იმას უქადაგებს ქრისტიანს და მაჰმადიან ინგილოებს, რომელნიც ძალიან დიდს პატივ-სა სცემენ, რომ ქრისტიანობის წესი აღასრულონ. მაშასადამე არა სც-დებიან ისინი, ვინც ამბობენ: «არა არისრა ისეთი ბოროტება, რომ კეთილი არ მოჰყოლოდეს». ასე ჰფიქრობდნენ, მაგ. ერთ დროს, სხვათა შორის, აგრეთვე საქრისტიანოს ბერებიც, რომელთაც სულის წარმწყ-მენდ და ღვთის გმობად მიაჩნდათ ქორწინება—ცოლის შერთვა. მათის აზრით ვისაც ცხონება ჰსურდა, უნდა მოჰრიდებოდა ამ საქმეს. და თუ ამ სურვილისა და წადილის წინააღმდეგ იმას ჰკითხავდნენ და მით ჩა-ტყვას უპირიდნენ, რომ თუ ამ წინადადებას ყველანი მიიღებენ, მაშინ

კაცობრიობის ნათესაობა ამოსწყდებოდა და აღარ დარჩებოდა ქვეყნიერე-ბაზე არც ერთი კაცი ღმრთის სადიდებლად,—ეს გულს მოძღვარნი მათ-წადინენი, მოაგონებდნენ რა თვის მიერ დამღუპველთა მაცდურების მა-ღას, მართალს უბნებოდნენ მოწინააღმდეგებს, რომ ქვეყანაზე მუდამ საკმაოდ იქნებიან ცოდვილნი, რომ კაცობრიობა აჰსცდეს ამ უბედუ-რებას, და იმათ ბოროტთა საქმეთაგან წარმოსდგება კეთილი. სახელო-ვანი იერონიმე წარმოგვიდგენს მრავალ-მნიშვნელობითს მსჯელობას, რომ თუმცა ცოლ-ქმრობით ქვეყანა სავსეა, მაგრამ ქალწულება აღავსებს ზეცას»............ (იხილ. ეგრ. განს. ისტ. 354 გვერ. დრეპერი). აი ამასავით მეც მსურს ვსთქვა, რომ თუმცა მკითხავობას ქრისტიანობა არ შეიწყნარებს და აღუკრძალავს ქრისტიანებს, და თავის თავსაც მატ-ყუვარების მეტი არა არის რა, მაგრამ დასჯე რამოდენ ხანს წმ. გიორ-გის სახელით მან ქრისტიანობის სიყვარული დაიცვა ხალხში და ბოლოს გაავრცელა. განა ცოტა დროა? შაჰ-აბასის დროიდამ მოკიდებული აქამდე თითქმის სამას წელიწადზე მეტია. ასეთია წმ. გიორგის მნიშვნელობა ინგილოთათვის.

## 7

მკითხველი ვგონებ გაკვირვებულია და ცდილობს მკითხოს: რა არის მიზეზი, რომ ინგილოები, როგორც ფიქრობენ, ისე არ მოქმე-დებენ? თუ მაჰმადიანია, რაღათღა მისდევს მკითხავს, პატივსა სცემს ძველს ეკკლესიებს და წმინდა გიორგის? ამის მიზეზი ის არის, ჩემო ძმაო და მეგობარო, რომ ინგილოები, როგორც ზევითა ვსთქვი, დიდ-ხნობამდე უმწყემსოდ იყვნენ. ამისთვის რასაც მკითხავები უბნებოდნენ, იმას ასრულებდნენ. მათი მკითხაობითი სწავლა ინგილოებს სისხლად და ხორცად ჰქცევიათ. ვიდრე მოინათლებოდნენ, ფიქრობდნენ ვითომც ისინი წმინდად ასრულებენ ქრისტიანობის წესს და მათ ქრისტიანობას

მონათვლის მეტი აღარა აკლიათ. მაგრამ როდესაც მოინათლნენ და იუ-ლიეს მღვდლები, ელდა ეცათ, შეიტყეს რა, რომ ქრისტიანობას ასე არ აღსრულებენ, როგორც რიგია, და მართლ-მადიდებლობითი ქრისტიანობა შეცვლილად ეჩვენათ. მათ ძალიან ეწყინათ, როდესაც მღვდლებმა დაუშალეს ზოგი ერთი მღვდლის აღსასრულებელი წესების აღსრულების ჩვეულება. მაგ. მოქცევამდე ტაბლებს იმათი დედაკაცები აკურთხებდნენ: გაკეთებულს ხორავს დაალაგებდნენ ერთად, მერე ჯამში ან ქავქირში ჩაჭყრიდნენ ცეცხლს, დააყრიდნენ მას ზევიდამ საკმელს და შემოიტრიალებდნენ მას ხელიდამ ხელში გადაცემით ტაბლის გარშემო სამჯერ. ეს იყო ტაბლის კურთხევა. აგრეთვე, ვიდრე მშობიარე დედაკაცის ორმოცი არ გავიდოდა, ოჯახში არც სალმრთოს დაჭკვლავდნენ და არც ეკკლესიაში წავიდოდნენ, რადგან, როგორც ამბობენ ესლაც, ღმერთი საქმელ-სანთელს არ კი შეიწირავს, არამედ უფრო გაუწყრება; მაგრამ როდესაც შეიტყეს, რომ ამ გვარ შემთხვევაში ქრისტიანობის წესით სახლის განათვლის მეტი არა უნდა რა და ყველა ოჯახის შვილს შეუძლიან, თუნდა რომ მშობიარე დედაკაცის ორმოცი არ იყოს გასული,— ეს აზრები მკითხავებს და მრავალს სხვებს არ მოეწონათ. ამასთანავე ადგილობრივი სასულიერო პირთაგან ნახეს მრავალი უწესოება და თავის თანამდებობის დაუდევრად აღსრულება. აი სხვათა შორის ამ გარემოებათაგან ზოგიერთნი შეიქმნენ ორგულად; გაუცივდათ გული ქრისტიანობაზე და აი როდესაც 1863 წელს მოხდა აღრეულობა ზაქ. მაზრაში, მაშინ ეს ხალხი სამად გაიყო. ერთმა მაჰმადიანობა მოინდომა, მეორემ ქრისტიანობა, მესამემ მამა-პაპურად, ძველებურად ცხოვრება. მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ, რადგან წინად შეტყობილი ჰქონდა, ამ მოძრაობის დროს გამოაცხადა, რომ ინგილოებმა ან მაჰმადიანობა მიიღონ ან ქრისტიანობა, და ძველებურად (როდესაც ესენი არ ეკუთვნოდნენ არც ერთს ამ ორ სარწმუნოებათაგანს) ცხოვრება კი არ შეიძლებაო, მაშინ ამ ორგულმა ინგილოებმა მაჰმადიანების სიაში თავის

ჩაწერა ისურვეს, მხოლოდ იმისთვის, რომ სახელი ჰქონოდათ მაჰმად-ანობისა. მათ ამ სარწმუნოების სახელით, როგორც უწინ [illegible] უფრო ადვილი ეგონათ თავის კინაობის დაფარვა, მაგრამ ძალიან მოს-ტყუვდნენ: მათზე თვალყური დაიჭირეს, მათ ველარ დაჰფარეს თავიან-თი სარწმუნოება, როგორც ჰფარავდნენ 1850 წლამდე; ის ველარ აღასრულეს მამა-პაპურად უთავბოლოდ და ახლა ცდილობენ ან მუსულ-მანები გახდნენ, ან საქრისტიანოს მიეკედლონ. მაშასადამე ინგილოებში სარწმუნოებით ახლა სამი ჯგურა ხალხია. ერთი აშკარად აღვიარებს ქრი-სტიანობას მართლ-მადიდებლობითი ეკკლესიის წესით; მეორეს მამ-პაპუ-რად, მხოლოდ წესიერებითი მხრით, დაფარულად რწამს ქრისტიანობა და არა ჰსურს მღვდლები მიიღოს; მესამე აშკარად მუსულმანია. აი მი-ზეზი, რომლისაგამო ინგილო, თუმცა იწოდება მუსულმანად, მაგრამ მეითხაობს და მთაავრონებს სხვებსაც, რომ თაყვანსა სცემდნენ თავიანთ მამა-პაპის სალოცავებს და ქურმოხის წმ. გიორგის. აი მიზეზი, რომ-ლისაგამო ინგილო ისე არ მოქმედებს, როგორც ფიქრობს.

ეს მამა-პაპური ქრისტიანები წმინდის გიორგის დღეობას, რო-მელიც მოდის 10 ნოემბერს, არაოდეს არ დააკლდებიან. წლეულს ძალიან ბევრნი იყვნენ ამ გვარი მლოცველები. როდესაც ამ ქურმოხის წმინდა გიორგის ეკლესიაზე მე იაზმა გადავიხადე, მაშინ მრავალნი მა-თგანნი მოვიდნენ და შენდობა და იაზმის წყალი მიიღეს ჩემგან, რადგან იცოდნენ, რომ მე მათი ერთმემამულე სისხლ-ხორცი ვარ და ამისათვის ჩემის მხრით მათთვის არა არისრა საშიშარი: მე მათ არ გავცემ. მაგ-რამ წინააღმდეგ მათის იმედისა მე მას ვაცხადებ უბნელის შესაქცევად, რადგან მოწყენით არის.... ეს ამ გვარი მიმართულების ხალხი, რასაკვირ-ველია წინაპირველად ძალიან ცდილობდა დაეფარა თავისი სარწმუნოება. მაგრამ ინგილოთაგან მეოთმა მოლებმა ძალიან კარგად იცოდნენ თავიანთ მომმეების ორგულობა, იცოდნენ, რომ ისინი არც ქრისტიანები არიან, არც მაჰმადიანები, თუმცა ქრისტიანობას უფრო ეკუთვნიან. და აი ახლა,

რომ აქციონ ისინი მაჰმადიანად, ისარგებლეს ადგილობრივი მთავრობის ზრახვებით, დასდვეს თავიანთ შორის პირობა, რომ ვინც მეჩითში არ წავა სალოცავად, არ შეინახავს ორუჯს (მაჰმადიანურს მარხვას), იმას მოლა არ დაასაფლავებს. ამ ამბავზე მათ უფრო დიდი ქლდა ქცათ, ამისთვის რომ მათ დასაფლავებას არც მღვდელი კისრულობდა. აი ეს სალხი ახლა მაჰმადიანობას — ისევ ქრისტიანობის მიღებას რჩეულობს ჲ აშკარად დადის საქრისტიანო სალოცავებში. ამ ჟამად მოლები მათ ვეღარ აშინებენ არ დასაფლავებით, რადგან თითონვე შიშობენ, რომ ვაი თუ ყველანი ხელმეორედ მოქრისტიანდნენო. ინგილოსაც ეს შიში უჩნდოდა; ოღონდ კი სიკვდილის დღეს იმას ზეზე ნუ დააგდებენ, როგორმე წესით დაასაფლავონ, რომ რა არის მასზე სალხმა არ გაიცინოს, სხვა არას დასდევს ჲ არცა ნაღვლობს. ამ გვარი მოვლენაები იმედს გვაძლევენ, რომ ჩქარა ხელმეორედ მრავალნი ინგილონი ისევ შეუერთდებიან მართლ-მადიდებელს ეკკლესიას. ღმერთმა ჰქნას ეს სასურველი დღე ჩქარა დაგვიდგეს!

8

ამ ფაქტებიდამ მრავალს გამოჰყავს, ვითომც ზაქათალის მაზრაში ინგილოს სალხი ზნეობით აქ მცხოვრებ ყველა სალხებზე უფრო მალიან წამხდარი ჲ დაცემული იყოს; მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით მათ მიმართულებას, მაშინ ჩამდვილად სცნობთ, რომ ისინი ზნეობის იმ ხარისხზე სდგანან, რომელზედაც იმყოფებიან აქ სხვა სალხებიცა. მათი ზნეობითი გარყვნილებისა ჲ წამხდრობის ფაქტებად ხშირად მოჰყავთ უფრო ის ფაქტები, რომ მათ შორის გავრცელებულია ფიცის გატეხა ჲ ქურდობა. ამ გვარად მათ სჭიან ის კაცნი, რომელნიც იმათ კარგად ვერ იცნობენ, ჲ თუ იციან რამე იმათზე, ისიც სხვისგან გაგონით. ამ მიზეზისაგამო ცოტა არ არის, რომ მე იმათი მსჯელობა

უსაფუძვლოდ მიაჩნია ამისთვის, რომ ის ჰმალავს თავის სარწმუნოებას და იფიცავს ყორანზე, რომელიც მას ჰსრულებითაც არა სწამს.— ფიცს მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც კაცს სწამს ის, რაზედაც იფიცავს. აი ამ საფუძველზე არის დამყარებული სახელმწიფო კანონი, რომ უფელო კაცმა, თუ კი საჭიროება მოითხოვს, დაიფიცოს თავის სარწმუნოებაზე, რადგან მას თვისი სარწმუნოება მიაჩნია საღმრთოდ, სისხლად და ხორცად ჰქცევია, მისგან მოელის უბედურს დღეში ნუგეშს და შემწეობას და საიქიოს სანუკვარს ცხოვრებას; მისგან ეშინიან და მოელის ფიცის გატეხისათვის და ბოროტ საქმეთათვის სასჯელს. მოფიცარს ფიცმა სინიდისი უნდა აუმღვრიოს იმან, რაზედაც ის იფიცავს. და აბა ყორანის ურწმუნო ინგლისს რაზე აუმღვრევა თავისი სინიდისი. აი ამ საბუთით მე ვამბობ, რომ ინგლისო თუნდა სტყუოდეს, რატომ არ დაიფიცავს ყორანზე? მას არა სწამს და მშვიდობიანად იფიცავს, მისთვის აქ ფიცს არა მნიშვნელობა არა აქვს. ამბობენ, ერთმა ინგლისმ ფიცზე მსჯელობის დროს ურთი-ერთშორის სუმრობით სთქვაო: «მოიტანეთ თუნდა ერთი ურემი ყორანი და დავიფიცავ, თუნდა რომ მტყუანიც ვიყო, რომ მე მაგ საქმის ჩამდენი არა ვარო; მე ყორანი არა მრწამს და არც მასზე ფიცისა მეშინიანო». მაგრამ ვერაოდეს ვერ დააფიცებ იმას ქურმოსის წმინდა გიორგიზე, თუნდა რომ ცოლ-შვილი და სახლკარი ეკიდებოდეს. ხოლო რაც შეეხება ქურდობას, მე ვიტყვი, რომ ქურდობა მთელს დედა-მიწაზე ერთი სასიათით მოქმედებს. მათში ქურდობა გავრცელებულია. მაგრამ აბა ახლა აიღეთ განათლებული ინგლისის ლონდონი: ცოტაა იქ ქურდობა?—ამაზე ლაპარაკს მე აღარ გავაგრძელებ და კეთილ-გონიერს მკითხველს მივანდობ მაზე მსჯელობას. მხოლოდ მე კი ვეცდები, ვიდრე ის ამას განსჯიდეს, ახლა ვაამბობინო ჩემს კალამს, თუ რამდენი ეკკლესია არის, ანუ ყოფილა ჩვენს საქართველოში აშენებული წმინდა გიოგის სახელზე, და რა მიზეზით; რადგან «დროებაში», როგორც შევიტყე მე იმის 1869 წ. მე—47

ნომრიდამ, გარკვევით არა იცისრა ქართველთათვის შესახებ მისი მნიშვნელობისა და ამასთანავე ამაზე ლაპარაკის დროც არის რადგან სიტყვამაც მოიტანა.

9.

შესანიშნავია, უმეტესი კორესპონდენტი, ამბობს «დროება», რომ ჩვენ ხალხს განსაკუთრებითი პატივის ცემა აქვს წმ. გიორგისა: «ძალიან ბევრს სოფლებში, თითქმის მთებზე და სშირად კლდეებში იპოვებიან ეკკლესიები, რომელნიც ამ წმინდის სახელზე არიან აშენებულნი. ამის გამო ხალხს ჰგონია, რომ წმ. გიორგები ბევრნი იყვნენ: ბარე ორმოცამდე სხვა-და-სხვა სახელი გამიგონია მე წმინდა გიორგისა...» და სხვ. როგორც სჩანს ამ სიტყვებიდამ, «დროება» ორ უსაფუძვლო საფუძველზე დაამყარებს თავის აზრს, რომ ქართველ ხალხს მრავალი ჰგონია წმ. გიორგები. ამ თავის აზრს პირველად ის დაამყარებს იმ ფაქტებზე, რომ მრავალნი ეკკლესიანი იპოვებიან მთა-ღრეებში ამ წმ. სახელზე; მეორედ იმაზე, რომ მას «ბარე ორმოცამდე გაუგონია სხვა-და-სხვა სახელი ამ წმ. გიორგისა». ძალიან გასაკვირი საფუძვლები არიან. იმათ რომ ხელი შეახო, მაშინვე გადმოინგრევიან და დაიმსხვრევიან. მრავალი ეკკლესიები და სახელები წმ. გიორგისა სრულიად იმას არ ამტკიცებს, რომ ვითომც ამისგამო ჩვენი ხალხი ჰფიქრობდეს წმინდა გიორგის მრავლობას. ამ აზრზედ რომ დავთანხმდეთ, მაშინ უნდა დავამტკიცოთ, რომ ხალხს აგრეთვე მრავალნი ნათლის-მცემელნი, ქრისტენი და ღვთის-მშობელნი სწამს, ამისთვის რომ მრავალია ამ სახელების ეკკლესიანი. მაშასადამე მიზეზი სხვა არის.

რომ ხალხს მართლაც სწამს მრავალი წმ. გიორგი, ამას ამტკიცებს მისი მოთქმა: «დაგლოცოს სამას სამოცდა სამმა წმ. გიორგიმ». ამას გაიგონებთ ჩვენი ხალხისაგან, როდესაც ისინი ან ილოცებიან, ან იწყევლებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში რასაკვირველია საჭირო მხოლოდ ერთი სიტყვის შეცვლა და ჩამატება.

თუმცა ხალხის მოთქმაში ეს რიცხვი წმ. გიორგებისა ისმის, მაგრამ ქართული ისტორია მოგვითხრობს, რომ მთელ საქართველოში [illegible] წმ. მთავარ-მოწამის სახელზე ეკლესიები და მონასტრები აშენებულნი არიან სამას სამოც და ხუთი იმ საფუძველზე, რომ მისმა სხეულმა მიიღო სამას სამოცდა ხუთი წყლულება. მაშასადამე ეს არის საფუძველი, რომ ჩვენ ხალხს წმ. გიორგი მრავალი ჰგონია. ამ გვარად პატივის-ცემის მიზეზიც ქართველთაგან უცხო კაცისა, არა ნაციონალური წმინდანისა, ის არის, რომ მათ (ქართველთა) მოქცევის შემდეგ ქრისტეს სარწმუნოებაზე, რადგან მათ ქვეყანას, როგორც ამბობენ, ერქვა სახელად «გეორგია», ამისთვის წმ. ნინომ, მათმა განმანათლებელმა აღურჩივა ეს მთავარ-მოწამე მათ საკუთარ წმინდად და მფარველად. ამას შემდეგ ის ჩვენმა ხალხმა განისაკუთრა და მასზე ჰქონდა და აქვს დიდი სასოება გასაჭირის დღეში. მის პატივისცემას ეხლა ჩვენ ხალხში თითქმის საზღვარი არა აქვს. მე ვფიქრობ, რომ თუ არა მომეტებულად, ნაკლებად კი არა სცემენ ისინი პატივს ამ წმ., ვიდრე რუსეთის ერი თავის პატრონს — წმ. ნიკოლოზს. აი მიზეზი, რომლისა გამო მისი სახე საქართველოს სახელმწიფოში მიღებული იყო პირველ ღირსებად და ორდენად. აი მიზეზი, რისაგამო ქართველთა ერი თავის მხედართ ჩაფხუტზე *) და თოფ-იარაღზე მის სახეს სწერდა და სა-

*) ამბობენ, რომ ვახტანგს «გორგ-ასლანი» ოსმალებმა დაარქვესო, ამისთვის რომ მის ჩაფხუტზე, და ჩაჩქანზე ლომი და მგელი ესატაო; მაგრამ მე კი ვფიქრობ, რომ მის ჩაჩქანზე წმ. გიორგის სახე ყოფილა დახატული და ამისთვის უწოდებიათ მისთვის გორგ-ასლანი და მით გამოუხატავთ: მხედარი საქართველოსი ანუ გიორგისა. იმათებურად სახელი გიორგი ითქმის გორგი. მაშასადამე ამ ორდენის გამო აღმოსავლეთის ხალხს უწოდებია საქართველოსთვის: გურჯისტანი. ანუ წარმოსდგა ჩემის აზრით ეს წოდება და მიიღება აგრეთვე ევროპიელთაცა. **)

ავტორ.

**) ეს ავტორის შენიშვნა შეიძლება მივიღოთ მაშინ, თუ საქარ-

ხელით, გულოვნებითა და ვაჟ-კაცობითა ამა რომაელთა მხედართ[illegible] კოვნიგისა და ქრისტიანეთა მთავარ-მოწამისა ნუგეშითა, იყვნენ მტერ-თან ბრძოლაში შეუპოვარნი, გულოვანნი და შეუმართებელნი. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენს ქართველებს ჯვარში, ომიანობის დროს, მუდამ წმ. გიორგი ელანდებოდათ, რომელიც, ამათის აზრით, ზის მშვენიერად მოკაზმულს თეთრს ცხენზე და შეარსტულია მეომარი მხედრივით და ამხნევებს ყველას ბრძოლაში თავის ვაჟ-კაცობითა და შეუმუსვრელი ხმლით. ერთის მხრით ჭხოცავს მტერს მისი ცხენი თავის მკაცრი ტოტებითა, მეორეს — ხმალ ამოღებული მხედარი თამამად და ამაყად შეჭმუსრავს მტერთა ძალას. მაგალითებრ, მეფე დავით აღმაშენებელს ომი მოუხდა ოსმალეთის მელიქ-სულთანთან და ეს უკანასკნელი უთუოდ დასძლევდა დავით აღმაშენებელს, თუ მისი ჯვარი წმ. გიორგის არ გაემხნევებინა და თვითონაც არ მიეშველებოდა. ვაჟ-კაცობა და სარხი დავითისა ვერას გააწყობდნენ აუარებელს მტრის ჯართანაო, ამბობს მემატიანე, თუ რომ შემწეობა არ მიეცა წმ. მთავარ-მოწამეს გიორგის, რომელიც თავისივე საკუთარი ხელით ჭყლეტავდა ურწმუნო აგარიანთა. მქრონიკე ვახტანგი ამბობს, რომ ეს სასწაულთ-მოქმედება იხილეს თვით აგარიანთაცაო და ყველას უამბესო. აი ამ გვარის მფარველობისა გამო ქა-

---

თველოს სახელი გიორგია უცხო ხალხთაგან ქონდა ქრისტიანობის მიღების შემდეგ, სახელდობრ მაშინ, როდესაც ქართველებმა იწყეს წ. გიორგის თაყვანის ცემა. მაგრამ რადგან სახელი გ ი ო რ გ ი ა საქართველოს, ისტორიის მოთხრობით, ქონდა ბერძენთაგან ბევრით წინ ქრისტიანობის მიღებამდის, ამისგამო იმ აზრს უფრო უნდა მივუდგეთ, რომ საქართველოს სახელები: გურჯისტან, ჟეორჟი, გიორგია და სხვა, რომელიც კი ნაწარმოებია ამ სიტყვიდგან, არის წარმომდგარი ბერძნული სიტყვიდგან გ ი ო რ გ ი ა — რომელიც თარგმნილი ჰნიშნავს მიწის მუშაკს, — და არა წმ. გიორგის სახელისაგან. რედაქ.

რთველებს მისთვის ასეთი დიდი პატივი ეცათ და კიდევაც [illegible] აღუშენებიათ მისი წყლულების რიცხვისა მებრ მის სახელზე სამას სამოც და ხუთი ეკლესია. მეფე გიორგი მეცამეტის ძე თეიმურაზი ამბობს: «ესე ოდენ განამრავლეს ეკლესიანი წმ. გიორგისა, რომელ არცა-და თუ ერთი მცირედი სოფელი დაშთა სრულიად ზემოსა და ქვემოსა შინა ივერიასა, რომელთაცა შინა არა აღაშენეს საყდარნი სახელსა ზე-და მისსა, და აგრეთვე უმაღლესთა ზედა მწვერვალთა მთათა კავკასიისა, გინა სხვათა მთათა გიორგისათა, და სადაც იყვნენ საკურთხნი მაღალთა ზედა თაყვანის-საცემელნი, იგინი შეხცვალეს ტაძრად წმ. გიორგისა და თვითეულთა მათ ტაძართა სახელს ედებოდეს ზემორე (სადაც ეს სწე-რია, ამის ზევით არიან მოხსენებულნი სახელები) მოხსენებულთა მათ-გან და თვითოეულთა მათ ტაძართა სახელს ედებოდეს.................... სამას სამოც და ხუთი. ხოლო მიზეზი ამისი ესე არს, რომელ სრუ-ლიად ზემოსა და ქვემოსა გიორგიასა, ესე იგი ივერიასა შინა თქმული არს ესრედ და ყოველნი ერნი სწამებენ ამას, რომელ ოდეს ეწამა წმი-ნდა მთავარ-მოწამე გიორგი დიოკლიტიანეს მიერ მეფისა, მიიღეს სრო-ცთა მის წმინდისათა წყლულებანი სამას სამოც და ხუთი». მაშასადამე, ვიტყვი კიდევ, რომ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ქართველ ხალხს მრა-ვალი წმინდა გიორგები მიაჩნია და არა ისა, რომ მრავალი ეკლესიები არიან და სახელები მოისმიან ხალხში. ჩანს ჩვენი ხალხი, რომელიც შეადგენს ეკლესიას, ყოველს წმ. მთავარ-მოწამის თვითეულს ნაწილს მის პიროვნებად შერაცხს, რადგან «ერთა შორის თქმულ არს, რომელ თვითეულსა შინა დღესა წელიწადისასა აღსრულდების თვითეული სასწაული მისი მოუკლებლად». ასეთია საზოგადოდ ქართველთათვის მისი მნიშვნელობა. მაგრამ იქნება იმ მოხსენებული ხალხის ლოცვა-ვედრ-თხვევაში, რომელზედაც ჩვენ ვაფუძნებთ ჩვენს აზრს, იყოს გამოთქ-მული მხოლოდ ის რწმუნება, რომ შეგვწიოსთ სამას სამოცდა სამი *)

*) ისტორიულ წმ. გიორგთა რიცხვს აკლია ორი. ეს ამის-თვის, ვგონებ, რომ რა არის: არითი (რითმა) გამოვიდეს.

წმინდა გიორგის სახელზე აშენებული ეკკლესია, და არა ის, რამდენიც მე და თქვენ ვფიქრობთ «დროება». ღმერთმა კი დაგვიფარო[illegible]ნი ცილის წამებისაგან. ხუმრობა არ არის მთელი ხალხისათვის ცილის შეწამება!—

## 10.

გასაკვირია როდის აშენეს ქართველებმა ამდენი ეკკლესიები წმ. გიორგის სახელზე. სად ჰქონდათ მათ იმდენი შეძლება? კაცმა სხვა წმ. სახელებზე აშენებული ეკკლესიებიც რომ წარმოიდგინოს, ეჭვში შევა ქართველთა მეფეების შეუძლებლობაზე და ან შეძლებაზე. მაგრამ ადვილად შეიძლება ახსნას კაცმა ფაქტი მათი სიმრავლისა.

მეათცამეტის მეფე გიორგის მის თეიმურაზის ზემომოყვანილი სიტყვები მე მარწმუნებენ, რომ ეკკლესიები, რომელნიც ათასობით არიან მოფანტულნი მთელ საქართველოში უდაბურს ადგილებში და დაბურულ ტყე-ღრეებში, ერთ დროს ყოფილან ცეცხლის თაყვანის მცემელთა საკერპონი და მერე ქრისტიანობაში ტაძრებად შეუცვლიათ. ეს ერთი მიზეზი მათი სიმრავლისა. მეორე ის არის, რომ მთელი ჩვენი ხალხი წარსულს დროებში ისეთი მისტიკური მიმართულებისა ყოფილა, რომ ას ერთი სულის ცხონების მეტი ყოველივერი ამაოდ მიაჩნდა. ამისთვის რაც რამ სიმდიდრე ჰქონდა და ხელის ღონე, საქართველო ხმარობდა ეკკლესიების აშენებლად. თუ არ ასე, სხვაფრივ არ შეიძლება მათი სიმრავლის ახსნა ჩვენს საქართველოში. მარტო მონასტერნი და წმ. გიორგის ეკკლესიანი შეადგენენ 565-თს *). დაუმატეთ ამას

*) თუ საქართველოში რამდენი მონასტერი იყო, ეს შევიტყე მე და ამოვწერე 1865 წელს ვახუშტის გეოგრაფიიდგან ერთ სემინარიის მასწავლებლის თხოვნით, რომელმაც დაბეჭდვინება, მაგრამ......

სხვანიც, და მაშინ იხილავთ, რომ ჩვენ ქვეყანაში ისინი შეძლებაზე მეტი ყოფილან, ანუ უკეთა ვსთქვათ მათი აშენება მარტო მეფეების სიმდიდრეზე არ ყოფილა დამოკიდებული: ვერა ღონიერი ხელმწიფო ფულით და ძალით, ვერ შეიძლებდა ამოდენს ეკკლესიების აშენებას. მე შემიძლიან მარტო ზაქათალის მაზრაში, რომლის სიგძე სიგანეც წარმოუდგენს 309 კვადრატულ ვერსტს, სამასამდე ეკკლესიები, — მოფანტული აქა-იქ მთებში და ბარზე — ნამოვთვალო. ზოგი ერთი მათგანი ისეთი დიდია და მშვენივრად თლილი ქვით აშენებული, შემიძლიან, რომ არ შევრცხვე, ვსთქვა: დაიხარჯებოდა 20,000 თუმანი ფული. მაგ. აქ, ზაქათალის მაზრაში, სოფ. ლექეთის თავში მყოფი ეკკლესია, ამას გვიმტკიცებს. ის ეკკლესია ისეთი მშვენიერი ბრძნული ხელოვნებით არის აგებული და ნაკეთები თლილი ქვით, რომ კაცი განცვიფრებაში მოადის, როდესაც მას ჰხედავს დანგრეულს და დალეწილს და აგონდება ფსალმუნის სიტყვები: «ჰსაჯე, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა: აღიღე ჭური და ფარი, აღსდეგ შეწევნად ჩემდა». იგი არის ნაშენი მშვენიერს ადგილას. მის გარშემო ოთხსავე მხრითგან მთებია აღმართული, თითქმის შეუღლივით ქვემოდ ჩამოზიდულნი, და შუაში ერთგვარად გათანასწორებული მეიდანია, რომელსაც ორი აღმოსავლის კარები ჰქონია: ერთი დაღისტნისკენ გასავალი, მეორე საქართველოსკენ გამოსავალი. ამ მეიდანს და ეკკლესიის ეზოს კვადრატის საყენით ერთი ვერსტი სიგძე სიგანე ექნება. გარეშემორტყმულს მთებიდამ მშვენივრად დაჰყურებენ მას სხვა-და-სხვა ჯურა ხეები და უფრო ამშვენიერებენ ეკკლესიის გარემო მდებარე ადგილს. აქ ამ ხეების ბუჩქებში და ლიშნარში მყოფი ბულბულები და შაშვები ატკბობენ ზაფხულში მიმავალ კაცის სმენას და დაობლებულს ეკკლესიას. განსაოცარი და მშვენიერი სანახავია ის ზაფხულობით. უფრო ამისთვის, რომ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეს იქვე მას ჩამოუჩუხჩუხებს საუცხოვო ცივი მდინარე წყალი. ამასთანავე თუ ცოტა აღმართზე ამოხვედი, კაცი იგი საქართველოსკენ გამომავალს ალაყაფის

ჯვარებიდგან, მშვენივრად მოჩანს მთელი კახეთი თავის დიდი [illegible] საყდრებითა და სხვა სალოცავებით. ამ ადგილს რომ უმზერ, ძნელ მგონია, თუ ის განგებ ბუნებას ამ ხალხის სალოცავების გასამშვენიერებლად ასე დიდებულად მოეურთავს სიმშვენიერის დიდებით და შეუმოსავს სოლომონის პორფირით. აი ეს ალაგი ყოფილა ხუთი ჯვარედინად აშენებული ეკკლესიებით და მრავალ-ფეროვან ქვითკირის შენობებით. ჯერ არის აშენებული ორი დიდი საყდარი, მერე ერთი პატარა ეკკლესია არის აშენებული ზემოთა საყდრის თავში, მეორე—სამხრეთში და მესამე—ჩრდილოეთში, და ამ გვარად წარმოუდგენენ ამ სახის ჯვარს:

. . .

აქ შუაში ახლა გზა მიუდის დაღისტნისკენ და მოუდის საქართველოსკენ.

. . .

ეს ორი დიდრონი საყდარი იქნება სიგრძით თითო ექვსი საჟენი, სიგანით ხუთი, სიმაღლით (თაღმოღებული) თექვსმეტი არშინი. წვრილი ეკკლესიები ჰშორავენ პირველ საყდარს შვიდ-შვიდი არშინით, ხოლო ქვემოთი—თექვსმეტი არშინით. ამ ეკკლესიების თაღებში ზოგიერთი ისეთი თლილი ქვა არის ჩაწყობილი, რომ სიგრძით ხუთი მეოთხედი იქნება არშინისა და სიგანით ორი მეოთხედი. აბა თითო ამ ქვის მოტანა და გათლა რა ეღირებოდა, ან რა ფული და ღონე უნდა ჰქონოდა იმ სახელმ-

წიგნის, რომელშიაც ეს ეკკლესიები შენდებოდნენ. იმის აღარ ვიტყვი, რაც ამ ეკკლესიების გარშემო ყოფილა ქვითკირის [illegible] და ახლაც სულ ეს ყველა დანგრეულია და ნაცრად ქცეული. ამ გვარად ნაშენი ეკკლესიები აქ მაზრაში ერთი და ორი არ გახლავთ და მათზე რასაკვირველია არის დახარჯული მრავალი ფული, რომელიც ძალიან საეჭვოა, რომ საქართველოს ქრისტიან მეფეთ ჰქონოდესთ და სუთმეტ საუკუნის განმავლობაში ეს უდიდესი და აუარებელი ეკკლესიები, აშენებინოსთ, სრულებით საეჭვოა, უფრო ამისთვის, რომ საქართველოს ამ საუკუნეების განმავლობაშიაც მუდამ მშვიდობიანად არ უცხოვრია. და ამასთან თუ ისიც წარმოვიდგინეთ, რომ მათ იერუსალიმშიაც თექვსმეტამდე მდიდრად შემკული მონასტრები ჰქონიათ და შეუნახავთ სამეფო ხარჯით, უძლევიათ აგრეთვე ხან-და-ხან შეწევნა გასაჭირში ბერძნებისათვის, თვითონაც ცხოვრება უნდოდა და უცხოვრნიათ, მაშინ ეს ჩვენი ეჭვი შეიქმნება სრულ რწმუნებად, რომ მართლაც შეუძლებელი იყო მათი ფულის ძალით აშენება, რადგან ეს მათ არა ჰქონდათ, თუ რომ ამ საქმეში მონაწილეობა არ მიეღო ქართველთა ცხოვრებითს მიმართულებას, რომელიც ყოველს ქვეყნიერს ამაოდ ჰრაცხდა და თავის ნივთიერებითს შეძლებას და ხელის ღონეს მათ აშენებაზე ხმარობდა. მაგ. მეჩვიდმეტე საუკუნეში, როდესაც ხალხი დაწიოკებული და დარბეული იყო მტრისაგან, ლუკმა პური ენატრებოდა, მეფე ალექსანდრე მეორე ბერძნებს ფულით შეწევნას აძლევდა. აგრეთვე ყველამ ვიცით რა მდგომარეობაშიაც მეფემ თეიმურაზ მეორემ და მეფე ირაკლი მეორემ წარავლინეს «ტიმოთე მთავარ-ეპისკოპოზი, მრავლითა საფასითა იერუსალიმს შესაწირავად ქრისტეს საფლავისა და წმინდისა გოლგოთისა, ქართველთ ჯვარის მონასტრისა და სხვათა მონასტერთათვის». (ის. ისტორ. თეიმურაზისა, 298 გვერდი). მეფე ირაკლი თავის სასახლიდგან დაქირავებულს მოამარს ჩერქეზებს ვერცხლის ნივთებს აძლევდა, რადგან საზინაში ფული არა ჰქონდა, იერუსალიმში კი ფულს ჰგზავნიდა. აბა ახლა

იფიქრეთ მეფე, ერისთავი, რამოდენად ღვთისნიერი იყო და კეთილ[illegible] ხით ის იდგა ცხოვრების გზაზე. უეჭველია ასეთი მმართველების იქნებოდა ხალხიც, რომელსაც სიკვდილი ერჩივნა და მეფის მაჰმადიანური სარწმუნოებით ყოფნა კი არა. მაშასადამე საკერპოების საყდრებად ქცევას და ქართველების მისტიკურ მმართველებას წარმოუშობნია ამდენი ეკკლესიები, და არა ქართველების კეთილ-დღეობას და ფულის სიმდიდრეს. ეს მე ნამდვილ ჭეშმარიტებად მიმაჩნია და ასეც არის, ჩემო უცნობო უმნელო.

ამ საზოგადო ქართველთა მმართველებას არ იყვნენ მოკლებულნი აგრეთვე ზაქათალის მაზრაში მცხოვრები ქართველებიც, რომელნიც ასლა უწოდებენ თავიანთ თავს ინგილოდ.

ისტორიიდგან სჩანს, რომ ინგილოებს მიუღიათ ქრისტიანობა მეშვიდე საუკუნეში, მეფე არჩილის ცდილობით, და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში აქ დაუმკვიდრებია შაჰ-აბასს თავისი უღლები და დაუმხია ქრისტიანობა. მაშასადამე ქრისტიანობაზე მოქცევიდამ მათი თავისუფლების მოკვეთამდე შაჰ-აბასის მიერ დარჩება ცხრა საუკუნეზე ცოტა მეტი. ამ დანარჩენ ცხრა საუკუნის განმავლობაშიაც ისინი ხან მეფეების ხელქვეითნი იყვნენ, ხან ადგილობრივი მთავრებისა, რომელნიც მეფეებზე დამოკიდებულნი იყვნენ. მეფე არჩილის სიკვდილს შემდეგ, რომელიც მოხდა 718 წელს, და რომელიც ძალიან ცდილობდა ყოველგან ეკკლესიების აშენებას, 1084 წლამდე ჰყვანდნენ თავისი დამოუკიდებელი მთავრები. თუმცა 1084 წლიდგან 1125 წლამდე მეფე გიორგი მეორემ ყველა დამოუკიდებელი მთავრები დაიმორჩილა, მაგრამ მის სიცოცხლეშივე ისევ მოჰხდა განხეთქილება. კახეთი, ახალციხე, სვანეთი, სამშვილდე, ზაქათალის მაზრა, ესე იგი ელისენი, შაქი და შირვანი, მოჰშორდნენ გიორგის და დაიმასხეს თავიანთი დამოუკიდებლობა. დავით აღმაშენებელმა, გამეფდა თუ არა, მაშინვე ახალციხის მთავარი ლიპარიტი, რომელიც ისე გაძლიერდა, რომ მეფობას ეძიებდა, შეიპყ-

რა, ჩამოართვა თავადობის ღირსება და გაგზავნა საბ[illegible]ლიც მისთვის შეადგინდა ციმბირს. ამ სვედრს ვერ აქცევდა — აგრეთვე კახეთის მეფე ალექსანდრე, რომელსაც უნდოდა თავად-აზნაურობამ დავით აღმაშენებელთან, და მან განსდევნა ის სამშობლოდამ, როგორც ერთი ვინმე წუწკი. აღაზნის გაღმა-მხრის ელისენისა და შირვანის მთავრები კი ნებით თუ უნებლიედ დაჭმოჩილდნენ იმის დიდებულებას. მაშასადამე ამ ცხრა საუკუნის განმავლობაშიაც ამ მაზრაში მცხოვრები ქრისტიანები მუდამ არეულ-დარეულობაში ყოფილან, დაწიოკებულნი სან გარეგანი მტრისგან და სან შინაური ბატონების უფლების მოყვარეობით. და ამ გვარს მდგომარეობაში სალხი რა სიმდიდრეს შეიძენდა და ან როგორ შეიძლებდა ამდენი ეკკლესიების აშენებას. სიმდიდრეს კაცთა საზოგადოება მხოლოდ მაშინ მოიპოვებს სოლმე, როდესაც მშვიდობიანად სცხოვრებს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ამ მაზრაში მყოფი ეკკლესიების სიმრავლე და მედიდურად შემკულობა მე მავიჭრებინებენ, რომ ისინი არიან აშენებულნი და ნაწარმოებნი იმ მიზეზთაგან, რომლების ძალითაც წარმოიშობნენ ისინი მთელს საქართველოში.

ამით მე, რასაკვირველია, იმას არ ვამტკიცებ, რომ რაც ეკკლესიები იპოებიან მთა-ღრეებში, სულ წმინდა გიორგის სახელზე არიან აშენებულნიო. ამ შემთხვევაში ჩემი თქმა პირველად ის არის, რომ მრავალნი მათგანნი უწინარეს ქრისტიანობისა საკერპონი ყოფილან და მერე ქრისთიანობაში ეკკლესიებად შეუცვლიათ; მეორედ—ისა, რომ წმ. გიორგი ქართველ სალხს თავის პატრონად და მფარველად მიაჩნდა და ამისათვის ის შეუმოსავს აუარებელი სასწაულებით, ლვაწლით და მისთვის ეკკლესიების აშენებით, და ამბობს: «დაგლოცოს სამას სამოცდა სამმა წმ. გიორგიმაო».

11.

«სუ! ჩუმად! მე ეხლა ჩემს გამომხსნელს ვევედრები. აი, ამ წამში

ის პატიოსანი მოხუცი ჩემთან იყო, აი ამ ფანჯარასთან მოადგა ცხლა, თოვლივით თეთრი ჭაღარა თმა მხრებზე ეფინა, ხელი გამომიწოდა და მითხრა: «ნუ გეშინიან, შვილო, მე შენთანა ვარ, ჭა, შენი ბიძეთიო». — ასე ეუბნებოდა და უჯავრდებოდა წითელ წვერა რუსი თავის ამხანაგებსა, ამბობს უფ. გიორგი წერეთელი თავის რუსეთში მოგზაურობის წერილებში, რომელნიც არიან დაბეჭდილნი «დროებაში». აი ამ რუსებზე თითქმის მომეტებულად აქვს ქართველ ხალხს წმ. გიორგის სახე გარემოცული სხვა-და-სხვა ცრუ-მორწმუნეობით და თვალში მუდამ ის ელანდება, როგორც წითელ-წვერა რუსს წმ. ნიკოლოზი. მეტადრე თვალიდამ მოუშორებელი ჰყავთ ის ჩვენს მკითხავებს, რომელნიც ავრცელებენ მის დიდებას. 1868 წელს მე მომიხდა კახეთში მოგზაურობა და აი რა მიამბო ერთმა პატივცემულმა ბლაღოჩინმა მღვდელმა ერთს მკითხავ დედაკაცზე: «მე ერთს ხალამოზე თეთრი ცხენით, მლიაშით და თეთრი ფარჩის ანაფორით შემოსილმა, ჩემის გძელი ჭაღარა წვერით ამოვაქროლე ალავერდის ხობორადამ ჩემი ცხენი და ავედი ჩემს სამრევლო სოფელში. იმ დროს, როდესაც მე მოვდიოდი ჩემის ბიჭით, ერთი მკითხავი დედაკაცი თურმე ფიქრში და ოცნებაებში ყოფილა გართული და უყურებია მშვენიერი მწვანე ძოწეულით მორთული ალაზნის ველისათვის, სადაც აქა-იქ ლამის ვარსკვლავებივით გამოსჭვირავენ თეთრად გალესილი ეკკლესიები. მე დაუნახივარ თუ არა ამ მკითხავ დედაკაცს, მაშინვე დაუყოვნებლივ თეთრ წმ. გიორგად შეურაცხივარ. ამ დროს აქა-იქ ცოტა ავადმყოფობაც იყო ზოგიერთ სოფლებში. მას მაშინვე სმა დაედგო ხალხში, რომ გუშინ ბინდობისას თეთრმა წმ. გიორგიმ ამიარა ერთი გაცით და ბრძანაო, რომ ამოვსწყვეტავთ და გაგათავებთ ყველას ავადმყოფობითაო, თუ სამღრთოს არ შემომწირავთ სოფლეულად და მუდამ ჩემს პატივში და ხსენებაში არ იქმნებითო; მეორე მესამე დღეებში ეს ამბავი მეც შევიტყე ხალხში და ყველა მარწმუნებდა, რომ ჭეშმარიტი ამბავი გახლავსთო. მე გამოვიანგარიშე და ვსცან

რომ იმ დღეს, რა დღესაც მკითხავს ბინდობისას თეთრი წმ. გიორგი უნახავს, ამგვარე მე მჯდომარემ თეთრ ცხენზე და მოსილმა თეთრ ტანისამოსში და მე დავუნახავებ იმას და შევატყობინებ თეთრ წმ. გიორგად.. » კვალად სთქვა იმ პატიოსანმა მღვდელმა. «ამის შემდეგ დავიბარე ის მკითხავი დედაკაცი და უამბე, რომ ის თეთრ ცხენიანი, ჭაღარა და თეთრ ტანისამოსიანი, ამოვლილი ამ სოფლის ბოლოს ბინდობისას, მე ვიყავი და არა წმ. გიორგი და რომ იმას მე წმ. მიუღივარ. მაგრამ ვერას გზით ვერ დავარწმუნე, რომ ის მე ვიყავ და არა ის წმ.» ამ გვარი საუბრით გართულნი მიუახლოვდით ალავერდის სობოროს, რომლისთვის თაყვანისცემა და ნახვა მე ძალიან მსურდა. სანატრელი აღისრულდა და მე ის ვნახე. მის ნახვამ ბევრი ფიქრები და გრძნობები ამიშალა: მაგრამ შიშისაგან ისე საწყალოდ ნაჯქარნენ, რომ თითქოს ერთ წუთში მომხდარი ცის ელვარებანი იყვნენ. ეს ამისთვის, რომ დაობლებულმა ტაძრთა მეფემ ჩემს გულს სანუგეშო ხმა არ მოჰსცა. იგი ჰგვანესოდა და უფალს შეჰჩიოდა, რომ უწინდებული, მის მადიდებელთა მეფეთა დროინდელი, სიმშვენიერე მას დაჰკარგვია. ჩემი უნაყოფო გრძნობები რომ მივკვანტ-მოვკვანტე, მე დავიწყე ეკკლესიის სინჯვა. იქ მე სხვა საკვირველებათა შორის ვნახე სანთლის ქოშები, რომელიც სალხს, მკითხავების ჩაგონებით, ღვთის-მშობლისთვის შეეწირა, რადგან ისინი მას მოეთხოვნა. ამგვარი შესანიშნავი ამბები მე მრავალი შევიტყე კახეთში; მაგრამ იმათ აღარ მოვიხსენებ, თუმცა ერთი რისამე თქმა ძალიან მსურდა. უეჭველი, რომ მე იმას ვიტყოდი, თუ რომ რვეული, რომელშიაც ის მქონდა ჩაწერილი, არ დამეკარგოდა. მაგრამ ვგონებ არა უშავსრა, რომ თვით ის სიტყვები არ იყოს. თუ კი აზრი ვიცი იმ სიტყვებისა, შეიძლება მაინც ითქვას. ის იყო ერთი სტიქონი ლექსი აზარფეშაზე წარწერილი, რომელიც თეთრი წმ. გიორგისთვის იყო შეწირული. ის აცხადებდა იმით სავსე ღვინით დაცლას და ჩათრობას. ქართველს სალხს ძალიან უყვარს ღვინის სმა და ამ თვისებას და საყვა-

რულს ინგილო მიაწერს წმ. გიორგისაც. მაგ. აი რას მოუთხრობენ
ინგილოები თავიანთ სალოცავს ქურმოხის წმ. გიორგისას: მონასტე-
რულს ქურმოხის ეკკლესიად წოდებულს ღრუგს ლოდში სცხოვრებს
თვით წმ. გიორგი და ღვთის-მშობელი. მათ შიგ ჰყავთ ერთი ოქ-
როს მამალი, და ერთი წითელი ღვინით სავსე ოქროს სტაქანი წინ
უდგათ; ლოდი, რომელშიაც ისინი სცხოვრებენ როგორც დღე, ისე ღამე
არის განათებული მათი სიწმინდის ბრწყინვალებით. ისინი წელიწადში
ერთხელ კარში გამოდიან. მაგრამ ოქროს მამალს კი ყოველს შუა-
ღამისას, რა დროსაც ქრისტეს აღდგომა მოსდა, უშვებენ კარში საყო-
ველოდ, რომ რა არის მან სხვა არე-მარეში მყოფ მამლებსაც შუა-
ღამობისას ღამის განსხვავება: ვიდრე ეს ღამის გუშაგი მამალი არ
იყივლებს, თურმე სხვა მამლებს ნება არა აქვსთ ყივილისა. ამისათვის
ამბობენ ინგილოები, რომ ის მამალი ნასი და ღვთის გამწყრალი არის,
რომელიც უწინარეს ამ ოქროს მამლისა უდროვოდ დაიწყებს ყივილს.
ხოლო ღვთის-მშობელს და წმ. გიორგის ის ოქროს სტაქანი
მთელი წლის განმავლობაში წითელი ღვინით სავსე წინ უდგათ
და ღვინოსა სმენ, მაგრამ მათის ლოცვისა გამო სტაქანში ღვინო არა-
ოდეს არა თავდება. ასე ამ გვარად ისინი სცხოვრებენ მთელ წელიწადს
კარებ დახშულ ეკკლესიაში და როდესაც მოვა წმ. აღდგომა, გამოდიან
მაშინ ოქროს სტაქნით და მამლით, ჰლოცავენ საინგილოს და ისევ შე-
დიან ეკკლესიაში. და აი მათის ლოცვა-კურთხევით ინგილოები აქამდე
ურჯულოთაგან უვნებლად სცხოვრებენ. თუ მათ მეოხებას არ დაეფარა
ლეკების მძლავრობისაგან, ახლა მათი ნათესაობა აღარ იქნებოდა. «ღმე-
რთო და ქურმოხის საუდარო, შენ შეგვეწიე ოთხ-თვეს *) ლეკთაგანა» — აი
ამაში მდგომარეობს მუდმივი მისი ლოცვა-ვედრება.

ეს ამბავი როგორღაც მიემგზავსება პრომეტეის, ამირანის, ამბავს,

---

*) ამ სიტყვით ინგილოები ლეკებს ანუ მაჰმადიანებს... უწოდებენ.

რომელიც ჩვენი ხალხის აზრით არის ჯაჭვით ჩაბმული კავკასიის მთე-ბში და მთა ზედ თავზე აქვს გადმოფარებული და წელიწადში ერთხელ უფლე-ნება აქვს ღვთისგან გამოვიდეს გარეთ და ცა იხილოს. ამბობენ, რომ თუ უდროოდ ის აუშვა, მთელ ქვეყანას წაახდენსო.

ამირანზე ჩვენ ხალხში ათას ნაირი ზღაპრები არსებობენ, ასე რომ სხვა-და-სხვა ადგილას მის ამბავს სხვა-და-სხვა გვარად მოუთხრობენ; მაგრამ მე იმაებს აღარ დავქებ, თუმცა მათი ერთმანერთთან შედარება არ იქნებოდა ურიგო. აქ მკითხველს მხოლოდ იმას მოვითხოვ, რომ იმან ამ დასასრულს ეს მაზე თქმული ლექსიც მოისმინოს, რომ უზნელის შექცევას არა დააკლდეს რა.

ამირან და დევი შეიბნენ,
ჯერ დილა იყო მზიანი,
დასცა და ბეჭში მოსტეხა:
ალაგი დაჴვდა ქვიანი.
აცა, ამირან, ნუ მომკლავ,
ზირი მაივიცე მზიანი;
ზღვას გაღმა ქალი გასწავლო,
ამომავალი მზიანი.
შეხვიდე გამოიყვანო,—
შენი მამრევი ვინ არი.... და სხვ.

სწორედ რომ მართალია, ჩემო უზნელო! აბა მართლაც ვინ მო-ერევა ჩვენი ხალხის ცრუ-მორწმუნეობის ამირანს. თუ ეს ცრუ-მორ-წმუნეობის ამირანი,—ვიტყვი დრეპერის აზრს,—რომლის მთავრობასაც ყურს უდგებს ჩვენი ხალხი, არის რამე ხვინიდისზე მომეტებული, ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ ის ჩნეულობს ხულის იმ ავათმყოფობით, რო-მელსაც მისდევენ ის ხალხნი, რომელნიც ან მართლაც საწყალნი არიან, ან არა და განგებ მიაყენებენ თავიანთ თავს უდიდესს სასწყლეს, და ამ

გვარად აზრალებენ და შეარყევენ თუ არა თავიანთ ჭკვა-[illegible] ტვინს, — ჩაცვივიან რაღაცა ცრუ-შენტელობაში, ჩვენებაში (გალიუცინაციაში). ამ გვარი შემთხვევები არ არის იშვიათი. ამ გვარ მდგომარეობაში იყო თვით მაჰმადიც, რომელსაც ყურები რომ უწივოდა, ეგონა თუ ღმერთი მელაპარაკებაო.

## 12.

ახლა მსურს ჩემი გრძელი საუბარი ჯერ-ჯერობით კიდევ შევწყვიტო, ჩემო უბნელო, მაგრამ ნება მომეცი ერთი ამბავი მოგითხრა, — რომელსაც ინგილოები ძალიან ხშირად ეტყვიან ხოლმე თავიანთ შვილებს. — კარგად კი დაიხსომე.

იყო ვინმე დიდებული მეფე. იგი სადილად დაბძანდა და გვერდით მოისვა თავისი საყვარელი ცოლი და თავისი ღვიძლი ძმა. სადილზე მეფემ ბევრი ჭკვიანური აზრები თურმე წარმოსთქვა. ილაპარაკა თურმე იმაზედაც, რომ იმასა ჰსურს ააყვავოს თავისი სახელმწიფო მეცნიერებით, ჭკვით და თავის ქვეშევრდომების კეთილად ყოფნა-ცხოვრებით; ამაებს ფიქრობდა და იკვეხიდა მეფე და თავის სურვილის აღსრულების იმედი მხოლოდ, ვითარცა მეფეს, თავის თავზე ჰქონდა. იმას თავისი თავი სოლომონ ბრძენზე თუ არა მეტი, ნაკლები არ ეგონა ჭკვა-გონებით და განათლებით. ცოლი და ძმა ამეების ლაპარაკში იმას გულ-მოდგინებით ყურს უგდებდნენ. მეფის ცოლს თავის დიდებული ქმრის კვეხნა და მხოლოდ თავის თავზე იმედის ქონა ამ მოხსენებული სურვილის აღსასრულებლად, არ მოეწონა. აი ამ დროს მათ სუფრაზე მოართვეს დაჭრილი ქათამი. გონიერმა მეფის ცოლმა იპოვნა შემთხვევა თავის ქმრის გამტყუნებისა. ქათამი წინ დაიდგა და დაიწყო სამად განაწილება. თავი ქათმისა თავის ქმარს მეფეს მიართვა, მხარი მეფის ძმას, ხოლო მკერდი კი თითონ თავისთვის აიღო. მეფე ძალიან გასწყრა და უთხრა მეუღლეს, რომ მე სასაცილოდ ამიგდეთო:

რაც კარგი ნაჭრები იყო ქათმისა თქვენ აიღეთ და მე კი [illegible], [illegible]-ელი ძვალი, მომეცითო. მაშინ ცოლი სწვდა ქმარს სიტყვაში და უთხრა: «ამაგ ჭკვით შენა გსურს კეთილად იმყოფო და აყვავო შენი სამეფო? თქვენ სახელმწიფოს თავი ბრძანდებით და ამისთვის ქათმის თავი მოგართვით; თქვენ ძმას მხარი მივეცი, ამისთვის რომ სამეფოს მართვაში თუ იმან და სხვებმა მხარი—შეწყობა არ მოგცეს, ტყუილი იქნება მხოლოდ თქვენი ცდილობა. ერთი კაცი ვერაოდეს ვერ გააკეთებს იმას, რაც თქვენ გსურთ. თქვენი სურვილის აღსრულებას სხვების შეწყობაც უნდა. მე მკერდი ავიღე ჩემთვის ამისთვის, რომ მეფის მეუღლე—მკერდი და მისი მანუგეშებელი მეორე პირი ვარ. მეც მეკუთვნის უფლება სამეფოს მართვისა».—ახლა უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ვერ აღვასრულებთ, უნიელო, ჩვენს წადილს სალიტერატურო ასპარეზზედ, თუ ერთმანეთს მხარი არ მივეცით. «დროებასაც» ისა სურს, რაც «მნათობს». მაშასადამე მათ ორივეს ერთი მიზანი აქვსთ. რასაკვირველია, სადაც ერთი მიზანია, იქ ერთნაირი მოქმედება იყოსო—თქმა არ შეიძლება. მიზნის აღსასრულებლად ყველას ხელში თავისი ხერხი აქვს, რომელთაგანაც ზოგი მჭრელია, ზოგი ჩლუნგი. ამ ჩლუნგობისათვის მათი დაურიდებლად ლანძღვა რასაკვირველია არ შეიძლება. მისი არ გარგობა ისევ პატიოსნებით ვამხილოთ, რომ რა არის ქუჩის მელანძეუ და მოლაზღანდარე უმაწვილებად არ შევრაცხოთ ჩვენ მწერლები. სჯობს ისე მოვიქცეთ, რომ ყველამ წილი დავგვიდოს პატიოსნებაში და უფრო მოიწონონ ჩვენი გონივრება და იკითხონ ჩვენი წერილები, რომლების არ კითხვასაც მრავალნი ჩვენთაგანნი უჩივიან.—ახლა მშვიდობით.

ერთგული მომხრე «დროებისა»

ინგილო-ჯანაშვილი.

1870 წელს, 25 მარტს.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყ ე ე ნ ო ბ ა.

გათავდა ყეენობა....
დიდი ამბავი იყო:
კრივი და ცუდ-ენობა!...
ბევრს გადაჰხდა საბრიყვო!...

ამ დიდ-მარხვის ორშაბათს
შეკრბა ხალხი მრავალი!....
ძლიერად სცემდნენ ნობათს,
და მაზედ ჰქონდათ თვალი,

თუ ვინ ამოირჩიონ
ორშაბათის ყეენად,
რომ მაჰმად-ხანს დასცინონ
პატრიოტთ მოსალხენად!

ნახეს ერთი გლახაკი,
ის მოკაზმეს ყეენად....
მოჰგვარეს ვირი ჭაკი
მისცეს ბედაურ ცხენად!

და ზედ შესვეს პამპულა,
აბჟანდიც დაუგძელეს!....
აილეს თახი, გუდა,
ბატონად ადღეგრძელეს!

დალიეს, შეჭორიკდნენ,
იწყეს აყალ-მაყალი!
«ავირჩიოთ, ჰყვიროდნენ,
სჯობს ყეენი ახალი».

ძველს ყეენს სტაცეს ხელი,
ლაფში გადაუძახეს,
გასცარცვეს დ̃ შიშველი
ლანძღეს!... რა არ უძახეს?!...

ახალი ყეენობა
ბევრმა მოიწადინა!
შეიქნა მოენობა —
ძმამ ძმას სისხლი ადინა.

ქუჩებში ხრიალობდნენ,
როს დაფა-ზურნა დაჰკრეს,
ერთმანერთზედ ძალობდნენ,
კისერშიაც ბევრს წაჰკრეს!...

გაჩნდა კრივი ძლიერი,
გაიყვნენ პარტიებად;
ჩხუბობენ, ასდისთ მტვერი,
თავის ტეხა უქებათ.

ბანებიდამ ქალები
მაჩხუბრებს ბანს აძლევენ.....
ელალებათ ხელები,
ერთმანერთის კერა სძლევენ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყეენობა.

ძმობილო, ძმაზედ მიდი!
ხთხლიშე, არ იგვიანო!....
ბიჭებო, ჰაი გიდი!
ქაჟის თავებიანო!!..

დაუშინეთ ერთმანერთს,
მაგისთვის არ ვინ დაგსჯით!
მოგცემენ თითო მანეთს,
ტყუილად არ ვინ გაგრჯით!....

ვინც მოგცეს მეტი ფასი,
შენც იმისკენ იყავი,
აილე სავსე თასი,
იმას დაუკარ თავი!

ეგ ყეენები ყველა
ერთმანერთის დარია!....
ალია და ომალია—
ორივე თათარია!!......

მაგრამ რჩევა რათ უნდა
ამ დალოცვილ მეომრებს?....
მოსცვივა ქვა და გუნდა
ერთმანერთს სტეხენ კისრებს!...

ასრულებენ სხვის ნებას,
ბოლოს სახლში მიდიან!...
და თვის პატიოსნებას
თითო გროშად ჰყიდიან!...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ხალხის სულელობა
მინდა მიტომ დავსძრახო,
რომ მსგავსი ყეენობა
მაისში აღარ ვნახო!

თ. აკ. წერეთელი.

1870 წ. მარტის 5.
ქუთაისი.

---

## გზების და ბოგირების მნიშვნელობა.

აგერ ოთხი წელიწადი არის, რაც ჩვენ სამშობლოში დაიწყეს რკინის გზის კეთება. ეს ისეთი საქმე არის, რომელსაც არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება. ეს გვიმტკიცებს, რომ ჩვენი საქართველოსათვის ახალი დრო მოსულა; ის დრო, როდესაც უნდა მიუცილებლად შეირყეს საფუძველი ჩვენი საზოგადო ცხოვრებისა და დაიდგას ახალი საფუძველი ახალი ცხოვრებისათვის. ეს გვიმტკიცებს, რომ საქართველოს აღარ შეუძლიან დაკმაყოფილდეს იმ ცხოვრების წყობილებით, რომლითაც აქამომდე კმაყოფილდებოდა; სჩანს, რომ საქართველოში უგრძნიათ სხვა-და-სხვა მოთხოვნილებაები, რომელთაც წინად არა ჰგრძნობდნენ; სჩანს ქართვლის სოციალურ (საზოგადოებრივს) ცხოვრებას, რომელიც აქამომდე მიდიოდა მეტად ვიწრო და მოკლე ბილიკზედ ვაი-ვაგლახით, ჰსურს იპოვოს ახალი, ფართო და უფრო გრძელი გზა და დაადგეს ამ გზას. ერთის სიტყვით, სჩანს, რომ საქართველოსთვის წარსულა ის დრო, როცა ზოგნი დროგამოშვებით განატარებდნენ დროს დილიდგან საღამომდის ხეების ჩრდილოს ქვეშ წამოწოლილნი, მეტად განსაზღვრულ მოთხოვნილებაების მგრძნობელნი, სიოს მობერვით დამტკბარნი, ზოგნი კი ოფლსა ჰღვრიდნენ უმადურ ტანჯვაში. იმ განსვენებულ ძველ დროში (მგონია არა ვსცდებოდე, რომ ვიხმარე სიტყვა «განსვენებული») თვითეული ჩვენ წინაპართაგანი მადრიელი იყო თავის ბედისა, თუ კი ჰქონდა თავის შესაფარებელი ქოხი, წლის სამყოფი ღვინო და პური. ზემო-ქართლელები ძვრებოდნენ

მიწაში, თითქო თხუნელები არიანო; ქვემო-ქართლელები კი სცხოვრობდნენ იმისთანა სახლებში, რომლებსაც ერთი ღონიერი ქარის მობერვა ძალიან ადვილად გადაიტანდა ერთი ადგილიდგან მეორე ადგილზე. იმათი ბედი, რომ იქ ტყე ბლომად და ხშირად იყო, რის გამოც ქარი ნაკლებად ავნებდა ხოლმე; მაგრამ ხშირად მოხდებოდა ხოლმე ისეთი შემთხვევა, რომ დაჰბერავდა ქარი და სულ ერთბაშად გადაჰხდიდა ხოლმე იმერულ ჩალის სახურავს. ზემო საქართველოში კიდევ ხშირად მოხდებოდა მგზავრის ცხენის აგოჭლება. გამოუცდელი მგზავრი ფიქრობდა, რომ გზას კადგივარ და მივდივარო; აბა რას მოიფიქრებდა, რომ ის მიდიოდა ბანებზედ! უცებ ცხენს, მაზედ მჯდომელისავით გამოუცდელს, ჩაუსხლტებოდა ფეხი სანათურში; საწყალი ცხენიც გულის შემაწუხებლად დაახლიდა თავის ჩიჩვირს გამხმარ ბანის მიწას და ძნელად, რომ ორიოდე კბილი მაინც არ ჩაჰვარდნოდა. ზედ მჯდომსაც, თუ რომ ბედი მასთან არ თანამგზავრობდა, შეეძლო ცხენიდგან გადმოვარდნილიყო და კისრით მიწაზედ დასობილიყო. (ტყუილი და უსინიდისობა არავინ შემწამოთ. ეს თითონ ამის დამწერს შეემთხვა; თუმცა კი კისერ მოუტეხელი გადარჩა, მაგრამ, მაგიერში, საწყალი ცხენი ქავთისხევიდგან თბილისამდის ანკინკილაობდა) *).

ვერც შინაური სახლის მორთულობაზედ, ჩვენდა სამწუხაროდ, კარგს ვერას ვიტყვით. ტყუილის თქმა არის უსინიდისობა, მართალი რომ ვსთქვათ, მაშინ კი ჩვენი სახლის მოწყობილობა წარმოგვიდგენს ისეთს სურათს, რომელიც დიახ უსიამოვნო არის. ეხლა ბევრს ქართველს თვალი შეუჩვევია ევროპიის გემოზედ გამართულ სახლებისათვის. ეხლა სახლში ტახტის მაგივრად ბევრს ქართველს კაკლის მდი-

*) ამ დროშიაც ამ მდგომარეობაში არიან სოფლელები; მაგრამ მათ შორის არიან ისეთნი, რომლებიც ცდილობენ სახლ-კარის ევროპიულად მოწყობას.

ვანი უდგას; ბევრნი ფეხ-მოკეცით აღარა სხდებიან ტახტზედ; ეხლა აქვსთ სავარძლები (კრესლოები), სკამები. სადილის დავახშმის ჭამას მამა-პაპურად კელარ ახერხებენ; თითებსაც აღარ ისვრიან საჭმელებში ძველებურად, ჩვენებურად. ეხლა აქვს ბევრს დანა, ჩანგალი და კოვზი. ერთი რიგი საჭმლის მაგიერ ბევრნი ექვს რიგს მიირთმევენ. ჩაის არ სვამდნენ, ღვინოს ეძალებოდნენ; ეხლა ღვინოში აღარ აძალებენ ერთმანერთს ისე რიგად, როგორც ძველად ყოფილა; უფრო ზომიერად სმარობენ და ამის ნაცვლად ჩაის და ყავას შეეჩვივნენ და ან ეხლა ეჩვევიან. უწინ უმაღლესის ხარისხის ქალები ქოშებით დადიოდნენ, ეხლა ლაქით გაპრიალებულ პოლსაპოშკებს ეტანებიან. დაბალი ხალხი ფეხ-ტიტველა დადიოდა, ახლა ფეხ-საცმელი შემოიღეს. წინად კეთილშობილი მანდილოსანი ორთვლიანი, ყევარ შებმული ეგიპაჟით მგზავრობდა; ეხლა კი ოთხ თვალზედ, სარცრად აშენებულ ოთახში გამგზავრდება ხოლმე. წინად წვიმისა და სიცხისაგან თავის დასაფარავად დათვლეთილ ხალიჩას გადააფარებდნენ ურემს; ეხლა კი საკერდით აკრულ კარეტაში სხდებიან ბევრნი. წინად კლუბებისა და მასკარადებისა არა ვიცოდითრა; ეხლა კი თბილისის მცხოვრებნი ამასაც არ არიან მოკლებულნი.

აი, მკითხველო, რა რიგ შეიცვალა ზოგიერთი ქართველის ცხოვრება! ეხლანდელი სახლები ძველი დროის სახლებს არა ჰგვანან, ტანთ საცმელიც ხომ არა. ყარაბაღული წაღების მაგივრად ლაქით გაპრიალებული წაღები გვაცვია. ვინც ფეხშიშველი დადიოდა, ფეხსაცმელის ტარება დაიწყო. განიერი შარვლების მაგიერ, ვიწრო შემოვიღეთ. ზოგნი მანდილოსნებიც ამათ არა თუ ჩამოურჩნენ, არამედ აჯობეს კიდეც: წლის განმავლობაში ათას გვარ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს იცვლიან. ეს დიდი ხანი არ არის, რაც სამი ადლის სიგძე შლეიფით თბილისის და ქუთაისის ქუჩებს ჰგვიდნენ; ახალი მოდის კაბა კოჭებსაც ძლივს უფარავს. ეხლანდელი საჭმელი და სასმელი ხომ ძველ დროისას აღარა ჰგავს. ერთი სიტყვით, ერთი მცირე ნაწილი ქართველების ცხოვრები-

სა სულ შეიცვალა, დანარჩენიც ცოტ-ცოტად იცვლება. რითაც ძველად გასყოფილდებოდით, ის ახლა არ გვაკმაყოფილებს. ქართველების ცხოვრებამ მიიღო სულ სხვანაირი სახე; ვგრძნობთ ისეთ მოთხოვნილებას, რომლებიც სიზმარშიაც არ უნახავსთ ჩვენს წინაპარებს. ამ გვარად ცხოვრების გადაკეთება მარტო ქართველი ხალხის ხვედრი არ არის. ეს გამოსცადა ყველა ევროპიის ხალხმა. ისინიც ერთ დროში «მცირესა ზედა კმაყოფილ იყვნენ»; მაგრამ, როცა იმათი გარემოება შეიცვალა, მაშინ იმათი ცხოვრებაც შეიცვალა; ასე რომ იმათი ახლანდელი ცხოვრება რომ შევადაროთ იმათ ორი საუკუნის წინა ცხოვრებას, გავოცდებით. ახლანდელი იმათი ცხოვრება ისე არის დაშორებული ძველებურ ცხოვრებაზედ, როგორც ცა დედა-მიწაზედ; ახლანდელი იმათი ცხოვრება საზოგადოდ ისეთი უკეთესი და სასიამოვნო არის, როგორც ახლანდელ კარეტაში გაქან-გამოქანება უფრო სასიამოვნო არის, ვინემ ჩვენებურ სარებ შებმულ ურემში. თავდა-პირველად ყოველი ხალხი კმაყოფილია იმითი, რაც შეუძლიან იშოვნოს მცირედი შრომით. ის არა ჰგრძნობს მრავალ-გვარ მოთხოვნილებას; იმისთვის საკმაო არის, თუ კი გაიძღო კუჭი: გინდა ხილით, გინდა უმი ხორცით — სულ ერთია, ოღონდ კი ყელში ჩავიდეს და კუჭი გაატენოს. ის არ დაეძებს, მოსული არის ხილი, თუ არა; შემწვარი არის, ან მოხარშულია ხორცი, თუ არა. ტყეში მოჰკლავს რამე ნადირს, ის იმის შემზადებას არ დაეძებს, უმს ჰყლაპავს. ტანისცმელშიაც ეგრე იქცევა. იმისთვის სულ ერთია, ოღონდ როგორმე ტანი დაიფაროს სიცხისგან. ესეთი იმათი ცხოვრება იმ დრომდის არ იცვლება, სინამ ისინი იმისთანა გარემოებაში არიან, რომელიც ჰბადებს ამ გვარ იმათ ცხოვრებას. ესე იგი იქამდის, მანამ ისინი თავიანთ გონებით და ჭკვით დიდად არ განირჩევიან პირუტყვებისგან. მაგრამ გაივლის რამდენიმე დრო და დაუდეგარი ცხოვრებიდგან სდგამენ ნაბიჯს ახალი ცხოვრების გზაზედ. წინად არ ჰქონდათ მუდამი სადგური; ერთ დღეს ერთ ადგილას ატარებდნენ

თავიანთ ცხოვრებას თავიანთ სამგზავრო ქოხში, მეორე დღეს [illegible] ადგილას გადასახლდებოდნენ და ახალ თავის საცხოვრებელ ადგილზედ აშენებდნენ ისეთ კარვებს, სადაც შეეძლოთ შეეფარებინათ თავი მოკლე დროს განმავლობაში. ესეთი ხალხი სწორედ მგზავრებსა ჰგვანან. მგზავრს სადა დაუღამდება, იქვე ხის ძირში გაათევს ღამეს. თუ ცუდი ამინდი დაესწრო და იმ ხის ფოთლებმა ვერ დაიფარა, მგზავრი ამტვრევს ხის ტოტებს და აშენებს ქოხს, რომ დილამდის თავი შეაფაროს; დილას კი ანებებს თავს იმას, რაზედაც საღამოს უშრომნია და მიდის თავის გზაზედ. მოტანტალე ხალხსაც სწორედ ამ გვარი ცხოვრება აქვს. მაგრამ, როგორც ზემოდ ვსთქვით, რამდენიმე დროს განმავლობაში ისინი თავს ანებებენ ამ გვარ ცხოვრებას და ბინავდებიან ერთს ადგილზედ. ამ დროიდგან იწყობა იმათი ახალი ცხოვრება. წინად სანამდის დაწანწალებდნენ, ისინი არ საჭიროებდნენ იმისთანა სახლებში, რომლებიც ჩვენ გვიდგას ახლა. მაშინ ისინი მოკლე დროებით შეჩერდებოდნენ ხოლმე ერთ ადგილას, მაშასადამე იმ მოკლე დროების შესაფერი სადგური უნდა ჰქონოდათ. რა საჭირო იყო იმათთვის მაშინ ქვითკირის და ხის სახლები? რომ აიყრებოდნენ ამ ადგილიდგან, ხომ ზურგზედ ვერ აიკიდებდნენ? მაგრამ, როცა ბინავდებიან ერთ ადგილას სამუდამოდ, მაშინ სახლ-კარიც ისეთი უნდა ჰქონდეთ, რომ სანგრძლივ შეიფარონ თავი. ეს არის ეპოქა ხალხის სოციალურ (საზოგადოებრივ) ცხოვრებაში. მაშინდელი კარვების მაგიერ იშენებენ სახლს. ნადირობის მაგივრად იწყობენ მიწის შემუშავებას; უმი ხორცის მაგივრად იწყობენ მოხარშულისა და შემწვრის ჭამას. გარდა ამისა ამ დროიდგან იმათ შეაქვსთ ხმარებაში ისეთი ნივთები, რომლებიც წინად, უმეცრების გამო, იყო მათთვის უვარგისი. წინად უმი ხორცი და ხან ხილი, ისიც მოუხვლელი, შეადგენდა იმათ საზრდოს; ახლა კი იმათ საზრდოს ემატება პური. წინად უმ რძესა სვამდნენ, ახლა კი ერბოსა და ყველის კეთებას მოჰყვნენ. წინად ტანსაცმელიც ერთნაირი ჰქონდათ; ახლა კი ეს

ტივისცემული აღარ აკმაყოფილებს იმათ ამ გვარი ცხოვრებ[illegible] მოსწავლის ყოველმა ხალხმა. ზოგ ხალხს უფრო მეტი ხანი დაუყვია ამ გვარ ცხოვრებაში; ზოგი კი უფრო ადრე გამოსულა ამ ნაირი მარტივი ცხოვრებიდგან; ზოგნი კიდეც ამ გვარად სცხოვრებენ. ის ხალხი, რომელიც უფრო წინად გამოსულა ამ ცხოვრებიდგან, კიდა უფრო მაღლა სდგას სოციალური (საზოგადოებრივი) მდგომარეობით, ვინემ ის, რომელიც იმის შემდეგ. ევროპაში უფრო ადრე შესწყდა ხალხების მოგზაურობა, ტანტალი. იქ უფრო ადრე დაბინავდნენ, ვიდრე სხვა ქვეყნებში, და ამის მიზეზით იმათი სოციალური (საზოგადოებრივი) მდგომარეობა უფრო მაღლა სდგას სხვა ქვეყნის სოციალურ მდგომარეობაზედ.

## 2.

იქნება ვინმემ სთქვას: თითქოს ამის დამწერს ჰსურდა ელაპარაკნა გზების და ბოგირების მნიშვნელობაზედ»?! დიახ, გზებისა და ბოგირების მნიშვნელობაზედ; მაგრამ ჯერ ჯერობით უნდა გაგვეცნო, გაკვრით მაინც, სოციალური ხალხის მომდინარეობა. ეს იყო მიუცილებელად საჭირო მისთვის, რომ გაგვეგო მიზეზი, რის ძალითაც სოციალურ ხალხის მდგომარეობაში მოხდება ხოლმე სხვა-და-სხვა ნაირი ცვლილება. ყოველ გვარ სოციალური ცხოვრების მოვლინებას ჰმართავს კანონი; როგორც სხვა მოვლინებებში, ისე სოციალური ხალხის მდგომარეობაში შემთხვევითი არაფერი არ არის; ყოველიფერს აქვს თავისი მიზეზი, და ჩვენ უნდა გაცოდეთ ეს მიზეზები. უამისოდ ჩვენი ლტოლვა ბედნიერებისადმი, ცხოვრების გაუმჯობესებისადმი ამაო და ფუჭი იქნება. ჩვენში თუ მოგზაურობამ დაიწყო რკინის გზის კეთება, ეს ცხადად გვიმტკიცებს იმას, რომ ჩვენი ხალხი გამოსულა პირველ მდგომარეობიდგან *)

*) თუ რა გავლენა ექნება ჩვენ ადგილობრივ ვაჭრობაზედ და ხელოვნებაზედ ამ რკინის გზას, ამაზედ სტატიის ბოლოს მოვილაპარაკებ.

ველური ხალხისათვის არა თუ რკინის გზა, არამედ ბილიკიც კი არ არის საჭირო. ის ტყე-ტყე დაძვრება. როცა ტყე-ტყე [illegible]ვს დაანებებს და დაბინავდება ერთ ადგილას, მაშინ კი საჭირო არის არა თუ ბილიკი გზა, არამედ შარა გზაც აღარა კმარა. ეს წარმოსდგება მისგან, რომ ცხოვრება იცვლება, კაცს მოთხოვნილება უმრავლდება. პირველ ხალხის მდგომარეობაში, როცა უმი ხორცით და მოუწვარი ხილით კმაყოფილდებოდა კაცი, იმ დროს თვითეულს იმათგანს შეეძლო დაეკმაყოფილებინა თავის თავი; მაგრამ რაკი იმათ იგრძნეს სხვა-და-სხვა გვარი მოთხოვნილება, აღარ დაკმაყოფილდნენ წინანდელი ცხოვრებით, უნდა შეეწყელად მაქმართათ ერთმანეთისათვის საშველად. ერთსა და იმავე კაცს ორგვარი მოთხოვნილება აქვს: სულიერი და ფიზიკური; როცა ხალხი არ გამოსულა პირველი მდგომარეობიდგან, მაშინ ამ გვარ მოთხოვნილებებს სძინავს, თუ შეიძლება ესე ვსთქვა; მერე გაიღვიძებს და მაშინ იმას დაკმაყოფილება უნდა. ერთ კაცს არ შეუძლიან დაიკმაყოფილოს თავისი თავი. რა შესაბრალისი იქნებოდა, მკითხველო, ერთი ჩვენგანი, რომელიც დიდი ხანია გამოსულა პირველ მდგომარეობიდგან და მრავალ გვარ მოთხოვნილებასა გრძნობს, რომ რამე შემთხვევით უეცრივ გაჩნდეს ისეთ კუნძულზედ, სადაც არავინ არ არის! ეს რომ შემთხვეს, ის მაშინ იგრძნობს, რომ შეუძლებელი არის ერთმა კაცმა ყოველმხრივ დაიკმაყოფილოს თავისი თავი. ჩვენ რომ მარტო პურის ჭამის და სმის მეტს მოთხოვნილებას არას ვგრძნობდეთ, მაშინ კიდევ შეგვეძლო კაი გაგლახით გვეჩანჩალებინა ჩვენი ცხოვრება. მაგრამ ჭამისა და სმის მეტს არასა ვგრძნობთ? გარდა იმისა, რომ ეხლა ჩვენ ვგრძნობთ სხვა-და სხვა გვარ, სხვა და სხვა ნაირ საჭმელის მოთხოვნილებას; გარდა ამისა, მოგახსენებთ, მკითხველო, სხვა რამდენი მოთხოვნილება გვაქვს? იქნება ვინმე მკითხველთაგანი იყოს ცოლშვილიანი და ამ იმედით ვისარგებლებ ამგვარი მკითხველის მდგომარეობით. თქვენს ჯალაბობას უნდა, სხვათა შორის, ტანსაცმელი. რასაკვირველია, თქვენის მხრით არ

იქნება კარგი, რომ თქვენ ცოლ-შვილს ერთი ხელი ტანისამოსის-მეტი არა ჰქონდეს. საჭიროა რამდენიმე; უამისოდ არ შეიძლება. — [illegible] ამისა, რამდენიმე ხელი აბრეშუმისა არის, რამდენიმე ჩითისა, რამდენიმე, თუ კარგი შეძლებული ბრძანდებით, სავერდისა ან სხვა რამე ძვირფასი ფარჩისა, სხვა-და-სხვა ფერისა და სხვა-და-სხვა ნაირად შეკერილი *); ქუდი, წაღები და სხვა და სხვა. შეგიძლიათ მარტო თქვენ ამის მოწყობა? ამ თქვენი ჯალაბობის შემოსვაში მონაწილეობა მიიღოს ათას ნაირ შრომამ. სხვა-და სხვა შრომას — სხვა-და-სხვა ნაირი ცოდნა და ხერხი უნდა. თქვენ სამოსელთაგანი ბევრი ნაწილი არის შემზადებული შორს თქვენი სამშობლოდგან. უამისოდ ვერ შეიმოსებოდით სხვა-და-სხვა ფარჩებით, თუ რომ ჩვენ სამშობლოს არა ჰქონოდა შეძლება იმ ხალხთან საქმის დაჭერისა, რომელიც ამ გვარ ფარჩებს ამზადებს. საქმის დაჭერისათვის საჭიროა მისვლა-მოსვლა; ძვირფასი ფარჩები ხომ ვერ გადმოფრინდებიან საფრანგეთიდამ და სხვა ქვეყნებიდგან? მაშასადამე, უნდა გაიმართოს მისვლა-მოსვლა; უგზოდ კი ეს არ შეიძლება.

### 3.

დიდი ხანი არის, რაც მსწავლულებმა შეჰნიშნეს ანალოგია (მსგავსება) ხალხის საზოგადოების და ცალკე პირის ცხოვრებას შორის. დიდი ხანია, რაც საზოგადოებას განიხილავენ, როგორც ერთ ორგანიზმას (სხეულს). როგორც კაცი, ისე საზოგადოება, ხალხი, რომელიც სცხოვრებს ერთსა და იმავე მმართებლობის ქვეშ, და უკანასკნელად თვით კაცობრიობა, წარმოგვიდგენს ჩვენ ორგანიზმას. საზოგადოების ცხოვრების წარმოება საკვირველად ემსგავსება კაცის ცხოვრების წარმოებას. ეს იყო იმის მიზეზი, რომ გობბესმა მოიგონა სიტყვა ლ ე ვ ი ა ფ ა ნ ი.

---

*) საზოგადოება კარგთან ცუდსაც იღებს ხოლმე. ეს საზოგადო ჭირი არის.

ეს სახელი უწოდა იმან ხალხს, პოლიტიკურს სხეულს; იმ სხეულს, რომელიც იმას არ მიაჩნია ბუნებით სხეულად, არამედ ხელოვნებით სხეულად. უადგილო იქნება აქ იმის გარჩევა, თუ რამდენად მართალი არის ამ გვარი შედარება ხალხისა ცალკე აღებულ კაცთან. იმის თქმა კი საჭირო არის, რომ საზოგადოდ ამ გვარი შედარება არის ნამდვილი. არავინ არ იფიქროს, რომ ვითომ მე აქ ვლაპარაკობდე ისეთ რამეზედ, რომელიც არ შეეხება ამ სტატიის საგანს. ამაზედ დარწმუნდება მკითხველი იმით, რომ ხალხის სოციალურ (საზოგადოებითს, ერთობითს) მდგომარეობაში, ხალხის აგებულებაში გზებს ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორიც ძარღვებს კაცის სხეულში.

სისხლი შეადგენს მიუცილებელ საჭიროებას კაცის აგებულებისათვის. უსისხლოდ კაცის ცხოვრება შეუძლებელი არის. ვინც, ცოტაოდნად მაინც, იცის კაცის აგებულების ფიზიოლოგია, იმას ისიც ეცოდინება, თუ რა სახით განაწილდება ხოლმე ეს სისხლი კაცის აგებულებაში. სისხლს თან მიაქვს სხვა-და-სხვა კაცის აგებულების ნაწილში ისეთი ნივთები, რომლებიც საჭირონი არიან კაცის აგებულებისათვის. ყოველ წამში კაცის აგებულება ჰკარგავს რამდენიმე ნაწილს სხეულისას. თვითეულ ოფლის ცვარს თან გამოაქვს ჩვენი აგებულებიდგან, ჩვენი სხეულიდგან ამ გვარი ნაწილები. ეს ნაწილები უვარგისნილა არიან კაცის აგებულებისათვის. თუ რომ ამ ნახარჯი ნაწილების მაგიერ ჩვენმა სხეულმა არ მიიღო სხვა, მაშინ კაცის სიცოცხლე შეუძლებელი არის. კაცმა რომ რამდენიმე დღე არაფერი არა სჭამოსრა — მოკვდება. ეს წამოსდგება ზემოთ ნათქვამი მიზეზისაგან, ესე იგი იმისაგან, რომ სხეული ჰკარგავს თავის ნაწილებს, რომლის მაგიერ უნდა მიიღოს აგებულებისათვის სხვა გამოსადეგი. კაცის საზრდო სისხლს მიაქვს მთელ სხეულში. სისხლი მუშაობს ამ რიგად: ჩვენი გულის მარცხენა მხრიდგან გამოდის ერთი დიდი ძარღვი. ეს ძარღვი, ან მილი, ჯერ გაყოფებაზედ მსხვილია; მერე განიშტოება მრავალ ძარღვებად, ვიწრო მი-

ლებად, მაშასადამე, უფრო ვიწროვდება. ეს ვიწრო მილები [illegible] ჩვენ სხეულში ისე, რომ ვერ ადგილს ვერ იპოვი კაცი [illegible] სადაც არ იყოს ეს ვიწრო მილი. თუ გსურთ დარწმუნდეთ ამაზედ, აიღეთ ნემსი და იჩხვლიტეთ, რა ადგილზედაც გნებავდეთ, გინდა თუ-ხის გულში, გინდა ხელისაში; ერთის სიტყვით, სადაც გინდოდესთ იქ. ნაჩხვლეტ ადგილზედ თქვენ დაინახავთ სისხლს. ამ მილებს დიდი მნიშვნელობა აქვსთ სხეულში. ეს მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სისხლს იმ მილებით თან გააქვს სხეულის საზრდო შესავსებელი ნივთები, ის ნივთები, რომლებზედაც ზემოთა ვსთქვით და რომლებიც შეეცვლებიან, ანუ უფრო განავებად ვსთქვათ, გადაკეთდებიან ჩვენი სხეულის ნაწილებად, — იმ ნაწილების მაგივრად, რომლებსაც ყოველ წამში ვკარგავთ ჩვენ ორთქლის და განავლის სახედ.

რა მნიშვნელობაც მარცვლებსა აქვს კაცის აგებულებისათვის, სწორედ ის მნიშვნელობა აქვს გზებს საზოგადოებისათვის — საზოგადოაგებულებისათვის; ჩვენ სხეულში სისხლს ერთი ადგილიდგან მეორე ადგილში მიაქვს საზრდო ნივთები; საზოგადოებას, ხალხსაც გზებით ერთი ადგილიდგან მეორეზედ გადააქვს სხვა-და-სხვა ნივთები, ურომლოდაც საზოგადოების ცხოვრება, კეთილ-დღეობა, წარმატება შეუძლებელი არის. ჩვეულებრივ მხარეში არის ქალაქები; რაც უფრო მაღლა სდგას ხალხი სოციალურად და პოლიტიკურად, ანუ მოქალაქეობით და განათლებით, იმდენი უფრო ბევრი და დიდი ქალაქები აქვს. არაფერი დიდი შეცდომა არ იქნება ჩვენის მხრით, რომ ამ გვარ ქალაქებს მივსცეთ საზოგადო ანუ სოციალურ მდგომარეობაში, სხეულში — ისეთი მნიშვნელობა, რაც მნიშვნელობა აქვს გულს ჩვენს სხეულში. აქედგან განიფანტება ჩვენ სხეულში სისხლი ჯერ დიდი მარღვით, მერე ეს მარღვი იშლება წვრილ მარღვებად და მიაქვს სისხლი ყოველ სხეულის ნაწილებისთვის, ახოებისთვის. ქალაქებიდგან გამოდიან დიდი შარა გზები, და რომლებიც ქალაქს გმორდებით, იმდენი ამ შარა დიდ გზას შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთდება სხვა ვიწრო გზები. მერმე ამ ვიწრო გზებსაც შეერთებული აქვს უფრო ვიწრო გზები, რომლებიც მიდიან სხვა-და-სხვა სოფლებში. როგორც ყოველი ნაწილი, ყოველივე ჩვენი სხეულის ადგილი გულთან არის შეერთებული, ისე ყოველი სოფელი უნდა იყოს შეერთებული ქალაქებთან. ფიზიოლოგებმა, ე. ი. იმათ, ვინც იკვლევენ კაცის სხეულის სიცოცხლის კანონებს *), კაცის აგებულებას, ძალიან კარგად იციან, რომ თუ რომელიმე ძარღვი გასჭრეს და, მაშასადამე, შესწყვიტეს იმის კავშირი დიდ ძარღვთან, რომელიც გულიდგან გამოდის ხის მტო-სავით, იმ ადგილში, რომელიც იყო შეკავშირებული გაჭრილი ძარღვით დიდ ძარღვთან, ხოლო ამ უკანასკნელით გულთან, სიცოცხლე გაჰქრება. სწორედ ეს ემართება იმ სოფელს, რომელიც გზით არ არის შეერთებული ქალაქებთან. ამ გვარ სოფლის მდგომარეობას არ დაეძახება მდგომარეობა. ეს სოფელი დაეცემა საზოგადოებრივი (სოციალური) და პოლიტიკური მდგომარეობით. ეს სოფელი იქნება ღარიბი ყოველის მხრით იმ სოფლებზედ, რომელნიც არიან შეკავშირებულნი გზით. თუ ვინმეს ეს არა სჯერა, აიღოს ორი სოფელი: ერთი ისეთი, რომლის მცხოვრებთა აქვსთ მისვლა-მოსვლა თბილისში, ან ქუთაისში; მეორე ისეთი, რომელიც მოკლებული არის ამ მისვლა-მოსვლას. ამ ორი სოფლის მდგომარეობა ნათლად აჩვენებს იმას, თუ რა სასარგებლო არის გზები, იმისთანა გზები, რომლითაც იმათ შეუძლიან ადვილი მისვლა-მოსვლა ჰქონდესთ ქალაქში. აი, მაგალითად, რაჭის სოფლებში ძნელად იშოვით ევროპიულად მორთულ სახლებს; შორაპანში და ორპირში კი უფრო ხშირად. ამის მიზეზის ჩვენება არ არის ძნელი. რაჭას აცალკევებს ქუთაისიდგან ნაქერალას მთა; ამ მთაზედ გადადის ძალიან ცუდი გზა; შორაპანისა და ორპირს შორის კი არ არის ასეთი ცუდი გზა. ხანამ-

---

*) როგორც ყველაფერი, ისე ჩვენი სხეულის სიცოცხლე ემორჩილება კანონებს, რომელთაც, სხვა კანონებიდგან გასარჩევად, ეძახიან ფიზიოლოგიურ კანონებს.

დის რაშულები არ გააკეთებენ კარგ გზას, მანამდის ისინი [illegible]-ბიან ამ ორ სოფელზედ; რაც უფრო დააგვიანებენ კარგის გზის გაკეთებას, იმდენად უფრო უკან და უკან ჩამორჩებიან.

არ შეიძლება ზემონათქვამით დავკმაყოფილდეთ მკითხველი. თუ ამითი გავათავეთ ეს სტატია, ეჭვი არ არის, რომ ამ სტატიის საგანი არ იქნება საკმაოდ განხილული; ჩვენ ვრცლად უნდა უჩვენოთ ის, რაცა ვსთქვით შორაპანზედ, ორპირზედ და რაჭის სოფლებზედ. რაც საზოგადოდ გაკვრითა ვსთქვით ამ სოფლებზედ, ის უნდა განვიხილოთ ვრცლად. მხოლოდ ამ სახით შეიძლება ამ სტატიამ მიაღწიოს თავის მიზანს. მაშასადამე ჩვენ უნდა გავსინჯოთ სრულად შემდეგი წინადადება: რა მიზეზით წარმოსდგება ის, რომ ერთი სოფელი არის უფრო მდიდარი, მეორე კი ღარიბი, როგორც ნივთიერებითი ანუ ქონებითი მხრივ (მატერიალურად), ისე გონების გახსნილობით (ინტელლექტუალურად).

4.

ზემოთა ვსთქვით, რომ ხალხის მოთხოვნილება,—გინა ცალკე აღებული პირისა,—თავდაპირველად არ არის მრავალ-გვარი. მოვიყვანოთ მაგალითად მაწანწალა ხალხი, რომელსაც მუდამი თავის შესაფარი არა აქვს; შექცევა უმი ხორცით, რძესა და მოუხვლელ ხილსა სჭამს. ტანსაცმელშიაც გარჩევა არ იცის: აცვია რამე მხეცის ტყავი. მაგრამ მერე ბინადრდება, მოთხოვნილება უმრავლდება. ეს მრავალ გვარი მოთხოვნილება უნდა დაიკმაყოფილოს. რა სახით შეიძლება დაკმაყოფილება, ამაზედ ზემოთ გაკვრით ვსთქვით. ეხლა ეს გამოვიკვლიოთ უფრო სრულად. კაცს აქვს მრავალგვარი მოთხოვნილება, როცა ის გამოდის თავდაპირველ ველურ მდგომარეობიდგან. კარგი იქნებოდა, რომ ამ მოთხოვნილებისა და თითოდ აღებული კაცის ფიზიკური ძალისა ან ღო-

ხის აწონვა შესაძლებელი იყოს ისე, როგორც შეიძლება პურისა ან სხვა რამე ნივთის აწონვა, მაშინ შეგვეძლო ნათლად დაგვენახა — რომ ერთის და იმავე კაცს არ შეუძლიან დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი მარტოკა თავის ჯანით და ღონით. ისიც კარგია, თუ ამ მოთხოვნილებების მეათედი დააკმაყოფილა თვითონ. ამაზედ დავრწმუნდებით მაშინ, თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ სუყოველ საზოგადოებაში არის სხვა და სხვა ხელობის კაცი; ერთი ჰხნავს, სთესავს, მკის; მეორე აკეთებს იმას, რაც საჭირო იარაღი უნდა ხვნასა და მკას, სახელდობრ: გუთანს, ნამგალს, წალდს, ცულს და სხვ. აი ორ გვარი შრომა. გარდა ხმისა და ჭამისა საჭირო არის სამოსელი. ავიღოთ წაღები. იმას უნდა მასალა — ტყავი რამე: ძროხისა, კამბეჩისა და სხვ. მეორე მომზადება, შეკერვა. არიან მეტყავეები, მკერვლები. წარმოიდგინეთ, გაითვალეთ, სუყველაფერი ეს ერთს აწევს კისერზედ. შეიძლება ერთმა აღასრულოს ეს ყველაფერი? იტყვი: ვერა. სწორედ ვერა — მეც ვიტყვი. ამას გარდა განა სხვა არაფერს ვეძებთ? სხვა არაფერი გვსურს? ჩვენებური ღვინით აღარა ვკმაყოფილდებით; შემოგვაქვს საქართველოში ჩაი, ყავა, შოკოლადი, ლიმონად-გაზესი და სხვ.; ხის ჯამების მაგიერ სხვა გვარი თეფშები; ხის კოვზების მაგიერ — ვერცხლისა; ტიკტის მაგიერ — დიკნები და სხვ. და სხვ. ერთი კაცის ღონეს არ შეუძლიან ეს ყველაფერი გააკეთოს. ერთი — რომ ჯანი ვერ გაუძლებს, კაცის აგებულება რკინა არ არის; მეორე — დროსაც ვერ იშოვის. მაშასადამე სხვა-და-სხვა პირმა უნდა აღასრულოს სხვა და სხვა საქმე. ერთმა სთესოს, ხნას, მკას; მეორემ — იდურგლოს; მესამემ — იმჭედლოს და სხვა. ყველა თავის ნაშრომს გასცვლის სხვის ნაშრომზედ. მხვნელ-მთესველს უნდა იარაღი, დურგალს და მჭედელს — პური; ეს ორნი ერთმანეთს გაუცვლიან თავიანთ ნაშრომს. როცა ხალხი ეკონომიურად დაბლა სდგას, მაშინ თვით ნივთებსა სცვლიან. ასე ჰქნა რობინზონ კრუზომ, როცა თავის კუნძულზედ შეჰხვდა ერთს კაცს. ერთის ჰქონდა ერთი ნივთი, მეორეს —

მეორე; ეს ნივთები გაჰცვალეს. *) მხოლოდ ეგრე იქცევა ის ხალხი, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვის გონებით.

ზემონათქვამზედ იჩვენებულება შეუძლებელია — ერთი კაცი ათას ნაირ თავის ბუნების მოთხოვნილებას ვერ დაიკმაყოფილებს. განვაგრძოთ ეხლა ლაპარაკი იმ გვარად, რომ ამ ლაპარაკმა მიგვიყვანოს იმ ჭეშმარიტებამდის, რომელიც გვსურს ნათლად დავინახოთ, — იქამდის, რომ ხალხის წარმატება ნივთიერებითის ანუ ქონებითის მხრივ შეუძლებელი არის, თუ კარგი გზები არ არის.

ყოველ გვარ შრომას უნდა თავისი შესაფერი ადგილი. ის, ვინც განსაკუთრებით ჰხნავს ჲ სთესავს, უნდა სახლობდეს იმ ადგილას, სადაც სახნავ-სათესი ადგილები ბევრი არის. მეჯოგე უნდა იდგეს იქ, სადაც კარგი საძოვარი ადგილები არის; რკინის მუშა კი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ვინც შეიმუშავებს რკინის მადანს, — იქ, სადაც ეს მადანი არის; მჭედელი იქ, სადაც ამის მუშაობა უფრო მოსახერხებელი არის. მჭედელს უნდა რკინა მუშაობისთვის, მეურნეს — წალდი, ცული ჲ სხვა იარაღი მიწის შესამუშავებლად; მაშასადამე, ამათ შორის მისვლა-მოსვლა უნდა გაიმართოს, გზა უნდა იყოს. რამდენიც უფრო კარგი არის ეს გზა, იმდენად უფრო სასარგებლო არის ამათთვის. თბილისიდამ ქუთაისამდის რომ შოსსე გზა არ იყოს, ამათ შორის მისვლა-მოსვლა ძნელი იქნებოდა. რამდენჯერ დარჩებოდა ურმები წვიმის დროს ამ გზაზედ; ცხენები ჲ ხარკამეჩი მეტად გაილახებოდა. ორი კვირის მაგივრად ერ-

---

*) რობინზონ კრუზოე არის მოგონილი სახელი ჲ ამ სახელით იგულისხმება კაცობრიობის წარმომადგენელი. ეს სიტყვა მოიგონეს მეცნიერებმა იმისთვის, რომ უფრო კარგად გამოეკვლიათ კაცობრიობის საზოგადოებითი (სოციალური) მოძრაობა ჲ ამ მოძრაობის კანონები. კუნძულად, სადაც რობინზონი მოქმედებს, უნდა ვიგულისხმოთ დედა-მიწა, ის ადგილი, საიდგანაც ხალხი განმრავლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი თვე მოუნდებოდა ქალაქიდგან ქუთაისამდის და ქუთაისიდგან ქალა-
ქამდის მისვლას. ეს ხომ დროს დაკარგვა არის; დრო კიდევ უძვირ-
ფასესი ნაწილია ცხოვრებაში. თუ რომ სულ არ იყოს გზა, მაშინ ხომ
უფრო უარესი იქნება. როცა ჩვენში ხანგრძლივი წვიმა მოდის, ვიძა-
ხით: «კარში არ გაისვლებაო». ვინ არ იცის, რა ხშირად ჩარჩება ხოლმე
ურემი ტალახში. შეუბმენ ოთხ, ხუთ და ექვს უღელს, ეწევიან, მაგრამ
ურემი იქვე რჩება. თავი უნდა გაანებონ და დაბრუნდნენ შინ და მერე ხელ
ახლად უნდა მიბრუნდნენ ურმის შინ მოსატანად. ეს ამბები ისე ხში-
რად სდება ხოლმე, რომ არა მგონი, რომ ყველა მშრომელ და მუშაკ
ქართველს ერთხელ-ორჯელ მაინც არ გამოეცადნოს. ამის მიზეზით
ამაზედ ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. ამისთანა გაჭირვების აცილე-
ბა შეიძლება მაშინ, როცა გზები კარგი იქნება.

ვისაც ორპირიდგან უვლია შარაგზით თბილისამდის და ურმი
უთხოვებია იმისთვის, თუ როგორ სცხოვრებენ ამ გზის ახლო სოფ-
ლები; ვინც ამასთანავე იცის ის ცხოვრება, რომელსაც ატარებენ შარა
გზაზედ მოშორებული სოფლები; ის უეჭველად დააფასებს, თუ რა
შეუძლიან კარგ გზას კაცის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ორპირელი
უფრო სუფთად სცხოვრებს, მინამ სხვა სოფლელი. იმ მიზეზით,
რომ ორპირელს შეუძლიან ადვილად წავიდეს ქუთაისში. თუ რამე აქვს,
წაიღებს, გაჰყიდის და იმ ფულებით იყიდის იმას, რაც უნდა. რაჭელი-
სათვის ეს ძალიან ძნელია, რაკი მეტად ცუდი გზა არის. რაჭელი ზა-
ფხულში რომ ჩამოვიდეს ქუთაისში, ოთხჯერ უფრო გაიკაგლავს გა-
მოივლის, მინამ ორპირელი, ზამთარში რომ წამოვიდეს. რასაკვირველია,
რომ ორპირელები რაჭველებს აჯობებენ. ყოველა კუთხეს საქართველო-
ისას აქვს თავისი შესაფერი მოსავალი; რაც ერთ ადგილას უფრო
კარგად მოდის, ის მეორე ადგილას ნაკლებად მოდის. შრომის განა-
წილების პრინციპი (დედა-აზრი) მოითხოვს, რომ ყველა ადგილს შეიმუშაონ
ის, რაც უფრო ხეირობს. კასპიაში ღვინო უფრო კარგად მოდის, კა-

ნემ ქართლში. თუშეთში და ქიზიყში ცხვარი უფრო ბლომად არის, მინამ სხვა საქართველოს კუთხეებში. აქ მალს აკეთებენ, [illegible]ბის. ყველა ადგილის მცხოვრებს თავისი ადგილობრივი მოსავალი მიაქვს ქალაქში. აქედგან, როგორც გულიდგან სისხლი კაცის სხეულში, გააქვსთ სხვა ადგილებში გზებით. ვსთქვათ, კახეთიდგან მოაქვსთ ურმებით ღვინო; ქართლიდგან—პური. მინამ კახელი ერთ გზას იზამდეს, ქართველებს შეუძლიან ორჯერ მოიარონ. რასაკვირველია, როცა ეს მაგალითი მოგვყავს, ვგულისხმობთ, რომ ის ადგილები, საიდანაც ღვინო და პური მოაქვთ, ერთ სიშორეზედ არიან ქალაქიდგან. ამ შემთხვევაში ქართველი მოგებაშია უეჭველად. ამას დრო არ ეკარგება, როგორც კახელს—ეს ერთი; მეორე—იმდენი ხარჯი არ მოსდის და მესამე—ხარები არ ექანცება, ურემი არ ემტვრევა.

აქ უადგილო არ იქნება ვაჩვენოთ მატემატიკურის გამოანგარიშებით ზემოხსენებული ზარალი და სარგებლობა, ის სარგებლობა, რომელიც უნდა კარგი გზის მოწყობილებით ნახოს ქართველმა და ის ზარალი, რომელშიაც უნდა შევიდეს კახეთის მცხოვრები; რაკი აქ ლაპარაკი არის ხალხისთვის გზის მნიშვნელობაზედ, ამის მიზეზით სხვა პირობები ერთი და იგივე უნდა იყოს. წარმოვიდგინოთ ორი სოფელი. კახეთიდგან და ქართლიდგან მოაქვთ ქალაქში ადგილობრივი მოსავალი გასასყიდად. ვსთქვათ კახელი არის ა სოფლიდგან, ქართველი ბ სოფლიდგან. ორივე სოფელი ა და ბ ერთსა და იმავე მანძილზედ არის ქალაქიდგან, 100 ვერსტზედ. ვსთქვათ, რომ ორთავ დაუდეს ურემს იმდენი, რომ ორივენი ქალაქში თავის ნატანილს ერთ ფასად გაჰყიდიან, ვსთქვათ ათ-ათ თუმნად. ის გზები, რომლებიც ა—დგან და ბ მიდიან ქალაქში, თუ ერთ ნაირი არის, მოსწორებული შოსსეა, ბოგირებიც არის, სადაც საჭიროა, მაშინ კახელმაც და ქართველმაც ერთი და იგივე დრო უნდა მოახმარონ ქალაქში ჩასვლამდის, ვსთქვათ ამ შემთხვევაში ორთავე მოუნდებოდათ ორი კვირა. მაგრამ, თუკი ა გზა უარესი არი-

ის კახეთიდგან, კახელმა უფრო დიდ ხანს უნდა იაროს, მინამ ქართლველმა. ვსთქვათ, კახელს, ცუდი გზის გამო, მოუნდება სამი კვირა კახელმა სამი კვირის განმავლობაში აიღო 10 თუმანი, ქართლველმა კი იმოდენივე ფული, ათი თუმანი, ორი კვირის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ქართლველი იმით სჯობნის კახელს, რომ ერთი და იმავე სარგებლობისათვის უნდება ნაკლები დრო, ვინემ კახელს. კახელს სამი, ქართლველს ორი კვირა. ამ მესამე კვირას ქართლველი მოიხმარებს სხვა რამეზედ, ვსთქვათ სამუშაოდ წავიდა. დღის ქირა დავნიშნოთ სამი აბაზი. ქართლველი ამ მესამე კვირაში აიღებს 4 მანეთს და ერთ აბაზს. მაშასადამე ერთი და იმავე დროს განმავლობაში კახელი იშოვნის 10 თუმანს; ქართლველი კი 10 თუმანს, 4 მ. და ერთ აბაზს. ვსთქვათ წელიწადში ხუთჯერ ჩააქვსთ ამ გვარი პირობებით კახელს და ქართლველს ქალაქში თავიანთ ადგილობრივი მოსავალი. მაშასადამე ერთი წლის განმავლობაში ქართლველი იშოვის 50 თუმანს ქალაქში ჩატანილის გაყიდვით; კახელიც 50 თუმანს. ქართლველს ამ 50 თუმნის საშოვრად მოუნდება ათი კვირა; კახელს თხუთმეტი. თუ რომ გვსურს შევიტყოთ წლის განმავლობაში რითი სჯობნის ქართლველი კახელს, ამისთვის გამოვრიცხოთ თხუთმეტი კვირიდგან ათი, გვექნება ხუთი კვირა. ამ ხუთ კვირას ქართლველი მოიხმარებს სხვა რამეზედ. თუ რომ სამუშაოდ წავა, როგორც ზემოთ ვთქვით, მაშინ ხუთ კვირაში ქართლველი, ზემო ანგარიშის ძალით, კიდევ იშოვნის ოც და ერთს მანეთს (კვირაში 4 მ. და ერთ აბაზს, ხუთ კვირაში: 5 ჯერ 4 მ. და 1 აბაზ. შეადგენს 21 მ.) დასაკვირველია, რომ ქართლველმა უფრო უნდა კარგად გაისუფთავოს თავისი ცხოვრება, რაკი ერთსა და იმავე დროს განმავლობაში შეუძლიან უფრო ბევრი შეიძინოს, ვინემ კახელმა.

ამ გვარი გამოანგარიშებით შეგვიძლიან შევიტყოთ ჩვენ ის, თუ რამოდენად წინ წავა ქართლველი სოფლის ბ—ის ერთი თავობა, კახელის სოფლის ა—ნის ერთ თაობაზედ. ამ ორი სოფლელების სა-

შუალ რიცხვად მივიღოთ 40 წლიწადი, ამ 40 წელში 20 წ. ჩავაგდოთ მუშაობის დროდ, ესე იგი 20 წ. შეუძლიანთ მუშაობა; ამ [illegible]რობით ბ—ნის ერთს თაობას ექნება საზოგადო მოგება თითო სულზედ 1042 თუმანი; ა—ნისას—1000 თუმანი. ორივე სოფლის მცხოვრებთ რიცხვი ერთი და იგივე, ესე იგი, ვსთქვათ ა—სოფელში და ბ—სოფელში ას-ასი სულია მშრომელი; მაშასადამე ერთ თაობას ექნება 104,200; ა—100,000. რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა, რომ პირველი ძალიან წინ წაიწევს მეორეზედ; პირველს ექნება უმეტესი საშუალება პატარების აღზრდისა და სხვა ცხოვრებისათვის საჭირო ნივთების მოპოვებისა, ვინემ გასულს. თავის თავად ფულებს არ შეუძლიან დააკმაყოფილოს კაცის სხვა-და-სხვა ნაირი მოთხოვნილება; ფულების ჩაცმა, დახურვა და ჭამა არ შეიძლება; მაგრამ ფულებით შეგვიძლიან უფრო ადვილად მოვიპოვოთ ყოველი საჭირო ნივთი. მხოლოდ ამ მხრით არის ძვირფასი და საჭირო ფული. თუ ეს ასე არის (ამაზედ ეჭვის შეტანა კი არ შეიძლება), გასულები უნდა ეცადნენ, რომ კარგი გზა ჰქონდესთ. რამდენადაც უფრო გვიან მოიფიქრებენ ამას, რამდენადაც უფრო გვიან შეუდგებიან კარგი გზის გაკეთებას, იმდენად უფრო უკან ჩამორჩებიან. ეხლავე რომ მიჰყონ ხელი გასულებმა გზების გაკეთებას, ქართლელები ბევრით ველარ გაუსწრობენ წინ. გარდა ამისა, თუ რომ ზემოდ ნათქვამს კარგად დავაკვირდებით, ჩვენ შეგვეძლება გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნა, ან კანონი: რამდენადაც გზები უფრო კარგი არის, იმდენად მცხოვრებლების კეთილდღეობა უფრო ადვილი შესაძლებელია; და რამდენადაც ცუდი, იმდენად ძნელია;—რამდენიც გზები კარგია და მისვლა-მოსვლა ადვილია, იმდენი ხალხი კეთილ-დღეობაშია; და რამდენიც მისვლა-მოსვლა ძნელია, გზების სიცუდის გამო, იმდენი უფრო დაბლა სდგას ხალხი კეთილდღეობის შესახებ. მკითხველს ვსთხოვ არ დაივიწყოს ის პირობები, რომელიც მოვიხსენიეთ ზემოთ; უამისოდ აქ ნათქვამი უსაფუძვლო და ცრუ გამოვა.

რაც შეეხება ბოგირების მნიშვნელობას ხალხის ნივთიერებითი წინ წასვლისათვის, ამაზედ განსაკუთრებითი ლაპარაკი აქ საჭირო არ არის. ამაზედ ლაპარაკი იქნება იმის გამეორება, რაზედაც აქამომდე ვილაპარაკეთ. ვიტყვი გაკვრით: წარმოიდგინე, მკითხველო, რომ ის ბოგირები, რომლებიც არიან ზოგან გამწკრივებულები თბილისსა და ქუთაისს შორის, შოსსე გზაზედ, ჩაინგრნენ. ფრთები არ ასხია თქვენ ხარ-კამბეჩებს, რომ გადაფრინდნენ; კარგი კიდევ, თუ ღრმა წყლები არ არის, კარგი ფონი არის და არც მოდიდებულია. ამ შემთხვევაში შეიძლება კიდევ გასვლა ვაი-ვაგლახით, თუმცა საქონელიც დაგისველდებათ და გაგიფუჭდებათ. ზოგ ადგილას ისეთი ხევები და ცივი წყლები არის, რომ გასვლა ძნელი არის. ბევრი ხარ-კამბეჩი და საქონელ დადებული ურემი გაუფურჩენია ალაზანს, განსაკუთრებით ყვირილას, იორს და არაგვს, ბევრ სულიერსაც ჩაუბარებია თავისი სიცოცხლე ამ წყლების ზვირთებისთვის; გარდა ამისა ისიც ღირს ვიქონიოთ ყურადღებაში, რომ დრო ბლომად იკარგება ცუდს ხევებში ურმის გატანის დროს და ურემიც იმტვრევა. ჭკვიანი კაცები ტყუილად კი არ ამბობენ, რომ: «დრო არის უძვირფასესი კაცის საუნჯეო». ხან-და-ხან ისეთი დრო შეემთხვევა კაცს, რომ ამ დროს დაკარგვას მეტად დიდ ზარალში შეჰყავს. წარმოიდგინე, მკითხველო, რომ ხარ საქმის კაცი; მიეშურები ერთ დანიშნულ ადგილს, სადაც უნდა იყო უთუოდ დანიშნულ დროზე. შენ არ გეგონა თუ გზაზედ დაყენება მოგიხდებოდა; მაგრამ უცებ წყალს მოუტაცნია ხიდი. თქვენ უნდა დარჩეთ, საქმე წაგიხდათ. ეს ხშირად შეემთხვევა ხოლმე ვაჭარ კაცს. ერთი წამის დაგვიანება ამისთანა კაცს უღუპავს რამდენიმე ასი თუმნის მოგებას. აი რა მიზეზი არის, რომ ყოველ სახელმწიფოში თითქმის უკანასკნელ ღონის-ძიებას იმაზედ ხმარობენ, რომ იყოს ბლომად და კარგი გზები. ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, ამერიკა და სხვა სახელმწიფოები აჭრელებული არის გზებით. ამ სამეფოებში ძნელად იპოვება ისეთი ადგილები, რომ რკინის გზე-

ბით არ იყვნენ შეერთებულნი შესანიშნავი ადგილები, დიდი ქალაქები და შესანიშნავი მაზრები. იქ შეჰსვდებით მშვენიერს ბოგირებს და ხიდებსა ამ სამეფოებში ცდილობენ არა თუ კარგ გზებზედ, არამედ ურმების სავალზედაც. ამ სამეფოებში, ამ უკანასკნელ დროს, რკინის გზები მოჰმართვენ ყოველ იმ ადგილს, რომელსაც რამდენადმე მაინც აქვს მნიშვნელობა ვაჭრობაში. *) ევროპიის სამეფოებში ადგილობრივი საზოგადოებანი არის, რომლებიც გზებს და ბოგირებს აკეთებენ. ჩვენ რომ ზემო ნათქვამს დაუმატოთ ის, რომ კარგი გზები ჰშველის ხალხის ცოდნების წინწასვლასაც, მაშინ გზებს უფრო მნიშვნელობა მიეცემა. როცა გზები არ იყო ხეირიანი, მაშინ განათლებაც ვერ ვრცელდებოდა ისეთი სისწრაფით, როგორც ეხლა, როდესაც მთელი ევროპა აჭრელებული არის რკინის გზებით და ტელეგრაფებით. ინგლისში, ან რამე სხვა ქვეყანაში, რომ მეცნიერმა გამოიკვლიოს ახალი რამე, მაშინვე ეს მთელ ევროპას მოეფინება. წინად კი ეს შეუძლებელი იყო. ერთი ადგილიდგან მეორე ადგილს, ერთი ქვეყნიდგან მეორე ქვეყანაში მის-

---

*) ამ სამი კვირის წინად დაიწყა ერთი რკინი გზის ბოგირი პეტერბურღის და მოსკოვს შუა. ამ შემთხვევამ ძრიელ შეაყენა და შეავიწროა ამ ორ ქალაქ შუა მისვლა-მოსვლა; ვაჭრობა, შედარებით წინანდელზედ, შეჩერდა. როცა ვაგონები სავსე საქონლით მივა ეხლა ამ წყლის პირთან, მაშინ ვაგონიდგან საქონელი გამოაქვსთ და პარომით (ნავით) გადააქვთ მეორე კიდეზედ; მერე იქ სხვა ვაგონებში აწყობენ. რასაკვირველია, რომ ამაზედ ბევრი დრო იკარგება და ვაჭრებს უგვიანდებათ; საქონელიც გადატან-გადმოტანაში, ცოტაც არის, უფუჭდებათ. ვაჭრები მეტად სწუხან. ეხლა ხიდის გასაკეთებლად პოლკები მოიწვიეს და გაცხარებულად მუშაობენ, რომ დროზედ აგონ ხიდი და ამ სახით წინანდელივით მსწრაფლი მისვლა-მოსვლა დაიჭირონ ამ ორ დიდ ქალაქებს შორის.

ვლა-მოსვლა ადვილი არის მხოლოდ კარგი გზების გამო. ამ [illegible] სხვა-და-სხვა კაცი, სხვა-და-სხვა ჭკვისა და გონებისა შეჰხვდებისა [illegible] და გადა-ცემენ თავიანთ ცოდნასა და ხელოვნებას ერთ-მანერთს. არ შეიძლება, რომ ყველა კაცი ერთნაირად იყოს განათლებული; ერთი ერთნაირად უყურებს რომელიმე საგანს, მეორე—მეორე ნაირად და სხვ. როცა ესენი ერთმანერთს შეჰხვდებიან, მაშინ თვითეული თავის აზრს გამო-ჰსთქვამს; შეადარებენ ერთმანერთს და რაც უფრო ჭეშმარიტად და სა-სარგებლოდ ეჩვენებათ, იმას მიიღებენ. ამ გვარი აზრების ურთიერთ შორის გაცვლა-გამოცვლა, აზრების აღებ-მიცემა, შეიძლება ორ გვარად: ერთი—წერილით, მეორე—სიტყვიერად. პირველიც და მეორეც შეუ-ძლებელია, თუ გზები არ არის. ფიზიოლოგიური (ხორციელი) კაცის მოთხოვნილება არის სხვა-და-სხვა გვარი, ისე ფსიხოლოგიური (სულიე-რი) მოთხოვნილებაც არის მრავალ გვარი. აქედგან—როგორც ფიზი-კური შრომა, ისე გონებითი უნდა განაწილდეს სხვა-და-სხვა პირთ შო-რის. ამ უკანასკნელიდგან წარმოსდგებიან სხვა-და-სხვა გვარი მეცნიერე-ბი და სხვა-და-სხვა მეცნიერება. არიან მეცნიერები, რომელთაც დაუდვიად ცხოვრების მიზნად მატემატიკური ცოდნის მოპოვება; არიან, რომელ-ნიც გამოიკვლევენ ფიზიოლოგიურ (კაცის, თუ პირუტყვის ხორციელი ცხოვრების) კანონებს;—ფსიხოლოგები შეისწავლიან კაცის სულის მოძრაობას და გამოჰყავთ იქედგან კანონები სულიერი ცხოვრებისა; სო-ციოლოგები, რომელნიც შეისწავლიან სოციალურ, საზოგადოების, ცხო-ვრების კანონებს. თვითეული ზემოდ მოხსენებული სწავლა ერთი ერთ-მანერთზედ არის დამყარებული. ყოველ გვარ სწავლას ის ფასი აქვს, რომ მისი შემწეობით ჩვენს ცხოვრებას წარმატება ეძლევა. მაგრამ ერთ კაცს ერთბამად ყველას შესწავლა არ შეუძლიან. აქაც შრომის განაწი-ლებაა საჭირო. შრომის განაწილება და ამის გამო სარგებლობა შეიძლე-ბა მაშინ, როცა მისვლა-მოსვლა ადვილია სხვა-და-სხვა გვარ მშრომელებს შორის. წიგნებს, ჟურნალებს და გაზეთებს მაშინ შეუძლიანთ აღასრუ-

ლონ თავის დანიშნულებას, როცა ყველას შეუძლიან იმათი წაკითხვა, ამისთვის საჭიროა კითხვა-წერის ცოდნა, კითხვის სიყვარული და [illegible] საკითხის ქონება. წიგნებში და ჟურნალებში სწერენ, რომ ამა და ამ მეცნიერმა ესა და ეს კანონი გამოიკვლია, რომელიც ჰმართავს ამა და ამ კაცის მოქმედებასა. თუ რომ, მკითხველო, ამისთანა ცხოველი აზრი შენთან ვერ მოაღწევს, შენთვის უსარგებლო იქნება. შენ ამ აზრით ცხოვრებაში ვერ ისარგებლებ. თუ გინდა ისარგებლო, ან უნდა წაიკითხო, ან უნდა სხვისაგან გაიგონო. ეს არც ერთი და არც მეორე არ შეიძლება, თუ მისვლა-მოსვლა არ არის ერთმანერთში. რა სარგებლობას მოუტანდა «სახოფლო გაზეთი» ჩვენ ხალხს, რომ იმის გაგზავნა სოფლებში შეუძლებელი ყოფილიყო? იქ სწერენ ამა და ამ ავათმყოფობას ესა და ეს არგებსო. რა გამოვიდოდა ამისგან, რომ გზები არ ყოფილიყო და გაგზავნა არ შეძლებულიყო? მაშინ არც გაზეთი იქნებოდა, ვერც ხალხი ისარგებლებდა. რაღა გავაჭიანუროთ: აქაც ის ითქმება, რაცა ვსთქვი ნივთიერებითი ხალხის მდგომარეობის შესახებ, როცა არის კარგი გზები.

(შემდეგი იქნება).

## ხ ი ა.

მახსოვხარ შენა, საწყალო ხიავ,
როს იყავ ბავშვი მამიშენის სახლს,
მახსოვხარ — დიახ კარგი რამ იყავ
და ქვეყანასაც ემადდი ბევრს კარგს.

სახლი შემკული, გამოწყობილი
ჰქონდათ შენს მშობლებს ყოვლის კეთილით,
თვალ-მარგალიტით, ოქროთ და ვერცხლით;
თვითონ შემკული სულის სიმდიდრით.

ქონება, სარჩო აუარები,
ქვეყნის სამყოფი წლის მოსავალი,
მამული დიდი, თვალ-მიუწდომი,
შიგ დიდი ციხე და გალავანი.

რაცა კი კაცსა ამა სოფელში
დაამშვენებს და მისცემს შვებასა,—
ყოველი ნიჭი შენთ მშობელთათვის
გამოემეტნა უხვს ბუნებასა.

მათ მოწყალება და სიბრალული,
ვით უშრობი ზღვა, გლახათ სწვდებოდა;
ყოვლი სნეული, ბრმა და საწყალი
მუნ შეწყნარებას მოიპოვებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრისტიანული კაცთ-მოყვარება
და მიტევება შეცოდებისა,
მრავალჯერ მტერსაც მოიყვანებდა
მოწყალებისთვის იმათ კარებსა.

და შენ, დედის-ერთასა შვილსა,
გზრდიდნენ სიფთხილით, კეთილ-ზნეობით,
რომ სასარგებლოდ კაცს ცხოვრებისა
დაგედვა დღენი შენნი სრულებით.

და შენშიც იმავ სიყრმითვე სჩანდა
ფხიზელი ჭკუა, მალხაზი ცნობა,
გულ-კეთილობა, აზრის სიმაღლე
შენ საბოლოვოს დიდს გიქადებდა.

მაგრამ რით ასდა?! — შენნი მშობელნი
შეიქმნენ მსხვერპლნი მტერთა დასტათა:
ხარჩო, ქონება შენი ყოველი
გაჰქრა წუთს მსისხართ და მგლეჯავთ ხელთა.

და დარჩი ობლად, გაუკითხავი,
ულუკმა პუროდ, მშიერ-მწყურვალი
და უპატრონო, ჯერ ნორჩი ბავშვი,
ხელში დაგიპერეს გამოუცდელი.

იმა დღიდამ, უბედურის დღისს,
მოგცეს სამყოფად სახლი გარყვნილი,
და ჯერ გონება-დაუმჯდარს ყრმასა
ბაგეს გარყვნის გემო ტკბილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცთა, რომელთა შენნი მშობელნი
შესცქეროდნენ, ვითა თვისსა კეთილსა,
ხსენებზედ მათ უფრო გამოგიმეტეს
და იმათ მიგცეს გარყვნილებასა.

ბოლოს, როდესაც მოესწრა თავსა,
ცნობა შეგექმნა მხედი, გამრჩევი,
დაუწყევ ბრძოლა ბოროტებასა,
შენში რომ ჰქონდათ გამდგარი ფესვი.

მაგრამ ყოველ მხრივ მოშურნეები
მაცდურებითა გიგრავდნენ გზასა;
და ამ ბრძოლაში, ჯან მოწყვეტილი,
ტანჯვითა მწარით მიჰხდი ცნობასა.

ამ გვარად მყოფსა გხედავ მე ახლა,
დაჰდიხარ მწარედ ტიტველ-შიშველი,
ჯან-გადალეწილს ქვეყანა გხედავს
და არავინ გყავს შემბრალებელი.

შენსა ცნობასა, გრძნობითა ტანჯულს
დასცინის ყველა გაუკითხავად,
შენს დანასვაზედ, გახარებული,
აგედევნება ხალხი ჯგუფ-ჯგუფად.

ზოგი გეძახის მასხარა სახელს,—
ცდილობენ შენსა გაჯავრებასა,—
ზოგნი გიყოფენ შორიდამ ენებს
და ზოგი გესვრის თავ-პირში ქვასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპამფულოთა და სამასხაროდ
შექმნილხარ ახლა შენ ქვეყნისთვისა,
და აღარ ახსოვს დაბრმავებულს ხალხს,
რომ შენ ხარ შვილი უბედობისა.

მაგრამ შენი გული მაღალი
ისევე ჰღელავს დიდ სულოვნებით
და ისევ იმავ სიყრმის კეთილი
ღრმად ზის შენს გულში მკვიდრად დანერგვით—

და როს დაცინვით უკან მოგდევენ—
შენ ყრუ ღიმილით უპასუხებ მათ,
და როს სარსარით ქვას მოგარტყამენ—
მხოლოდ დაღრეჯით ამბობ შენთ ტანჯვათ.

მაინც უშვერს და უგრძნობსა ხალხში
შენი ტანჯვა არ აღვიძებს დარდს,
მხოლოდ თვით ამბობ შენთ ტანჯვათ ცრემლში
და მგრძნობს კაცს გულში უშლი გესლს და შხამს.

ზურაბ მოენიძე.

1862 წ. მარიამობისთვეს.

## მიმოხილვა. *)

(სიტყვა წარსულ დროზედ. — იმედი ჩვენს გაუმჯობესობაზედ. — ზოგი შესანიშნავი პროექტი, რომელნიც ამ ახლო მომავალში უნდა აღსრულდნენ. — ჩვენი დროების ფილანტროპები (კაცთმოყვარენი). — ახალი უნივერსიტეტები. — გამოჩენანი და გაუმჯობესობანი — მეცნიერებაში, ხელოვნებაში, და სხვ სხვა-და სხვა შესანიშნავი ამბები ჩვენი და უცხო ცხოვრებიდგან).

1.

საყვარელო მკითხველო, ვისურვებ შენთვის წრფელ აზრზედ და საღს მსჯელობაზედ დაფუძნებულს კეთილ ცხოვრებას; ღმერთმა ჰქნას და შენმა მეცადინეობამ და შრომამ მიგაღწევინოს ამ ბედნიერებამდის. მე ამ სიტყვით: «კეთილი ცხოვრება» — ვიგულისხმებ გაუმჯობესობას, გაუკეთესობას, დამჯდარ, ბრძნულ ცხოვრებას, რომელიც კაცს ჰსდის ღვთის სახიერად და კაცობრიობისათვის საჭირო წევრად. — ამას მოითხოვს ნამდვილი და წრფელი კაცობრიული აზრი და შენთვისაც ამას ვისურვებ, მკითხველო..... ახლა გადავავლოთ თვალი წარსულ საუკუნეებს, როდესაც კაცი კაცს უყურებდა ველურის თვალით, მკაცრად, როდესაც შებრალებას და გულ-მტკივნეულობას საწ-

---

*) ეს სტატია რედაქციამ მიიღო ამ წლის იანვარში. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟალ ღარიბ შეპყრობილ ხალხისადმი ადგილი არა ჰქონდა. ავიწყდებათ, ეს უკანასკნელი ხალხი იყო იმ მხეცების მსახვრალდებული. უამითოდ იმათი სიცოცხლე შეუძლებელი იყო, მაგრამ მადლობას ვინ ეუბნებოდა. ამას ვინ სჩივის? იმ შეპყრობილ ხალხს ხალხად არ სთვლიდნენ და დიდ ცოდოდ მიაჩნდათ იმათი კაცად აღიარება და კანონებით აძლევდნენ ნებას უსათუოდ დასჯილიყო, ვინც კი იმ ხალხს თავისუფლებას მისცემდა და კაცად დაჰსახავდა. ჩვენ ამას ვაბრალებთ გაუნათლებლობას, სიბრიყვეს, ძალას და არა სიჭკვიანეს; მაგრამ ეს რაღა არის, რომ იმ დროს განათლებით დაწინაურებულნი ბრძნები ამ ნაირ მსჯელობას და მიმართულებას გვიმტკიცებენ! პლატონი, არისტოტელი, ციცერონი და სხვა უწარჩინებულესნი ბრძენნი ჰქადაგებდნენ, რომ ის ზემოხსენებული ხალხი (ყმები, ვაჭრები და ამ გვარი ხალხი) მალდატანჯებული და დევნილნი უნდა იყვნენო. აი, რა უგუნური დრო იყო, როდესაც თვით განათლებულნიც ამ უსჯულოებას ასწავლიდნენ, როდესაც ის წყეული თვისება, კაცის დამონავებისა, ისე ჰქონდათ შეთვისებული სისხლში და ხორცში, ასე ჰგონია დედის მუცლიდგან გამოჰყვათო! ის ჭკვით აღმატებულნი და თვისებით დამდაბლებულნი გარდა იმისა, რომ ასწავლებდნენ და სტანჯავდნენ იმ მშრომელ ხალხს,—გარდა იმისა ჰქადაგებდნენ კიდეც, რომ ის ხალხი ისე დაცემულ მდგომარეობაში უნდა იყვნეო, რადგან თვით ბუნებას ამ ნაირი დანიშნულება მიუცია მათთვის. ეს იყო იმ დროების ჭეშმარიტება, და ეს ჭეშმარიტება მით უფრო შეურყეველი იყო, რომ ამას . . . . . . ასწავლიდა მაშინდელი დროის თვით მეცნიერი ხალხი! როდესაც წარმოვიდგენ იმ ხალხის მდგომარეობას, მათ ტანჯვას და გამოვლილ ვაი-ვაგლახს, მთელი სხეული თრთოლას დამიწყებს და შიშით შევიმოსები ხოლმე. იმ დროს პირუტყვს, თევზს, ფრინველს უფრო დიდი პატივი ჰქონდა, ვიდრე იმ საწყალ ხალხს. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . მართალია, იმ დროებში ბევრი კარგი და სასარგებლო [illegible]და, მაგრამ რაცა ვსთქვი, ის უფრო გარდამეტებული იყო, რადგანაც ამ ნაირი მიმართულება ჰსუფევდა და არა მოკლე ხანს, არამედ ხანგრძლივ და მუდმისად. გაუნათლებელ, ველურ ხალხს ვერა სახით ვერ შევადარებთ პირუტყვებთან, ტყის ნადირთან, შესახებ მავნებლობისა, მისთვის რომ დაუნდობლობა და შესაზარი მოქმედება მხეცი ხალხისა დიდად და უარესად გადააჭარბებს პირუტყვ ნადირსაც. ამის გამო ამბობენ, რომ «გაუნათლებელი კაცი უფრო მხეცია, ვიდრე პირუტყვი-მხეცი». ის შესაზარი დრო წავიდა დაუბრუნებლივ, განათლებამ მოსპო ის წარამარა, უთავბოლო, უსჯულო ცხოვრება და დაამყარა სიყვარული და კაცობრიობა. განათლება არის მშობელი სიმართლისა და ამის გამო ვისაც ჰსურს ჭეშმარიტების მიღება და აღვიარება, ის უნდა ცდილობდეს განათლების მიღებას და გავრცელებას. განათლებამ დაიცვა კაცობრიობა გაწყვეტისაგან და შემუსვრისაგან; ამან დაამყარა კაცთ-მოყვარეობა და კეთილ-ცხოვრება. ეხლა განათლება არა მარტო კაცზედ მოქმედობს, არამედ მთელ ბუნებაზედ და მასში მცხოვრებზედ, სუყველას აუკეთესებს, აუმჯობესებს, სუყველას ჰსდის სასარგებლოდ და არა-მავნებლად. კაცს იხსნის ბუნების მონაობიდგან და ბუნებას ჰსდის კაცის მორჩილ მსახურად: განათლების ძალით უსჯულოებას ბოლო ელება და ცხადად წარმოგვიდგება ის ჭეშმარიტება, რომ კაცი არის წევრი მთელი კაცობრიობისა; ამისა გამო დამცირება მისი არის უსჯულოება, უსამართლოება, რომელიც არა სახით არ უნდა იყოს მიღებული. ასე, ჩვენო საყვარელო მკითხველო, ის ცუდი დრო წავიდა დაუბრუნებლივ, ჩვენი ჭირი და ვაი-ვაგლახი წაიღო თან და ნეტავი მისი ხსენებაც გაჰქრეს. ვაი იმას, ვინც მოინდომებს იმის დაბრუნებას: გარდა იმისა, რომ იმით ის თავის პირუტყვობას და მხეცობას დაამტკიცებს და ვერაფერსაც ვერ გააწყობს და საპნის ბუშტად აღმოჩნდება იმისი სურვილი, რომელსაც

პატარა ნიავიც გააქრობს;——ამას გარდა ის პირი იქნება ფრიად საცო-დავი, როგორც ავადმყოფი, რომელსაც უნდა უსათუოდ ბნელში იყოს. ამას გარდა, დასჯის მაგივრად, თუ განათლებულ კაცს ჩაუვარდა ის, უთუოდ სამკურნალოში (ლაზარეთში) გააგზავნის, რომ გონებაზედ მო-იყვანონ. აი, ჩემო მკითხველო, სადამდის მიაღწევს განათლება და კაცთ-მოყვარეობა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

კიდევ გავიმეორებ, ეს ერთი უმთავრესი შეცდომა და თითქმის ბორო-ტება, რომელსაც ცუდი თვალით უყურებდა განათლება, გასწორდა; ხო-ლო მეორე უმთავრესი შეცდომა, რომელიც არის შედეგი ანუ წყალო-ბა იმ ჩაირი ცხოვრებისა და მიმართულებისა, ჯერ კიდევ ჰსუფევს, რომლის გასწორება უსათუოდ საჭიროა.—ეს არის ბატონურ ჩვეულე-ბაზედ დამოკიდებული თვისება, რომელიც შვილის-შვილზედ გადადიოდა და ახლაც გადადის. გაუნძრეველობა, თაკილობა, ვითომც შრომა სა-თაკილოა, საძრახისია, იმ საბუთით, რომ მამა-პაპას არ უმუშავნია და არ უშრომია. ნუ თუ მართლა ამ სულელურ ჩვეულების მოსასპობლად დამტკიცების მოყვანა უნდა? შენ გსურს კეთილი-ცხოვრება—ვინ გიშლის? შენ გიშლის უქონლობა, და ამის წამალი განათლებაა, შრომაა და არა გუ-ლზედ ხელის დაკრება; ვის უნახავს, რომ ციდამ ფულები ჩამოცვივნუ-ლიყვნენ, ან კიდევ სიზმრით კაცი გამდიდრებულიყვეს?—არა ვის; ის კი გვინახავს ჩვენ, რომ კაცი განათლებით, შრომით გამდიდრებულა და ამ სახით დაუმყარებია თავისი კეთილი-ცხოვრება. კაცს, რომ დიდი ქონებაც ჰქონდეს ან მამა-პაპეულიდგან, ან ცოლიდგან, მაშინაც შეიძლე-ბა, და უფრო ნამდვილიც არის, რომ გაკოტრდეს და გაღარიბდეს. ნუ თუ მართლა მკითხველს ამაში მაგალითების მოყვანა უნდა, როდე-საც ჩვენ მოწმები ვართ, რომ აქ, ჩვენში, ზოგიერთი თავისთი უზრუ-ნველობით და წარამარა უთავბოლო ცხოვრებით, არა თუ ცოლის მზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისაგან, უშრომლად შეძენილ ფულებიდგან დაცლილან, არამედ მამა[illegible] პაპის მამულებიც ზედ წაუჭამლეტიათ. ეს მაგალითები შენ [illegible] მომხდარა და ამათი ჩამოთვლა გამეორება იქნება. ეს ჭეშმარიტება არის, რომ უსწავლელად და უშრომლად კაცი ნაბოძებსაც დაჰკარგავს, მისთვის რომ გაუწვრთნელად და უშრომლად შეძენილი საუნჯეს ვერ მოუვლის და გადადის იმის ხელში, ვინც მეცადინე და მშრომელია. მართლადაც, შენ როგორ დაგიმტკიცებ იმას, რომლის ცოდნა და გაგება უწინდელთაც გაქვს და იცი, რომ სიმდიდრე არის შრომის შედეგი. შენ გინდა სიმდიდრე და შრომის გაცნობა კი არა, და აგი იმისთვისაც გადადის სიმდიდრე იმის ხელში, ვინც შრომით ქმნის ამას. შრომა არის სიმდიდრის დედა, მაშასადამე ლაზღანდარა და ზარმაცი კაცი არის მამა სიღარიბისა და სილატაკისა. ჩვენში, ვერ ვიტყვი, რომ არა შრომობდნენ, მაგრამ მაინც ვერ დავმალავ იმას, რაც წინ გამოვსთქვი — რომ სიმდიდრე არის შრომის შედეგი მეთქი. მაშასადამე, თუ შრომის მოყვარეა ჩვენი სალხი, მაშ სიმდიდრე, როგორც შრომის შედეგი, უნდა ჰქონდეს მას. სად არის ის სიმდიდრე, რომელიც უსათუოდ უნდა იყოს. — არ არის სიმდიდრე და რაც არის, ისიც მოგირავნეების ხელშია, პროცენტშია. აი, მკითხველო, სად მოგვიყვანა ჩვენ ლაპარაკმა. სწორედ რომ სიმდიდრე არის ღვაწლი, ჯილდო, ანუ, როგორც ვსთქვი, შედეგი შრომისა, მეცადინეობისა და განათლებისა; სიღარიბე, სიგლახაკე, სილარიბე არის შედეგი უზრუნველობისა, ზარმაცობისა, ფუფუნებისა და ლაზღანდარობისა. ჩვენი სალხი, მართალია, მშრომელია, მაგრამ იმის უბედურება ის არის, რომ ვალები უყვარს და მომეტებული ნაწილი სულ მოვალეების ხელშია და იმ სკივრის ხელში, საიდგანაც ბევრი ფული გამოაქვსთ სოლმე და მის ნაცვლად ვალდარა შეაქვსთრა, რისგამო მალ-მალ ვხედავთ, რომ ზოგიერთის მამული იყიდება საყოველთაო ვაჭრობით, ერთი ჩაქუჩის დაკვრით. სიმდიდრის წყარო, მე მოვიხსენე შრომა; ახლა არ იქნება ურიგო განუმარტო მკითხველს, თუ რანაირი

შრომიდგან წარმოსდგება სიმდიდრე. ეს კითხვა რიგიანად განვიხილოთ და უფროდ მივსდით იმ ჭეშმარიტებასთან, რომ სიმდიდრე წარმოსდგება სწორედ შრომიდგან. შენ გიყვარს შრომა, ეს მართალია, მაგრამ რა ნაირად ჰშრომობ? ნამდვილად არის მართლი შენი შრომა იმაზედ, რომ ნაყოფი მოიტანოს, თუ არა? შენ ჰშრომობ იმ იმედით, რომ ნაყოფი მოიტანოს, მაგრამ შრომა ცარიელი იმედით, სურვილით და სიტყვებით «ღმერთო და ბედო» ყოველთვის არ მოიტანს ნაყოფს, მისთვის რომ ჩვენ შრომაში მარტო ერთი სურვილის ძალა მოქმედებს (მექანიკური შრომა) და ცოდნა არც გვყავს, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ, რა დროს და სად — ეს კი არ ვიცით, ამის გამო ერთი მოუხერხებელი მუშაობა იმგვარად გვაძლევს ნაყოფს. ეს იმგვარი და მცირე ნაყოფი საზრდოთაც არ გვეყოფის, თორემ სიმდიდრეს ვინ სჩივის (ვალების გადახდას აღარ ვიტყვი). ამ ნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ მუშაობაში ერთი მოსვრა-მოხვრა და ძალა საკმარისი არ არის; ამას მოჭირვეობა და ცოდნაც უნდა, რომ ჭირნახულმა და შრომამ ფუჭად არ ჩაიაროს. რანაირი მუშაობაც უნდა იყოს, სუყველგან და ყოველთვის ხელის და ჭკვის ძალა (ცოდნა) შეკავშირებული უნდა იყვნენ, მისთვის, რომ ერთი უმეოროდ ალალ-ბედობას ჰბადებს, ან ჰოს და ან არას, და არა ნამდვილ იმედს და რწმუნებას. ჩვენ შრომაში პირველი ადგილი უჭირავს შემთხვევას და არა ნამდვილ ცოდნას. დავთესეთ, მოხდა ისე, რომ ფრინველებმა არ დაიტაცეს მარცვლები (თესლები), მოხდა ისე, რომ ეს მარცვლები მაღლარ მხურვალ მიწაში დაითესა; მოხდა ისე, რომ სამკალად კარგი დღეები დადგა. ამ «მოხდამ» და შემთხვევამ მოგვიყვანა მართლაც კარგი მოსავალი. ეს შემთხვევები ჰბადებენ კარგ მოსავალს! მაგრამ როდესაც ეს შემთხვევები არ არის, მაშინ გულზედ ხელები უნდა დავიკრიბოთ და ვსთქვათ: «ჩვენმა ცოდვებმა დაჰბადეს მოუსავლობა». ეს არის ჩვენი მამა-პაპური ჩვეული და ცოდნა! მცოდნე და კარგი მეურნე კაცი შემთხვევებს და ბედს არ უყურებს, ის პირველად თვით მიწას ანოყიერებს, აკეთებს,

რომ შემდგომ ნაყოფის მომცემი იყოს; ის არჩევს დღეს, [illegible]
საჭიროა დათესვა და ის ჯურის თესლებს *) ისე, რომ [illegible], ხუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

*) აქ საჭიროა ისიც დავუმატოთ, რომ მეცნიერი მეურნე ჩვენებური მთესავებისავით არ იქცევა თესლის არჩევის დროს: ის თესლად ყველა მარცვალს არა ხმარობს, არამედ არჩევს მათში იმას, რომელიც უფრო შემოსულია, ესე იგი, ფუჭი სულ ცოტა ურევია. ამას იტყობს შემდეგი საშუალებით: აიღებს რამდენიმე სათესლე მარცვალს და რაშიმე (ყუთში, თუ სხვა რაშიმე, ან გარეთ) მომზადებულ მიწაში სთესავს ოც-ოც მარცვალს. როცა ამოვა, მაშინ დასთვლის ყველას და რომელსაც ხუთზედ მეტი დააკლდება ამოსვლაში (გაფუჭდება), იმას არა ხმარობს თესლად, ხოლო რომელსაც ნაკლები დააკლდება, ერთი, ორი ან სამი, იმას ხმარობს. ეს იმ მოსაზრების ძალით, რომ იმ თესლში, რომელშიაც ოცში ხუთი ფუჭდება — აკლდება მეოთხედი, ოც კოდზედ ხუთი კოდი, ას კოდზედ ოც და ხუთი კოდი, — ეს დიდი ზარალია. ხოლო რომელსაც აკლდება ორი ან ერთი, იმას ცოტა ზარალი აქვს, ოც კოდზედ — ორი ან ერთი კოდი, ასზედ — ათი ან ხუთი კოდი, — ეს უფრო ნაკლები ზარალია. რასაკვირველია, ისეთი თესლი უნდა ამოარჩიოს მეურნემ, რომელშიაც არც ერთი არა ფუჭდება, ან თუ ფუჭდება — ძალიან ცოტა, მეოცედი ან, სულ ბევრი, მეათედი. ჩვენში ამ მოსაზრებას სულ არ დასდევენ. მე მინახავს ნაგმაზი უხმარიათ თესლად... მითომ დიდი ყაირათიანი მოსაზრებით, რომ ხორბალს პურად ვიხმარებთ და ნაგმაზსაც თესლად გამოვიყენებთო; მაგრამ იმედს ფუჭად ჩაუვლია და შრომაც ამაოდ გაუფუჭებიათ. ამის მომქმედი, რასაკვირველია, დაუბრალებია ნაგმაზის ფუჭი-თესლობა თავის ცოდვებისათვის და ღვთის წყრომისთვის, თუმცა თავი მიზეზი ყოფილა მისი უმეცრება, მოუსაზრებლობა, რომ ნაგმაზი ფუჭია და ამისგამო გამოუსადეგი თესლად. რედ.

ვილიც რომ ჰქონდეთ, ვერ ამოჰკვნენ: ცდილობს, რომ იმ დაფუძნებულ მოუმართოს საზოგადო გარემოებანი, რომელიც უსათუოდ საჭიროა გარეგან აღმოცენებისათვის. ის დარწმუნებული არის, რომ ნაყოფი მოვა გარეგან და ბლომად, თუ ზოგი ერთი შემთხვევამ, მაგალითად: დიდმა წვიმებმა, ქარმა, სიცივემ არ წაახდინა. მაგრამ ესეთი შემთხვევები მოხდება იშვიათად, მაშასადამე უფრო სშირად რიგიანი და გაგებიანი მეურნე დარწმუნებულია, რომ მისი შრომა კარგ ნაყოფს მოიტანს. ჩვენ კი არ ვიცით რა მიწა არის, მოგვცემს ნაყოფს თუ არა, ალალ-ბედზედ დავთესავთ და არ დავხედავთ ფერისგლები შეხვდება, თუ არა. მარტო ერთი ბუნების შემწეობას ვუყურებთ. და ეს ბუნების შემწეობა არ გვაძლევს იმდენს ნაყოფს, რომ თავი ვიკვებოთ და მომეტებული სიმდიდრე შევიძინოთ. ამას გარდა ერთი სხეულის ძალით და ბუნების შემწეობით, მიწისა და მუშაობის უცოდინრად ჩვენ არა თუ ვმდიდრდებით, ძლივს ვიკვებებით, და სიცოტის დასამტკიცებლად სხვის ხელში გადადის ჩვენი მამულები. რასაკვირველია, მარტო ამ მიზეზებით არ იყიდება მამულები; ამას ზედ ერთვის სშირად ქალაქის თამაშობა, განუწყობელი ცხოვრება, (ესე იგი: გასავალი ბევრი და შემოსავალი ცოტა), უზრუნველობა და სხვა ამ გვარი მიზეზები მიიყვანენ კაცს სიღარიბემდის და ვალში თავს შეაყოფინებენ. პირველი და უმთავრესი ზარალი, როგორც ვსთქვით, საფუძვლიანი მუშაობის უცოდინარობაა, ბუნების შეუსწავლელობაა, უშრომლობაც ყველა გვარი მოსავალი სწორედ რომ ალალბედზედ არის დამოკიდებული. მეორე ისა, რომ უზომოდ ვხმარობთ მოსავალს, ესე იგი, ყაირათიანი არა ვცხოვრობთ; მოგვივა, თუ არა — არ ვზოგავთ. შენახული ყანწები, აზარფეშები, ბადიები მოიყრიან თავს და დაიწყება: «აბა, ბიჭებო, მასპინძელო, თამადავ, ნუ გძინავს, დაასხი, დალიე, დამილევინე» და სხვა. ახლა შედეგი ამ ნაირი ლხინისა სშირად იქნება სასჯელების გაშამკლება და ერთი ერთმანეთის დაჩხუბა, და ამ რიგად ლხინი სხუ-

ბად გადაიქცევა სოლმე... ვსთქვათ, გავწიეთ მომჭირნეობა, დაქანცულები და გასაცოდად ჩავასხით ღვინო ქვევრებში. აქ კიდევ სხვა ბოროტ-უბედურება მოსდება: დაუდევნელობით ქვევრი კარგად გარეცხილი არ იქნება და ღვინო დაშმორდება, ან კიდევ გადაბრუნდება, დაძმარდება, დაჭანგდება, და ამ რიგათაც დიდი ზარალი მოგვეცემა; ესეც კიდევ ჩვენი უცოდინარობის და დაუდევნელობის ბრალია, იმიტომ რომ ჩვენ არ ვიცით წამალი ანუ საშუალება, რომელსაც მეცნიერი მეურნეები ხმარობენ ამ გვარი შემთხვევების ასარიდებლად. ესლა ვთქვათ, ღმერთმა გვიბრალა არ დაგვემართოს ეს უბედურება; მაშინ ავიღებთ ამ ღვინოს და ნახევარ ფასად მივცემთ ან არა და ავიკიდებთ გუდა-ნაბადს, შევაბამთ ურმებს და ორი კვირით გავსწევთ ქალაქებში ჩვენი ღვინის გასასყიდად. ასლა.... არც იქ მოგვეცემა კარგ ფასს; სულ თუ არა, ნახევარი ფული იქ დაგვეხარჯება, როგორც სარჯისათვის, ისე იმისთვის, რომ ფული გვაქს და ფული დასარჯვა უნდა. ნუ დაგვავიწყდებათ, ორ კვირას მივაგდებთ სახლს, მამულს, დავბრუნდებით — ერთ იმოდენა ზარალსაც სახლში ვნახავთ დაუხედაობით და აი ისევ გასრულებული ვართ, ისე, როგორც ვიყავით მაშინ, როდესაც მოსავალი მცირე იყო. ამის საშუალება, რომ სჯობი იყოს, აღმოაჩინეს ზოგი ერთ თავად-აზნაურებმა კომპანიური (ამხანაგური) ვაჭრობით (პოდვალების გახსნით). ამ ნაირი კომპანიების შედგენა დიახ რომ დიდი ხანია იყო საჭირო. ამ კომპანიებს დიახ დიდი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე თითოობით ვაჭრობას. ამ ნაირადვე სარგებლობას მოიტანენ კომპანიები (ამხანაგობით ვაჭრობა) პურისა და ერთი სიტყვით ყველა სავაჭრო ნივთის ვაჭრობით. ამას ურჩევთ ჩვენ ქართველებს და ურჩევთ მალე მოავლონ ამნაირ ვაჭრობას ხელი. ამნაირი ვაჭრობა სასარგებლოა როგორც მოვაჭრეთ ჯიბისთვის, ისე თვით მამულისათვისაც. ზოგი ერთი მემამულე, დახელოვნებული, ნასწავლი ცარდასცემს თავის გამოცდილებას, გაუმჯობესობას, მამულის შესახებ, თუ რა დროს რა უნდა, როგორ უნდა გაკეთოს, და სხვა, და სხვა......

ეხლა წარმოვიდგინოთ, მკითხველო, რომ ჩვენ დასახლებულნი ვართ, ვიცით საფუძვლიანად მეურნეობა, ვართ ბეჯითი, [illegible] ეკონომიურად (ყაირათით), მაგრამ სხვა-და-სხვა შემთხვევები, გარემოებები (ბუნების მოქმედება), რომელნიც ჩვენგან არ არიან დამოკიდებულნი გვისპობენ ნაშრომს, ღვაწლს და ჩვენი შრომა უნაყოფო რჩება: მოსავალი არ მოგვდის. ნუ თუ მართლა ამ შემთხვევებში გულ-ხელი უნდა დავიკრიბოთ და შევყუროთ აცა როდის გამოგვეცვლება გარემოებაო?— თუ ამ ნაირად მოვიქცევით, დიახ რომ მართალია, მშიერა და უფრო დატაკი გავხდებით, დავეცემით სულით, სრულ დაურდომილობას მივეცემით. სულ იმას უნდა შევყუროთ «აცა როდის გვეღირსება კარგი გარემოებაო»; დავატყუეთ ერთი საქმე უნაყოფო რჩება, უნდა მეორეს მოვკიდოთ ხელი; მეორე არ იქნება, მესამეს. უთუოდ მივაღწევთ რომელიმე კარგ გარემოებამდის. ამას გარდა ჩვენ შევეჩვევით სხვა-და-სხვა მოქმედებას, ამით ავირიდებთ სიღარიბესაც, რომელიც ჩვენში არის მხოლოდ შრომის უნაყოფობა. გაჭირობა ათას გვარია და მაშინ ამოვირჩევთ ერთს, რომელსაც ჩვენ შევიძლებთ. ამაშიაც ამხანაგობით მოქმედება კარგია, თუ არა და ჩავაცივდებით ერთს, და სიმდიდრის მაგიერ მივაღწევთ სიღარიბეს. რასაკვირველია, უმთავრესი შეცდომა გამოდის თავილობისაგან, ვითომც გაჭირობა, და მეტადრე ზოგიერთი, სამარცხვინოა, სათაკილოა, დამამცირებელი არისო. შენ მოუჭკიდე მჭიდროდ ხელი პატიოსან შრომას, და გაძლევ პირობას, რომ ერთი ბრიყვი და უზრდელი კაცი თუ დაგმარცხავს, თორემ შენ მოქმედებაზედ პატიოსანი პირი წაქეზების და მადლობის შეწირვის მეტს არას გეტყვის. ამას გვიმტკიცებს დაწინაურებული ხალხი. ჩრდილოეთის-ამერიკა ყველა ქვეყანაზედ განათლებულია, იქ მეშრომე ხალხს დიდი პატივი და სმა აქვს. იქაური შესანიშნავი კაცები, აგრეთვე თვით პრეზიდენტებიცა (სახელმწიფოს მმართველი, გამგებელი) თითქმის სულ ხელოსნებიდგანი არიან ამაღლებულნი: ზოგი მჭედელ ყოფილა, ზოგი

დურგალი, ზოგი ხარაზი, ზოგი მუშა კაცი, გემების მოსამსახურე, ზოგი მეპურე და ყველა ეს პირები არა თუ საძრახავნი ყოფილან, არამედ თავიანთი ნიჭით, პატიოსნებით და მოქმედებით პრეზიდენტად და სხვა დიდ მოხელეებად გამხდარან. მაშასადამე, პატიოსანი ხელობა, შრომა არა თუ ამდაბლებს კაცს და საძრახისად ჰხდის მას, არამედ კაცობრიობის საჭირო წევრად ჰხდის და სრულებით არ უშლის, რომ უმაღლესი ადგილი დაიჭიროს, მთელი მხარის ან ქვეყნის მმართველი გახდეს. ნამდვილი განათლება არის წყარო ყოველ გვარი სიკეთისა, გაუმჯობესობისა, გამდიდრებისა; განათლება ჰხდის კაცს კაცად. ვგონებ ამდენი ლაპარაკი საკმაო იყოს განათლების სარგებლობაზედ. ამის საჭიროება დიდად იგრძნო ჩვენმა მხარემ და კიდეც ცდილობს მის გავრცელებას. თითქმის ყოველ სოფელში არის შკოლა (ზოგან სახელოსნოცა). რომ თითქმის ყველანი დარწმუნებულნი არიან განათლების სარგებლობაზედ, აი გვიმტკიცებს მათი დიდი სურვილი, რომ დიდის სიხარულით აძლევენ შვილებს შკოლებში *) დიდი ქადაგება და დაქირთამა

---

*) ჩვენ ამაზედ სრულად ვერ დავეთანხმებით ბ. ავტორს. ბევრი სოფელი ვიცით, რომ შკოლა სულ არა აქვსთ, თუმცა იმ სოფელში მრავალი მცხოვრებიც არის. აგრეთვე ბევრი იმისთანა სოფელიც ვიცით, რომ შკოლა აქვსთ, მაგრამ უფრო სახლით და სასრავი კი იქაურ მღვდლებს და მოხელეებს უნდა მოჰკითხოთ. ზოგიერთ სოფელში ყოფილა შკოლა, მოწაფეებიც ყოფილან, მაგრამ დროს განმავლობით, მომატების მაგიერ, შემცირებულან და გამოლეულან და შკოლის კედლები და სტოლებიღა დარჩენილა. ამის მიზეზი უნდა მივაწეროთ სოფლის მოხელეების უთაურობას და . . . მღვდლების გულგრილობას ამ საჭიროებისადმი. სოფლის მოხელეები, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, უფროს ქრთი წერა კითხვის უცოდინარნი არიან და ამასთან მორს დანასვას და ხაფიის გამჭვრეტელობას დიან მოკლებულნი. იმათ, როგორც მანსავს და გა-

არ ძალ დასტანება, როგორც პირველ დროს იყო, რადგანაც [illegible] ჰხსნიდნენ ამ შკოლებს, ეხლა საჭირო არ არის და ეს [illegible] იმედს გვაძლევს, რომ მალე განათლდება ჩვენი მხარე. ერთობა ყველა საქმეში საჭიროა, მაგრამ განათლებაში უფრო ყველა კაცის მეცადინეობა არის დიდ საჭირო, რომ მალე შევიძინოთ განათლების მქონენი

---

მოძიცდია, შექცევაების და თავიანთ დიდების, თუ მაღალი სარისხის მეცვლისთვის მოხმარებას არა ურჩევნიათრა. მაშასადამე, შკოლის საქმე როგორი უნდა მოვკითხოთ იმათ, რა იმათი საქმეა. მაგრამ მღვდლებს ამ საქმეში სრულ სხვა ადგილი უჭირავთ. სოფლის შკოლები სწორედ, რომ ღვდლებთან უნდა იყვნენ შეკავშირებულნი, ამიტომ რომ მომეტებულ სოფელში ღვდელი არის პირველი მეცნიერი და განათლებული, მაშასადამე შკოლის საქმეც მღვდლებზედ უკეთესად ვინა უნდა მოაგვაროს, ვინა უნდა ზრუნავდეს, და ღვდლებზედ უკეთესად ვის ესმის სწავლის საჭიროება. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ ყოველს სოფელში, არ არის ამ გვარი გაგებიანი ღვდელი. უფრო მეტგან ღვდლებს ქათმის ხორცის მეტი არა აგონდებათრა. მაშასადამე, ამ ჟამად ჩვენ ძალიან ცოტა გვეგულება (შედარებით) სასოფლო შკოლები და სადაც არის, იქაც ძალიან უფერულები არიან. მომავლისთვის კი მრავალი შკოლის იმედი გვაქვს, რადგან ახლად კურს დასრულებული ღვდლები, დარწმუნებულნი ვართ, კარგა ჰგრძნობენ და ესმისთ ცოდნისა და განათლების საჭიროება და სარგებლობა და თავიანთ სამწყსოს უშკოლოდ არ დააგდებენ, რადგან ერის მწყსვა დიდი მოვალეობაა და მოითხოვს რიგიანს აღსრულებას. ჩვენ იმედი გვაქვს ახალი ღვდლებისა, მით უფრო, რომ გვესმის, ვითომც თითქმის ყველას მათგანს გაუმართავს შკოლა, ან ცდილობს გამართვას, და ყველა ღონის-ძიებას ხმარობს ამ წადილის აღსრულებისთვის. ღმერთმა წარუმართოს მათ ხელი: ეს საქმე დიდ სარგებლობას მოუტანს საქართველოს. რედ.

და ამ სულიერის ქონებით შევიძინოთ ნივთიერი ქონებაც, რომელიც სხვებრივ არ გვქონდეს. ყოველ წამს ვეცადნეთ, ნუ დავზოგავთ საქმისთვის საჭირო ღონის-ძიებას. ამ საქმეში დახარჯული არ იქნება დაკარგული, მაგრამ შეძინება კი დიდი იქნება.

ახლა გადავიდეთ სტატისტიკურ ცნობებთან და, რამდენიც შეს-ძლებელია ამ ჟამად, გაცნობოთ იგი მკითხველებს.

## 2.

### ზოგიერთი სტატისტიკური ცნობები.

მთელ ქვეყანაზედ ამ ჟამად სცხოვრებს (ანგარიშით) 1300 (ათას სამ-ასი) მილლიონი სული. ამათ შორის 800 (რვა ასი) მილლიონი წარმართნი არიან; 330 (სამას ოც-და-ათი) მილლიონი ქრისტიანენი; 160 (ას სა-მოცი) მილლიონი მაჰმადის სარწმუნოებისა; 7 (შვიდი) მილლიონი ებ-რაელნი. ყველა ეს ხალხი ლაპარაკობს 3100 (სამი ათას ას) ენაზედ.

### დიდრონი სამფლობელოები. სატახტო და ზოგიერთი შესანიშნავი ქალაქები. მცხოვრებთ რიცხვი. ჯარი, ხარჯი და სხვ.

სივრცით ქვეყანაზედ დიდი სამეფო არის რუსეთი. სივრცე აქვს 400,000 (ოთხასი ათასი) კვადრატის მილი. მცხოვრებნი არიან 85 (ოთხმოც და ხუთი) მილლიონი. სატახტო ქალაქი არის პეტერბურ-გი, რომელშიაც სცხოვრებენ 539,122 (ხუთას ოცდა ცხრამეტი ათა-სი, ას ოცდა ორი) სული.

მეორე სამეფო არის ჩინეთი. მთელ ჩინეთში მოდის წელიწა-დში 13 (ცამეტი) მილლიონი ფუთი ჩაი. ათი (10) მილ. ფუთი იქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხარჯება, სამი მილ. გააქვთ სამძღვარ გარეთ. აბრეშუმი მოდის მთელს ჩინეთში წელიწადში 550,000 (ხუთას ორმოცდა ათი ათასი) ფუთი. თამბაქო მიდის დიდ სმარებაშია, ქალი და კაცი ერთ რიგად ეწევიან იმას. ექვსი წლის ქალს თამბაქოს ქისა ჰკიდია სარტყელზედ და ამით ამტკიცებს თავის განათლებას. წელიწადში მთელ ჩინეთში ხმარობენ 13 მილ. ფუთს თამბაქოს. განათლება იმათში ენის ცოდნა არის. გაზრდილ ქალებს იმას უწოდებენ, რომელნიც ზავედენიაში გაზრდილან, ე. ი. გარყვნილ სახლებში. ესენი ნამდვილად დიდ პატივში არიან, მაშასადამე იქ ქალის ქალწულობაზედ სჯა არ იქნება. ამნაირ მდგომარეობაში არიან ქალები სიმღერისკენ, ესკიმოსებში, სამოკლებში (თვით-მკვლელებში) და სხვ. ამ მხარეებში ქალი მაშინ არის პატიოსანი, როდესაც გაითხოვებამდის შვილს დაჰბადებს.

მესამე სახელმწიფო სიდიდით არის ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს-ა მ ე რ ი კა. სივრცე აქვს 156,842 (ას ორმოცდა თექვსმეტი ათასი, რვაას ორმოცდა ორი) კვადრ. მილ. მცხოვრებნი არიან 32,480,000 (ოცდა თორმეტი მილლ. ოთხას ოთხმოცი ათასი) სული. პირველი ქალაქი არის ნიუიორკი, რომელშიაც მცხოვრებნი არიან 1,003.000 (ერთი მილიონი და სამი ათასი) სული. ამ ქალაქის მახლობლად იტაკაში ეხლა ხანს დააფუძნეს შესანიშნავი უნივერსიტეტი სახელად კორნელლისა. ამ უნივერსიტეტზედ ქვეით მოვილაპარაკებთ. ახალი რკინის გზა, რომელიც ეხლახანს შეკრულდა, არის დაწყობილი ატლანტიის ოკეანედგან (ხმელეთით)—ნიუიორკიდგან, ვიდრე დიდ ოკეანემდე—საკრამენტომდის. სიგრძე ამ გზას აქვს 4,500 (ოთხი ათას ხუთასი) ვერსტი. ამ რკინის გზის სტანციებში (ვოკზალებში) გაზეთები გამოდის დღეში სამჯერ. რკინის გზაზედ მოძრაობის დროს თეატრებსაც აპირობენ.

ა ვ ს ტ რ ი ა. სივრცე აქვს 11,305 (თერთმეტი ათას სამას ხუთი) კვად. მილი. მცხოვრებნი არიან 34,982,890. (ოცდა თოთხმეტი მილიონი, ცხრაას ოთხმოცდა ორი ათას, რვაას ოთხმოცდა ათი). პირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ქალაქი არის ვენა, რომელშიაც 600,000 (ექვსასი ათასი) მცხოვ-რებია.

ფრანციის. სივრცე აქვს 9,850 (ცხრა ათას რვაას ორმოცდა-ათი) კვად. მილი. მცხოვრებნი არიან 38,200,000 (ოცდა თვრამეტი მილლიონი, ორასი ათასი). პირველი ქალაქი არის პარიჟი; იმაში არის მცხოვრები 2,150,000 (ორი მილიონი ას ორმოცდა ათი ათასი).

პრუსიის. სივრცე აქვს 6,393 (ექვსი ათას სამას ოთხმოცდა ცამეტი) კვად. მილი. მცხოვრებნი არიან 24,019,367 (ოცდა ოთხი მილლიონი, ცხრამეტი ათას, სამას სამოცდა შვიდი) სული. პირველი ქალაქი ბერლინია. იმას ჰყავს მცხოვრები 702,000 (შვიდას ორი ათასი).

ანგლიის. სივრცე—5762 (ხუთი ათას შვიდას სამოც და ორი კვად. მილლის. მცხოვრებნი არიან 29,935,000 (ოცდა ცხრა მილლიონი, ცხრა ას ოცდა თხუთმეტი ათასი). პირველი ქალაქი არის ლონდონი. მცხოვრებნი არიან მასში 3,170,000 (სამი მილლიონი, ას სამოცდა ათი ათასი). რკინის გზები არის გაყვანილი მთელ ანგლიაში 23,240 (ოცდა სამი ათას ორას, ორმოც) ვერსტზედ. წელიწადში გაიგზავნება მთელი ანგლიიდგან 744 (შვიდას ორმოცდა ოთხი) მილლიონი წიგნი. ძველი უნივერსიტეტები არიან შემდგომნი:

| | | |
|---|---|---|
| ოქსფორდის—დაფუძნდა. . . . . | 886 | წელში. |
| კემბრიჯის . . . . . . . . . | 1000 | — — |
| სენტ-ანდრიასი . . . . . . . | 1,413 | — — |
| გლასგოსი . . . . . . . . . . | 1,450 | — — |
| აბერდინის . . . . . . . . . | 1,494 | — — |
| ედინბურგის. . . . . . . . . | 1,582 | — — |
| დუბლინის . . . . . . . . . | 1,593 | — — |

ქალაქ ნორიჩში (ანგლიაშია) დღეში აშენებენ 12,000 (თორ-

მეტი ათასი) წყვილ წადგეს; ბირმინგამში (ანგლიაშიცა) წყლიწადში ამოს-დებენ 300,000 (სამასი ათასი) რკინის გრანტს. უკ. სტეფენსონის ... თა მანჩესტერ-ლივერპულის (ანგლიის ქალაქებია) რკინის გზაზედ თე-ატრი ხუთ ვაგონს ქირად შეაერთებენ და ამ გვარად წარმოადგენენ გვარიან დიდ ზალას და ზალის ბოლოს სცენა არის გაკეთებული. ყო-ველი ვაგონი ისე გამოანგარიშებულია, რომ როცა მიახლოვდება სტან-ციას, მაშინ თავდება.

## რამდენი ფული არის გადადებული ზოგი-ერთი უმაღლესი სასახლეებისთვის.

ოსმალების სულთანისათვის აბდულ-აზიზისთვის წ. 9,240,000 მანეთი.
ფრანცუზების იმპერატორისთვის ნაპოლეონ 3-ს წ. 7,280,000 —
ავსტრიის იმპერატორისთვის ფრანც-იოსებისთვის წ. 5,600,000 —
პრუსიის კოროლისთვის ვილჰელმ 1 ს წ. . . . . 4,260,000 —
ანგლიის კოროლევას ვიქტორიისთვის წ. . . . . 3,080,000 —
ისპანიის კოროლევა იზაბელას (ქონდა) . . . . 2,520,000 —
ბელგიის კოროლ ლეოპოლდისთვის წ. . . . . 840,000 —
ჩრდილოეთის-ამერიკის პრეზიდენტის გრანტისთვის 35,000 —

—

ეხლა მთელი ევროპიის ჯარის რიცხვი არის . . 4,000,000 კაცი.
ამათთვის გადადებულია წელიწადში . . . 640,000,000 მანეთი.

## სამი შესანიშნავი პროექტი, რომელიც უნდა აღსრულდეს ამ ახლო მომავალში.

უკვალს ლესეპსს (ფრანცუზია), რომელმაც გაიყვანა სუეცის არხი და მით შეაერთა შუა-ქვეყნის ზღვა მეწამულ ზღვასთან და დიდად შეამცი-

ბუქა და შავმცირე გზა (წყლით) ინდოეთის და წყნარ-ოკეანეს [illegible] ლესეპსის ჰსურს სახარაში ზღვის გაყვანა. ეს სახარა არის [illegible]ბური ქვიშიანი ადგილი. ამ ადგილებში შეიძლება მოგზაურობა მხოლოდ მარტო აქლემებით, რადგანაც უწყლო და უმცენარო ადგილია; გარდა ამისა დიდი საშიშია ამ ადგილებში მოგზაურობა: აქ ხშირად იცის ქარი, გახურებული ქარი, რომელიც გარდა იმისა, რომ სწვამს მოგზაურს ხანდისხან ქვიშასაც მიაყრის და მთლად შიგ დაჰმარხავს ხოლმე. ეს ადგილი — პირველი, რომ ძალიან დიდია, მეორე, რომ უსარგებლოა და დიდად მავნებელია არა თუ მარტო აფრიკისთვის, (აფრიკა მთელი ქვეყნის მეხუთე ნაწილსა ჰქვიან), სადაც არის ის ადგილი, არამედ ევროპისთვისაც. სამხრეთის ევროპა ხშირად ჰგრძნობს იმის მშრალ და ცხელ ქარს და ხშირად მიწასაც აყრის ზოგიერთ მის ქვეყნებს, მაგ. ისპანიას, პორტუგალიას, იტალიას და სხვებს. ეს ზღვის გაყვანა შესაძლოა, იმისთვის, რომ როგორც ამტკიცებენ პლინი და ჰეროდოტი (ისტორიკოსები), სახარაში წინად ზღვა ყოფილა. გარდა ამისა ეხლანდელის გამოკვლევამ ცხადად სცნა, რომ ფრიად შესაძლებელი არის ეს საქმე, რადგან სახარა ჩავარდნილი ადგილია. ამ საქმეს შესდგომია უკვე ლესეპსი და საზოგადოების შედგენას აპირობს, აგრეთვე სხვა და სხვა მმართველობას სთხოვს შემწეობას. ეს პროექტი უეჭველია აღსრულდება ლესეპსის ხელში.

მეორე პროექტი შეეხება არხს (ზღვის გარდასადინარს), რომელიც ჰსურთ გაიყვანონ ჩრდილოეთის-ამერიკიდგან სამხრეთის-ამერიკამდის, ამ ორი ნაწილის წყლით შესაერთებლად. ამ ახალი არხისთვის (დარიენის არხი ჰქვიან) გამოანგარიშებულია 130 (ას ოც და ათი) მილიონი მანეთი. ამ პროექტის ასრულებას ის საზოგადოება კისრულობს, რომელმაც გაიყვანა რკინის გზა ნიუიორკიდგან საკრამენტომდის (სან ფრანცისკომდის), ესე იგი ატლანტიის ოკეანიდგან, ვიდრე დიდ ოკეანემდის (4500 ვერსტი სიგ.) ეს პროექტი ფრიად შესაძლებელი არის ამერი-

ტალღების ხელში. ამერიკელებს ჯერ ქალაქები არ დაუფუძნებიათ [illegible] იმ ადგილებში რკინის გზები გაჰყავდათ. ხნახნ დიდი [illegible]—[illegible] დველობა, ჭკვა და გონება და ღმერთმაც მისცესთ, რომ დიდი მშრომე-ლე და მეჭირნახულე ხალხია. რასაც ქმნებენ—იმას ჰპოვებენ.

მესამე პროექტი არის რკინის გზა, რომელიც უნდა გაიყვანონ ფრანციიდგან ანგლიაში. ეს რკინის გზა გაივლის ხიდზედ, რომელსაც ექნება 28 (ოცდა რვა) ვერსტი სიგძე. ანგლიის და ფრანციის შუა, როგორც უწყის მკითხველმა, არის ზღვა, ანუ როგორც უწოდებენ და-მანშის გარდასავალი ანუ პა-დე-კალე. ეს გარდასავალი ძალიან ცუდი თვისებისა არის თავის ღელვით და ბორცვით. ამ ოცდა რვა ვერსტს, რომელიც არის ორ სამეფოს შორის, ცეცხლის გემი უნდება ექვს სა-ათს და ხან-და-ხან მთელ დღეს; მაგრამ ზოგჯერ გემები ჰბედავს შეს-ვლას, მასთვის რომ ამ ადგილში ნიადაგ დიდი ღელვა არის ხოლმე. ამის გამო ჩვენ ადვილად შეგვიძლიან ვსთქვათ: თუ ეს ხიდი გააკეთეს, დიას რომ სხვა უფრო ძნელი პროექტი შესაძლებელი გახდება. მართა-ლია, არის ზოგ ერთ მხარეებში დიდრონი ხიდები, როგორც სტე-ფენსონის ხიდი, რომელიც არის გადებული წმინდა ლავრენტის მდი-ნარეზე, სიგძით ორ ვერსტზედ ცოტა დიდი, მაგრამ მაინც ეს რა არის ოცდა რვა ვერსტიან ხიდთან? ანგლიელები და ფრანცუზები ამე-რიკელების მეტად შესანიშნავნი არიან. ფული და ოფლი სანწყალი არ მოუხდენიათ. ეს სამი პროექტი დიდი და შესანიშნავი პროექტები არის სხვა პროექტებთ შორის. ეხლა ოთხმოც დღეს უნდება კაცი, რომ დედამიწას გარს შემოუაროს, და აი დაინახავთ, რომ ამ გზას ორმოც დღესაც აკმარებენ ამ ახლო მომავალში; უწინ წელიწადები უნდო-და, ეხლა კი მამინდელი წლის ნაცვლად, დღის ნაცვლად გარდაიქცა. მო-დი და სთქვი, რომ განათლება არა ფერი არისთქო?

ჩვენი დროების ფილანტროპები, ანუ კაცთ-მოყვარეები, და სხვა.

დიდება შენს წარმატებას, მეცნიერებავ! და დიდება შენ, მეცნიერების მიმდევართ და გამაუმჯობესებელთ! ვინ იცის რამდენი დამაბრკოლებელი მიზეზები, რამდენი მძიმე და შემაწუხებელი გარემოება და შემთხვევა გარტყია გარემო, მასამ შენ მიუახლოვდები ჭეშმარიტების და ქვეყნიერების სასარგებლო მიზანს! შენ ერთი მხნეობა, ბეჯითობა და მოყოლა გისდის მხოლოდ სამაგიეროს; ვინ რა იცის, თუ შენ დაბლა, ნესტიან, შმორიან სარდაფში სანგრძლივ ელტვი დაბრკოლებაებს და უახლოვდები შენს აღებულს მიზანს! იქნება ნამდვილიც არის, რომ შენი კუჭი გამძღარი არ არის სიღარიბის გამო და ამას ის კაი-ვაგლახიც დაუმატეთ, თუ ჯალაბობაცა გყავს! მაგრამ ამის მწუხარება რა არის იმ ბედნიერებასთან, რომელიც მოელის ქვეყნიერებას, კაცობრიობას იმის გამოჩენით, იმის ნაწარმოებით. თუ ხვალ იმის გამოჩენა ათას კაცს გაუძლობს კუჭს? იმასთან რა არის ეს გაჭირებაები, თუ ამის მოგონებული მკურნალი წამალად შეიქმნება კაცობრიობისთვის? ბედნიერი ხარ, ჭეშმარიტების გამომჩენელო მუშაკო! ამას მოგიწერს ქვეყნიერება და უფრო საგრძნობელად გაბედნიერდები, თუ შენ მეტის-მეტმა სისარულმა შენივე გამოჩენით გაგიქრო შენში აღძრული სული! არა ერთი მაგალითი ყოფილა, რომ ამ ნაირ გვამებს, მიუღწევიათ რა მიზნამდის, აუხსნიათ სხვისთვის თვალები და მსწრაფლად გამქრალან. ნეტარ არიან ესენი, რომელთაც უზრუნვიათ ქვეყნიერებისთვის! . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . , . . . , . . . . . . . . . . . ამათ ზეზეურად ადგათ ნათელი. ამ ჩათლის ქვეშ მილიონი ხალხი სდგას. მე ამ ნაირს

ხალხს ვუწოდებ ფილანტროპებსაც, ანუ კაცთ-მოყვარე ხალხს, ამ[illegible] ხალხს მიემსგავსებიან ის პირნი, რომელნიც თავიანთ ქონებას გაუ-წილებენ საწყალს საცოდავს ხალხს. ნუ თუ მართლა ამერიკის ფილა-ნტროპის პ ი ბ ო დ ი ს სახელი გაჰქრა ამ ქვეყანაზედ! საუკუნენი გა-ივლიან და ისვი (პიბოდი) ნათლად და მხნელად უჩნდება ხალხს. ათა-ერთი კაცი ევედრება მუხლ-მოდრეკით ღმერთს პიბოდისთვის, რათა სასუფეველი დაუმკვიდროს. იქნება ამ წამსაც, როცა ამ სიტყვებს ვსწერ, ცხარე და მხურვალე ცრემლებით ევედრებიან ღმერთს პიბოდის საუკუნო განსვენებისთვის და ნეტარებისთვის. ნეტარ იყვნენ პიბოდნი, რამეთუ მათი არს აწმყო და მომავალი სასუფეველი! პიბოდმა მთელი თავისი ჭირნახული და ქონება შესწირა ღარიბ ხალხს. (ამ საქმისთვით მისგან დახარჯულს ამბობენ ოც მილიონ მანეთამდის). ჭეშმარიტად ნათელი მო-ვლინებანი არიან ის პირნი, რომელნიც ქუხა-ქუხი დადიან, ეძიებენ საწ-ყლებს, დავრდომილებს, ობლებს, გაჭირვებულებს, რომ შეეწიონ, გაზარ-დონ, ხიიბო მისცენ, კუჭი გაუძღონ და ამასთან ასწავლონ რამე. ნუ თუ მართლა იმათი სახელი ამ სოფლად მაინც არ უნდა იყვეს კეთილ-ხსენებაში.—ერთმა ამერიკელმა კიდევ შარშან 700 (შვიდასი) ობოლი ბავშვი მოჰხსა გასაზრდელად და სასწავლებლად. აგრეთვე ჯერ რომ-დილმა, როცა გვდებოდა, ბევრი უხნდერმა საწყალ ხალხს. აი ვინ არიან გმირნი მშვიდობისა, ცხოვრების მიმნიჭებელნი, ღუკმის მომცემნი. . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . ახლა დრო გვიახლოვდება კაცთ-მოყვარეობისა და სი-ნათლისა და ამის გამო . . . . . . . . იმტკიცებენ საგმირო ადგილს კაცთ მოყვარენი, კაცობრიობის წევრნი, ღვთიურნი კაცნი . . . . . . . . . . . . . . . მე მგონია მკითხველი საკმაოდ მიჰხვდა, თუ მე ვისკენ მი-ვმართავ ყურადღებას და ვის მომადლეობას ვითხოვ. ეს ღვთიური

ვალის. შეიყვარე და შეითვისე მოყვასი შენი, ვითარცა თავი [illegible] თღაც ვის წაუღია თან თავის ცხოვრება, და ან უფრო ვის დასჭირდება [illegible]ლი ხსენება.

5.

## ახალი უნივერსიტეტები ჩრდილოეთის-ამერიკისა.

გამოჩენა მოასხლის ამერიკელმთა, სიკეთე ქმნა ამერიკელმთა, ობოლი გაზრდა ამერიკელმთა,— სულ ამერიკელმა, სულ და სულ ამერიკელმა. ეს რა ამბავია, რაღა სულ ყველგან ამერიკელი ჩნდება, ეს რას უნდა მივაწეროთ? ეს ცხადია, რომ დღეს არა სხვა შევიტყობთ უფრო კარგ ამბებს ამერიკელებისას. ეს მისთვის, რომ ისინი შეადგენენ წყაროს და მასთანავე უშრობს, და იმ წყაროდგან მომდინარე ცხოვრების გაუმჯობესობა, ნამდვილი წყურვილის მომკვლელი და მაცხოვრებელია. რასაკვირველია, რომ თითონ ამერიკელების ძველ თაობას იმისთანა გარემოებაში არ ედგათ, რაც შვილებს მიანიჭეს. ისინიც რომ ბოდბელის აზრით მოქცეულიყვნენ, ეხლა ჩვენზედ გაუნათლებელნი იქნებოდნენ. ისინი უფრო მომავალისთვის სცხოვრებენ, საშვილიშვილოდ შრომობენ. ბოდბელი ამბობდა: «თუ მე არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუ დამდგარაო».— ამერიკელი კი ამბობს: «თუ მე შევწუხდები, შვილს მიეცეს სიმშვიდე». რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ამერიკელები დაწინაურებულნი არიან ყოველი საქმით და გაცობრილი აზრებით.... შესანიშნავს სიკეთეს წარმოგვიდგენს ორი ახალი უნივერსიტეტი, რომელნიც ეხლა ხანს გაიხსნენ. იქ უნივერსიტეტები ყველა (საზოგადოდ ვამბობ) დიდ ქალაქებში არის; მაგრამ ამ ახალ დაწესებულებისთანა სწავლა არ სად არის. პირველი უნივერსიტეტი, სახელად კორნელლისა, არის იტაკაში (კორნელმა დააფუძნა); მეორე არის ქალების უნივერსიტეტი, სახელად ვასსარ კოლლეჯი, (დააფუძნა ამერიკის მოქალაქემ

მათე ვასსარმა, პოუკეპსში). ეს ორი უნივერსიტეტი ჩინებულად მოვლინებად შეირაცხებიან. . . . . . ეს ორი უნივერსიტეტი ასრუ-ლებს ამ დროების პროგრამმას, აწმყო დროების მოთხოვნილებას, რომელიც უსათუოდ და უეჭველად საჭირონი არიან; ეს ორი უნივერსიტეტი აღმოჩნდა მიმზიდველად და კარშიკად, რომელიც მეცნიერებას და ცხოვრებას ერთმანერთთან ათანხმებს. უკეთო და უთავბოლო სწავლას ამ უნივერსიტეტებში — ადგილი არა აქვს. (მაინც ამერიკის ყველა უნივერსიტეტები და საზოგადოდ სასწავლებლები ევროპიისას სჯობიან). თითქმის ყველამ იცის, რომ დარბაისელ მწიგნობრებსა და ახალ მოაზრეთ შორის დიდი ომი იყო (ბაასი, რასაკვირველია) ძველი ენების სწავლების საჭიროებაზედ. ერთი მხარე (დარბაისლები) ამტკიცებდნენ მის საჭიროებას, ხოლო მეორე (ახალი მოაზრეები) უსარგებლოებას და ზოგი მხრით ვნებასაც. თუ მე მკითხავთ, რასაკვირველია, მე ამ უკანასკნელებს მივემხრობი, რადგან თითონ ვარ გამოცდილი ამაში. თითქმის ათი წელიწადი მისწავლია ლათინური, მაგრამ, თქვენი ცოდვა მქონდეს, თუ რამე გამეგებოდეს იმისი, ან საჭიროებას, ან თვით ენის ცოდნა, და ან რას გაიგებს კაცი იმისას, რაც მომკვდარა და თავისი დრო მოუჭამია, და მაშასადამე ეხლანდელს მოთხოვნილებას სრულ ვერ აკმაყოფილებს.... ზემოხსენებული უნივერსიტეტების კანონი არავის არ აიძულებს ამ ორი ძველი ენების (ლათინურის და ბერძნულის) სწავლას. ამ ენების სწავლა მოსწავლეთ ნებაყოფლობაზედ არის დამოკიდებული; ამასთან ყველა ცხოვრებაში საჭირო სწავლის მიღება შეიძლება იქ. რომ გამოხდიხარ ამ ახალ უნივერსიტეტიდგან, შენ სამად არაფერი არ გეჩვენება, სახლობა, მეურნეობა ისე ცხადად წარმოგიდგება, რომ ასე გგონია ათი წელიწადი იმის მმართველი იყავიო. იცი როდის რა უნდა, სად რა უნდა, როგორ რა უნდა გააკეთო, რომ საქმე კარგად წავიდეს. ამ ნაირს სისრულეს წარმოგვიდგენს ის ორი უნივერსიტეტი — ვაჟებისა — კორნელის უნივერსიტეტი, ნიუიორკის მახლობლად (იტაკაში) და ვასსარ-კოლე-

ლეჯის — ქალებისა, პოუღკეპში. ღმერთმან დაუმადლოს მათ დამაარსებ-ლებს კორნელლის და მათ ვასსარს. ახალი თაობა, ქალი თუ კაცი, ამერიკისა, რასაკვირველია, დაუმადლებენ: ამათი სახელი და საქმე უკვდავია. ეს ორი უნივერსიტეტი არც ერთს არ მიემგზავსება; მათში გა-მოსჭვრეტს ნამდვილი კაცის გონება, ესენი უხილებენ კაცს თვალებს, რომ შეუცდომლად დაინახოს ყველა სისწორე და სიმრუდე........

ესლა ამერიკაში 400 ექიმი ქალი იქნება, რომელთაც უნივერსიტეტი გაუთავებიათ და აღსრულებენ ექიმობას. ამათ ზოგი ერთს წელიწადში ორი ათასი თუმანი აქვსთ შემოსავალი, ზოგს ცოტა ნაკლები, მაინც, საშუა-ლოდ რომ ვსთქვათ, ათასზედ ნაკლებს არც ერთი არ აიღებს. მოდი ახლა და ქართველის ქალები დააჯერე, რომ ქალები ექიმები არიან და ორი ათას თუმანსაც იღებენ თავიანთ ექიმობითაო! ახლა სხვა მეცნიე-რების მცოდნენი რამდენნი არიან. სხვა-და-სხვა საგნების პროფესორი ქალები კიდევ რამდენნი. ისეთი მეშრომე ხალხია იქაური ქალები, რომ ევროპის ვერ შეადარებ. წარმოიდგინე, მკითხველო, რომ თქვენ ჩამოჯ-დებით ნიუიორკის მახლობლად და ივლისით უნდა შეხვიდეთ ქალაქში. ისიც წარმოიდგინე, რომ კარგი დრო არის, გაზაფხულია. ვის უფრო ხშირად შეხვდები შენ მთელ მოგზაურობაში? უფრო ხშირად ქალები შეგხვდებიან. აი, შენ ქალაქის გარეთ ჰხედავ რამდენსამე ქალს, რო-მელთაც ხელში ალბომები აქვსთ და ბუნებას ჰხატვენ. ესეც იცოდე, რომ ისინი უხეირო მხატვრები არ არიან. შეხვალ თეატრაში, ქალებს ჰნა-ხავ, იქაურ მოხელეებს; მაგაზიებში შეხვალ, უეჭველად პრიკაშჩიკები სულ ქალები შეგხვდებიან. შეხვალ საბეჭდავში, იქაც ქალები აწყობენ ასოებს; პოსტამტებში — იქაც არიან. წახვალ სასწავლებლის სანახავად, ჰხედავ მასწავლებელი არა ჩანს; შეიხედავ, ჰნახავ მოზდილი ყმაწვილები და ქალები ერთად სხედან და ჩუმად კითხულობენ. ჯერ, რასაკვირველია, შენ იმათი სიმშვიდე გაგიკვირდება. აი კარებში შევიდა ქალი, ვინ გგო-ნია ეს? ეს არის მათი მასწავლებელი. სამოქალაქო სამსახურშიაც რომ

არის, ადვოკატობასაც რომ ასრულებენ. ერთი სიტყვით, [illegible]
ლების ქმნა ადვილი უნდა. ქალია თუ კაცი—ორივე ნამდვილი [illegible]
არიან ჯენტლმენობისა.

7.

## გამოჩენები, გამოკვლევები და მოგონებები.

### ტელეგრაფის გაუმჯობესობა.

გაზეთ «კავკასიაში» იშვიათი არ იყო ჩივილი დეპეშების დაგვიანებაზედ. ამ დაგვიანების მიზეზს ხან ჩინოვნიკებს აბრალებდნენ და ხან დეპეშის სიმრავლეს, რომ ბევრი იგზავნებოდა და ამიტომ გვიანდებოდაო. მაგრამ ამის თავი და თავი მიზეზი, გვგონია, ისევ თვით ტელეგრაფის უსრულობა იყო. ამ უსრულობასაც ეშველა. როგორც ამბობენ ეხლა შეიძლება რამდენიც უნდა, იმდენი ტელეგრამმა გაიგზავნოს ერთად. ამ გაუმჯობესობას მიაწერენ ერთ რუსის მეცნიერს.

### ახალი საქსოვი მაშინა.

ამერიკაში დიდ ხმარებაში შევიდა ახლად მოგონილი საქსოვი მაშინა; ეს მაშინა ძალიან ბევრს ჰქსოვს, სტოლზედაც მოეკეთდება და ამასთან ძალიან იაფია. ეს მაშინა ჰქსოვს დღეში ორმოც წყვილ წინდას; წინდების გარდა ჰქსოვს შალებს, საბნებს, ლეჩაქებს, თათმანებს და სხვ.; ძალიან პატარა შრომას მოითხოვს.

### არჟანოის ფურისაგან გაკეთებული კედლის საათი.

ერთ ნიურენბერგის სასტუმროს ზალაში ჰკიდია შესანიშნავი სა-

თაო, რომლის ჭახრაკები, ქანქარი, ზოდები, ციფერ[illegible] რითა სიტყვით მთელი საათის ჩარხები და მომართულობა [illegible] ვან არის გაკეთებული. ამბობენ ამის ხელოსანი ვალების გულისთვის ორი წელიწადი საპყრობილეში იყო დაჭერილი და იქ გააკეთა უბრალო დანით. ეს საათი ძალიან სწორედ დადის; აჩვენებს წუთს, წამს, საათს, თვეს და წელიწადს.

## გველის ნაკბენის წამალი.

როდესაც გველმა დაგიშხამოს ვინმე, მაშინ ნაკბენი ადგილი უნდა დაიბანოს, ცოტად გაუჭრან და შიგ ჩაასხან წყალში გარეული ამმონიაკი (აფთიაქში იკითხე). ეს წამალი მაშინვე მოარჩენსო.

## საშუალება, თუ როგორ შეინახონ ღვინო, რომ არ წახდეს.

მთელ საქართველოში ძალიან ხშირად ხდება ღვინო ან შიგ ქვევრებში, ან გადატანის დროს. ღვინის წახდენა გადატანის დროს მარტო ჩვენში არ იცის; როგორც მინახავს ყირიმის ღვინოც ხდება, და რომ დიდ ხანს გაძლოს, იქ არაყს ან სპირტს ურევენ. ეს საშუალება, მართალია შველის, მაგრამ სასმელად კი ამძიმებს, — თავის ტკივილი იცის. ეხლახანს გამოსცადეს და დარწმუნდნენ, რომ ღვინის შენახვისთვის პირველი საშუალება არის ღვინის ადუღება ცეცხლით 40-გან 50 გრადუსამდე. ეს საშუალება ძნელი არ არის და არც დიდს ხარჯს მოითხოვს. როგორც წყალს ვადუღებთ, ისე, დიდ არყის ქვაბში, კარგად დახურულში, უნდა ადუღდეს. როგორც გამოჩენილია მეცნიერთაგან, ჰაერში, საჭმელში, სასმელში პაწაწინა ჭიები არიან და ის პაწაწინა ჭიები ღვინოშიაც ბლომად ურევიან. როცა გადადუღდება ღვინო—ისინი

დაიხოცებიან და ღვინოა აღარ წახდება. მაინც, ჯერ ცოტაზედ ხმარობენ ეს საშუალება ჩვენმა მემამულეებმა. თუ გამოდგა, (საქმეზე [illegible]) იმაზედ უკეთესი რაღა იქნება. ზოგიერთგან გამოსცადეს ეს საშუალება და ყველგან ქმადრიელებიანი.

კვერცხის შენახვის საშუალება.

კვერცხი დიდ ხანს კარგა სძლებს,—მეტადრე ზამთარში. მეცნიერი ნასწავლები ქსლა კვერცხებს ზეთში ავლებენ და ეს ძალიან დიდ ხანს ინახავს. აგრეთვე ხორცეულობას (ქუმს) და ხილს წმინდა ხმიელ-ში ავლებენ და ისე ინახავენ; ხოლო რაც დასჭირდებათ, მდუღარე წყალ-ში ავლებენ და ხმიელი სულ ჩამოვა, გაირეცხება.

—

უკვალის ფაშერის კურკებით აღმოაცენა სხვა-და-სხვა ხილის ხეები, რომელთაც მესამე წელიწადსვე დაისხეს და იმდენი, რომ ტოტები კე-ლარ იდგნობდნენ. ამის საშუალებას ის ჯერ არ აცხადებს. ამას გარდა ყვავილებს რა ფერიც ენებავსთ, იმ ფერს მისცემს. მაშასადამე, მებაღე-ობაში დიდი გაუმჯობესობა მოხდება მომავალში.

8.

შესანიშნავი ამბები, სასიამოვნო, სალხინო, სა-ვიზიტო და სხვა-და-სხვა გასართობი ანეკდოტები.

ამ განყოფილებას განსაკუთრებით ქალებისთვის ვსწერ. იქნება ღმერთმა ჰქნას, როგორმე მოხდეს, რომ პოლ-დე-კოკის ან პოლ-ფევა-ლის რომანები არ ჰქონდესთ, ან დედ-მამის შიშით კარგა კითხულობ-დნენ. მაშინ მათი აღმრულები ფანტაზიისაგან დასუსტებულ ნერვებისთვის რა საშუალება მოესწრება?—გასართობი ამბები. მაგრამ მერე იმ უბედუ-

რებას უყურე, რომ სხვა-და-სხვა ამბებისთვის ყოველთვის მკითხველის ყურადღება საზღვარ გარეთკენ უნდა მივაქცევინო, როდესაც ჩვენში ფრიად შესანიშნავი ამბები მოხდა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . მაგრამ სხვა ქვეყნის მაინც მოუთხრობთ. . . .

. . . . . . . . . . . ერთ ხანდაც ქვეყანაში ზოგიერთ ცოლებს გათხოვების სურვილი აღმოუჩნდათ თავიანთ ქმრებისთვის. ეს ამბავი ბევრს წმინდა ზნეობისანს არ ეჭაშნიკება, მაგრამ ამბობენ სწორედ ასე არისო: ტყუილია, თუ მართალია — არ ვიცით. თუ გინდ ასეც იყოს, საკვირველი რა არის? განა ცოტა გვინახავს შეუფერებელი ქორწინება, ესე იგი ისეთ პირთ შეერთება, რომელნიც წლოვანებით, ხასიათებით, ჩვევით და ზნეობითი თვისებებით სრულებით სხვა-და-სხვანი ყოფილან. რასაკვირველია, რომ ამ გვარმა შეუფერებელმა პირებმა რამდენიმე ხნის შემდეგ არ იგრძნონ ერთმანერთზედ გული და თავიანთ გულის ნამდვილი მოპატრონე, განა თანა-მგრძნობელი მოძებნონ, და ცოლმა უთხრას ქმარს გამითხოვეო, და ქმარმაც ამასთანა დაკითხვებით არ შეიწუხოს თავი, არამედ დაუკითხავად, ცოლის იდუმალ, იშოვნოს სხვა-და-სხვა სატროფო. ეს ამბები ყველგან ხდებიან და ისე ხშირად, რომ მათზედ არც კი მოუბნობენ, რადგან ყველას თითქოს თვალი და ყური შეჩვეული აქვს მის ხმასა და ხილვას. არც არავის უკვირს, ან რასაკვირველია? როდესაც ერთ რამე შეუფერებლობას, უწესოებას მოვასწრებთ ჩვენ, უეჭველად უნდა ვიცოდეთ, რომ იმას სხვა უწესოებანიც თან მოჰყვება, მაშასადამე ცოლისაგან და ქმრისაგან ცალ-ცალკე სატროფოების მოძებნა არის იმის შედეგი, რომ მშობლები, ნათესავები თუ სხვა რამე გარემოება ერთმანეთის შეუფერებელ პირებს შეაერთებს ხოლმე ერთად. მაშ ეს არ მოისპობა, ესე იგი — მიზეზი, იმდრომდის არც ამის შედეგი უწე-

სოებაები და ცოლ-ქმართ შორის უთანხმოებაები მოისპობა; როდესაც სათავე, წყარო დაშრება, მაშინ მდინარე საიდამღა იქნება. რამდენადაც მდინარეში კი ნუ ყრით ქვებს—ამოავსოთო, სათავე დაუწყვიტოთ, საქმე სათავეა. მიზეზი მოსპოთ, შედეგი თავის თავად მოისპობა. ეს ასე იყო და ასე იქნება მარადის. მაშასადამე, მრავალ შემთხვევაში გაყრისასა და სამდურავს ადგილი არა აქვს და აგრეთვე ზემო ნათქვამ ამბებზედაც სულ ვერას ვიტყვით, ან რა ჩვენი საქმეა..... ახლა კი ისევ და ისევ პარიჟს და ლონდონს მივმართოთ, თუ გაჭირდეს ნიუორკიც დავართოდ ზედ.

## შესანიშნავი არაბელას ამბავი.

ამერიკაში, ნიუიორკში, ამ ჟამად სცხოვრობს მშვენიერთა მშვენიერი ქალი. იმის სიმშვენიერის დასამტკიცებელი საბუთიც ის არის, რომ სხვა-და-სხვა ქალაქებიდან მოდიან ნიუიორკში იმის სანახავად. ამას წინად (1869) ნიუიორკში რამდენიმე ფაბრიკა დაიწვა და ამ ფაბრიკების მუშები, რიცხვით რამდენიმე ათასი, სულ მთლად მშივრები დარჩნენ. ერთ დღეს იმ მშვენიერმა ქალმა გამოაცხადა ამერიკის გაზეთებში, რომ ის ყოველ დღე, დანიშნულ დროზედ, ამა და ამ სასტუმროში იქნება, სადაც მსურველთ შეუძლიანთ მასი კოცნა თითო დოლლარად (ერთი მანეთი და 35 კ). იმის კოცნის მსურველნი ფრიად ბევრნი აღმოჩნდნენ, ასე რომ არაბელამ სულ მოკლე ხანში რამდენიმე ათასი დოლლარი შეაგროვა. აიღო ის ფული და სულ მთლად იმ დამშეულ მუშა ხალხს დაურიგა, და ეხლა ამ ქალს ის მუშები ცამდის ამაღლებენ და ყოველის მხრით ცდილობენ მის პატივის ცემას…

— —

ერთმა ამერიკელმა ანდერძში გამოაცხადა შემდგომი: «რადგანაც ყოველი ზარალი, რომელიც მემართებოდა მე, სულ დაუდევნელობით და დროზედ არ მიდევნისაგან წარმოსდგებოდა, ამის გამო ანდერძს ვსდებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ყოველი ჩემი ქონება გაისყიდოს და იმით ჩვენი ქალაქის ყოველ ქუჩებში ჩამოიკიდოს კარგი კედლის საათები....» როგორც ატყობთ, მკითხველო, ბოდბელის აზრის ჩრდილიც არ ეტყობა ამას: ამის აზრი სულ სხვაა: «თუ მე ვერ ვიყავ, სხვა მაინც იყოსო».

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ჩვენშიაც მოსდევს ხოლმე რომ ქალი თითონ აირჩევს საქმროს. . . . . . . . ამას წინაზედ ერთ ქალს (ამბობენ განათლებული არისო) დედ-მამას დაუკითხავად ნიშანი მიეცა თავის საქმროსთვის და შემდეგომ გამოუცხადებია დედ-მამასთან და ის დღეც ეთქვა, როდესაც ჯვარი უნდა დაეწერათ. დედ მამა ჩვეულებრივ უარზედ არ დამდგარიყო, მით უფრო, რომ ქალს არც ფული უთხოვნია და არც მზითევი. ამგვარი შემთხვევები ამერიკაში ჩვეულებად არის მიღებული და ნაყოფიც კარგი მოაქვს, მასთვის რომ იქ ამ ნაირ შემთხვევაში ცხადად იგებენ ერთი ერთმანეთის ხასიათს, ყოფა-ქცევას, სახიერებას და ჭკვის სიმდიდრეს. ღმერთმა ჰქნას, რომ ყოველ შემთხვევაში უსაფუძვლობას და სისულელეს ადგილი არა ჰქონდეს, და ჭკვის სიწრფელეს დაადგნენ. ამბობენ ეს ქალი ქართველისა არისო, — უფრო სასიამოვნო და უკეთესი. დარწმუნებულნი ვართ, ის არა სთხოვს ქმარს «გამათხოვეო».

ახლა ჩვენი ქალაქის შექცევაზედ ვსთქვათ რამე. შესაქცევი ალაგები ბევრია, ჟურნალებიც მრავალია, მაგრამ რადგან მე ყველა არ გამიცვნია, ამიტომ მხოლოდ იმაზედ მოგითხრობთ, რაც ვიცი. დიდი ხანი არ არის გავიცანი კაფე — ფაგესი, ჩვენი ყმაწვილ-კაცობის შესაქცევი ადგილი. აქ მრავალ გვარად შეექცევიან: სალამოს ჟამს რომ შეხვიდეთ,

ჭნახავთ ყველა ჯურს ხალხს და ბევრნაირ დარბაისლებსაც: ზოგი ბილიარდს თამაშობს, ზოგი რასმე მიირთმევს; ზოგიც ქალაღდს თამაშობს, აბა ქალაღდის მოთამაშენი ვნახოთ. აბა ესენი არიან სანახავნი და საცოდავნი, აბა ესენი არიან კოტრები! ბატონო, ზოგი-ერთი მთელი დღე და ღამე ასხენას თამაშობს, სტუკოლკას და ამგვარ აზარტულ სათამაშოს და ისიც ფულზედ, რომლის გულისთვის თითქმის თავს იკლავენ, ბეჭდებს, საათებს, პალტოებს ართმევენ ერთი ერთმანეთს, როცა ფულს ვერ უხდიან. არა ერთი ახალგაზდა გაყვა მოხიბლული და მოწამლული ამ ნაირი თამაშობით, მოსიყვარულენიც ურჩევიან. ყოველ დღე ერთი და იგივე თამაშობენ, ნეტავი ჭკვიანი რას იგებენ. — იგებენ იმას, რომ საათებს აგირავებენ, ბეჭდებს, ქამრებს და სხ. და მან თუ უპუროდ სხედან, ის კი არაფერი! რამდენ მამს გამოიყვანან, მანამ წააგებენ ან მოიგებენ, ის კი არა ფერი? ნუ თუ მართლა იმას კი ზედ-მოქმედებას არა ჭქონდეს მათზედ, რომ მთელი დღე და ღამე დასხდეთ პაპიროზის ბოლით სავსე ოთახებში სხედან და სისხლს იმღვრევენ!? ნუ თუ მართლა მთელი თავისითი სიცოცხლე ამას თამაშობას უნდა შესწირონ? არა მარტო კაცებში არიან წარამარა სალხი, ქალებშიაც ბლომად მოიგითხეთ.

სხვა, ჩემო საყვარელო, მკითხველო, ხომ არ მოგწყინდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბებით? განა არ იცი, რომ ყოველ ნაწყვეტს თავიც აქვს, წელიც და ბოლოც; მაინც მეტი ღონე რომ არ არის, რას იქ? სულ-ყველაფერს ვერ იტყვი — გაგიჯავრდებიან, და ამიტომ ნაწყვეტებ თულა მოახერხებ.....

ახლა, ჩემო საყვარელო მკითხველო, როგორც იყო მიმოხილვა სისრულეში მოვიყვანე. ბევრი ახალი ამბავი ვიცოდი, მაგრამ სხვა დროისთვის გადავდე. ამასთან ჩვენ ცხოვრებაზედ დიას რომ ძალიან ცოტა არის მოხსენებული და ეს დიდი ნაკლულევანება არის მიმოხილვისთვის. მაგრამ რა გაეწყობა, ამას თავის მიზეზები აქვს, — ზოგჯერ სრულებით ჩვენგან დამოუკიდებელი.

დასასრულ მოგახსენებ, რომ მე ჩემ ხასიათს ამ მიმოხილვაშიაც გავასრულებ და პირველი ორი მიმოხილვის გვარად ვატან ერთ სახალხო სიმღერას. მკითხველს ადვილად შეუძლიან მიხვდეს სად აღზრდილან ჩემი პოეტები — დუშეთის უნივერსიტეტში, იტყვის, თუ შამილის კა-

ჯუტ-ბუკში (გუნიბში). არ შეხვდება. მაგრამ ვინც რა[illegible] ქვას, ჩვენი მოლექსეები მაინც ნიჭიერნი სჩანან. ეს სიმღერაც თქვენ[illegible] ჭირის სანაცვლო იყოს და ბედნიერების მომცემი. იცოცხლე და გაამშვე-ნიერე შენი ცხოვრება, კარგ მაგალითად უჩნდი სხვას! გაუმარჯოს ნამ-დვილ განათლების მოტრფეს, გაუმარჯოს ყოველ კეთილ კაცს, გაუ-მარჯოს!.... აი სიმღერა.

(«საიდუმლო ბარათის» ხმაზე.)

სიყვარულო, რა ხარო,
აგრე მწველი რად ხარო!

საყვარელო ნუ სწუხები,
განზედ ნუღარ იხრები;
ვეღარ შეხმლებ, ვერ წასვალ
და მეც ვეღარ მოგრჩები.

ეს სოფელი ჭრელია,
ბევრი კაცი მტრულია;
ჩემისთანა სატრფოსი
ნახვა შენთვის მნელია.

შენთვის სანთლად დავდნები,
წყალში გარდავვარდები,
და შენს წელსა მერწმუნე
სარტყელად შემოვაკვტები.

მაშ ნუ სწუხები მარადო,
მსურს ვარსკვლავად ანათო,
იჭიკჭიკო, ილხინო,
შაშვო, მღერნო შავადო.

მგ თვალები გამქრობს,
მგ ტუჩები გამახმობს,
მაგ ღოყის მიკარება
ყინულივით დამადნობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ შენ წინ სუსტი ვარ,
თოთო, ნორჩი ბავშვი ვარ,
გხედავ: დამწვავ, დამხრჩვავ, —
მაინც შენსკენ მოვდივარ.

მაშ ნუ სწყრები მარადო,
მსურს ვარსკვლავად ანათო,
იჭიკჭიკო, ილხინო,
შაშვო, მთვრენო შავადო.

ქართული გული გიძგერს,
ქართველი ბიჭიც გიმზერს,
სჯობს ვინც გეტრფის ქმონო,
თორემ მტერი დაგიჭერს.

არ შეგრჩება ხალები,
გეტკინება კლავები,
უქმოდ დაგებურდება
ეგ ხუჭუჭი კავები.

მაშ სჯობს ისევ მარადო
მე გული გამინათო,
იჭიკჭიკო, ილხინო,
შაშვო, მთვრენო შავადო.

ეს იმღერება ახალ ხმაზედ, რომელიც მიემსგავსება, «საიდუმლო ბარათის» ხმას, მაგრამ კილო მალე სწყდება. აჰა, ჩემო საყვარელო მკითხველო, იმედი მაქვს ძალიან არ დამემდურები, თუ არ მოგეწონა ეს ლექსი. მშვიდობით და გამარჯვებით ბძანდებოდე!

დავშთები თქვენი გაუმჯობესობის და მშვიდობის მოსურნე

თორელი.

იანვარი, 1870 წ. თბილისი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბიბლიოგრაფიო განცხადება.

მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, ეფიანჯის და ალადათოვის წიგნების მაღაზიებში, ხუმარაძეში (ივ. გოგებაშვილთან) და «ცისკრის» რედაქციაში იყიდება:

გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგებანი და მოძღვრებანი. ფასი მანეთ-ნახევარი, მოშიშო ქაღალდზე ორი მანეთი

კაცია, ადამიანი, მოთხრობა თ. ილია ჭავჭავაძისა. ფასი ათი შაური.

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, მეორე გამოცემა. ფასი ყველგან ორი შაური.

ბუნების კარი, საყმაწვილო წიგნი დაბალ კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, საქართველოს კარტით. ფასი ყველგან ცამეტი შაური.

საქართველოს კარტა, გამოცემული ი. გოგებაშვილისაგან. ფასი ექვსი შაური.

რუსული ენის დაწყებითი პრაკტიკული კურსი ქართველთათვის, შედგენილი გ. ა—შვილის მიერ, მეორე გამოცემა. ფასი ხუთი აბაზი.

ამბები ძველი დროების ხალხებისა. ნაწილი პირველი. უწინდელი ინდოელები და ეგვიპტელები, რუსულიდამ ნათარგმნი. ფასი ხუთი შაური.

არითმეტიკა, შედგენილი ვახტანგ თულაშვილისაგან და მ. ყიფიანისაგან. ფასი ხუთი შაური.

თ. ტოლსტოის ყრმისათვის ისტორიები, ავტორის პორტრეტით, პირველი და მეორე ნაწილი. ფასი ხუთი აბაზი, ყდიანისა.

ქეტა-აწონა, კომედია, თხზ. დ. მეღვინეთუხუცესიშვილისა. ფასი ერთი შაური.

ეთერიანი. ამბავი აბესალომ და ეთერისა. ფასი ხუთი შაური.

სინოპტიკური კალენდარი 1870 წ. ფასი ორი შაური.

პაწაწინა კალენდარი 1870 წ. ფასი ხუთი გროში.

სასიმღერო ლექსები. ფასი ერთი შაური.

«მნათობი» ამ 1870 წელში გამოდის იანვრიდგან ყოველ თვეს. თითო წიგნის სივრცე იქნება შვიდიდგან ათ თაბახამდის.

—

### ამ 1870 «მნათობის» ფასი:

მთელი წლისა—გაგზავნით ყველა ადგილში 8 მანეთი.

ნახევარ წლის ხელის მოწერა არ მიიღება, გარნა მთელი წლის ფასი შეიძლება შემოიტანონ ორ ნაწილად—ოთხ-ოთხი მანეთი.

### ხელის მოწერა მიიღება:

**თბილისში,** «მნათობის» რედაქციის კონტორაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, დავით ავალოვის სახლებში.

აგრეთვე უ. ალადათოვის წიგნების მაღაზიაში, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ.

გარეშე ხელის-მომწერთ შეუძლიანთ დაიბარონ ზემოხსენებული ადრესით.

გამ. ივ. ელიოზიშვილი. რედ. ნ. ავალიშვილი.